პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების
საბჭოების
ცენტრალური აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58
ექსპედიციის ტელეფ. 5—48.

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34; ტელეფონი № 10—40
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშას“ და „მეცნიერება და ტეხნიკას“. განცხადებები: ნონპარელის სტრიქ. —40 კაპ., ტექსტში ორჯერ მეტი, სამგლოვიარო —10—15—20 მან; დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 საათამდე.
სტამბის ტელეფ. 13—80.

დ ღ ი უ რ ი

— ესპანეთ-საფრანგეთის ჯარები მაროკოს მთელ ფრონტზე შეტევაზე გადავიდნენ.

— პოლონეთში გრძელდება მუშათა ორგანიზაციების დევნა.

— მოსკოვში ჩავიდა ჩინეთის სახალხო არმიის მარშალი ფინ-იუ ხიანი.

— ნორვეგიის ზოგიერთ წარმოებაში ლოკაუტი გამოცხადდა. სამსახურიდან დაითხოვეს 40 ათასი მუშა.

— კუნძულ შპიცბერგენიდან ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ გაფრინდნენ ამერიკელი მფრინავები.

სამშაბათი, 11 მაისი 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 104 (1 559)

მასები და „ბელადები“

უკანასკნელ ორ-სამ დღეში რაიმე გარდატეხა არ მომხდარა ინგლისის ამბებში. მუშათა კლასი მტკიცეთ დგას თავის პოზიციებზე. გაფიცულებს საჭიროების მიხედვით მუშების ახალი რიგები უერთდებიან. შტრეიკბრეხერთა „მუშაობა“ ვერ სცვლის მდგომარეობის საერთო სურათს. ხუთი მილიონ გაფიცულთან შედარებით აბა რა ანგარიშგასაწევია რამდენიმე ათეული ათასი სულმოკლე დეზერტირი, რომელთაც მთავრობამ თავი მოუყარა! ეს უფრო აფოლადებს მებრძოლ პროლეტარიატის ნებისყოფას და ამტკიცებს მასში სოლიდარობის სულს.

კაპიტალისტები ყოველგვარ ხრიკს მიმართავენ, რომ გაფიცვას სახელი გაუტეხონ ფართო მოსახლეობის თვალში. ერთ ასეთ „ნაღაღ“ ოინს წარმოადგენს „მოსკოვზე“ მითითება.—„მოსკოვის ხელი“ ურევია გაფიცვის საქმეში. კომუნიზმის საფრთხით სურთ დააშინონ ჩვეულებრივი მოსახლე და ამით ჩაჰკლან მისი თანაგრძნობა მუშებისადმი, აასხედრონ ის მათ წინააღმდეგ. მაგრამ დღეს ეს პროვოკაცია არ სჭრის, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც თავის დროზე საჯაროდ იქნა გამოაშკარავებული სიყალბე „ზინოვიევის წერილისა“. ამას მოწმობს, სხვათა შორის, ის ფაქტი, რომ ზოგიერთი წვრილ-ბურჟუაზიული ელემენტებიც კი მხარს უჭერენ გენერალურ საბჭოს, რომელიც გაფიცვას მეთაურობს.

კონსერვატიული მთავრობა, რომელმაც ყველასთვის ცხადჰყო, რომ ის კაპიტალისტების აღმასრულებელ ძალას წარმოადგენს, მიმართავს [illegible] „რეალურ“ საშუალებებს. [illegible] მოხალისეთა და შტრეიკბრეხერთა მობილიზაციისა, ის ღებულობს რეპრესიულ ზომებს, აპატიმრებს მუშათა მოძრაობის მემარცხენე ხელმძღვანელებს და სხვ. ამ ნიადაგზე უკვე აქვს აქა-იქ ადგილი შეტაკებს გაფიცულებსა და მთავრობის [illegible] შორის.

მოსალოდნელია, რომ ეს ნაწილობრივი შეტაკებები გაფართოვდება, მასიურ ფორმას მიიღებს, საერთო ბრძოლაში გადავა. შეუძლებელია გაფიცვას დიდხანს შერჩეს „მშვიდობიანი“ ხასიათი. ჯერ ისტორიაში [illegible] საყოველთაო გაფიცვა ძირეულიანად ანგრევს მთელი ინგლისის კაპიტალისტურ მეურნეობას, [illegible]ლიანად აჩერებს ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებას. წამოჭრილია ინგლისური კაპიტალიზმის ყოფნა-არყოფნის საკითხი, და აქ ცხადია, რომ [illegible]ნდელი გაფიცვა უნდა გაიშალოს რევოლიუციონურ ბრძოლად მუშებსა და კაპიტალს შორის. ფინანსთა მინისტრის ამხანაგი რობერტ მაკ-ნეილი აცხადებს: „გაფიცვის ყოველი ახალი დღე აძლიერებს აჯანყების და ძალადობის საშიშროებას, რაზედაც მოგვიხდება შეიარაღებულ ძალით პასუხის გაცემა. ამაშია ყველაზე დიდი საფრთხეო. ცხადია, მთავრობა ცდილობს სამოქალაქო ომის აჩრდილით დააფრთხოს მოსახლეობა და გასტეხოს მებრძოლთა რიგების ნებისყოფა. ამავე დროს აშკარაა, რომ თვით მთავრობა ნიადაგს ჰქმნის ასეთი ომის გასაჩაღებლად.

[illegible]ყველია ისიც, რომ კონსერვატიულ მთავრობას ამ შემთხვევაში იმედი აქვს მუშათა მემარჯვენე ბელადების მიმხრობის. უკანასკნელებს სასიკვდილო შიში იპყრობს დაწყებულ ბრძოლის გაშლის, მისი სამოქალაქო ომად გადაქცევის ფიქრზე. ვინ დაიჯერებს, რომ მაკდონალდები და ტომასები უცბად რევოლიუციონერები გახდნენ! ისინი მხოლოდ იძულებული შეიქნენ სიტყვიერად მაინც ჯერ-ჯერობით მხარში ამოდგომოდენ ამდგარ მუშათა კლასს,—იმდენად მძლავრია უკანასკნელის სტიქიური ზედდაწოლა „ბელადებზე“.

მათ ხელთ უპყრიათ გაფიცვის ხელმძღვანელობა, რომელსაც ისინი გამოიყენებენ იმისათვის, რომ გაფიცვა არ გადასცილდეს „ეკონომიურ“ ჩარჩოებს, რომ მან „შორს არ შესტოპოს“. მაკდონალდები და ტომასები ყოველ ზომას იხმარენ, რომ გაფიცვა „მორიგებით“ გათავდეს. სრულებით არ იქნება გასაკვირი და მოულოდნელი, თუ ისინი გადამწყვეტ მომენტში მუშათა კლასს ზურგში ლახვარს ჩასცემენ. ამას გვაფიქრებინებს „ბელადების“ რეფორმისტული ბუნება და მათი გამცემლობის ურიცხვი მაგალითები.

მაკდონალდი ამბობს: „მე ვიღებ ყოველგვარ ღონისძიებას, რათა არც ერთი წუთი არ დარჩეს გამოუყენებელი ამა თუ იმ ცდისათვის, რომ გამონახულ იქნეს საშუალება კონფლიქტის მშვიდობიანი გადაჭრისათვის და შეთანხმების მისაღწევად“. ამას აცხადებს მაკდონალდი მას შემდეგ, როცა ის და მასთან ჰენდერსონი ჩერჩილმა ამას წინად „კინწის კვრით“ გამოისტუმრა: არაფერი მაქვს თქვენთან სალაპარაკო, თუ არ მოგაქვთ ცნობა, რომ გენერალურმა საბჭომ საყოველთაო გაფიცვა გახსნაო. აგრეთვე ტომასი რაღაც საიდუმლო მოლაპარაკებას აწარმოებს ბოლდუინთან. ამასთან საგულისხმოა გენერალური საბჭოს რედაქციით გამომავალ „ბრიტანეთის მუშა“-ს წერილი, რომელშიც ნათქვამია, რომ გაფიცვა გაგრძელდება, სანამ მთავრობა სურვილს არ გამოსთქვამს განაახლოს მოლაპარაკება კონფლიქტის საპატიო გადაჭრაზეო.

რა ნიშნავს კონფლიქტის „საპატიო“ გადაჭრა? მუშების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. მაგრამ გენერალური საბჭო ამას გარკვევით არ ამბობს. ეტყობა, ის მერყეობას იჩენს და კმაყოფილდება ბუნდოვანი ფორმულით: „კონფლიქტის „საპატიო“ გადაჭრა“. სულ სხვა აზრის არიან, რა თქმა უნდა, მემარცხენე ლიდერები, როგორც, მაგ. კუკი და სმიტი: ხელფასის არავითარი შემცირება, სამუშაო დროის არავითარი გადიდება, ხელშეკრულების დადება ნაციონალური მასშტაბით, მაღაროების ნაციონალიზაცია—აი მათი ლოზუნგი, რომელსაც ისინი მტკიცედ იცავენ.

მაკდონალდები და ტომასები ნიადაგს ამზადებენ ღალატისათვის. ისინი ცდილობენ „კომპრომისით“ საკითხის მოკვაჭრახებას, ბოლდუინთან მოლაპარაკების დაწყებას. მაგრამ ეს როდია ადვილი საქმე. მთავრობა მოლაპარაკების განახლების ძირითად პირობად აყენებს საყოველთაო გაფიცვის მოხსნას გენერალურ საბჭოს მხრით. ესაა კაპიტალისტურ მთავრობის პრესტიჟის საკითხი. მას სურს შექმნას შთაბეჭდილება, რომ ის მუშათა კლასის მუქარის ქვეშ არ მოქმედობს. თუ ეს პირობა იქნა შესრულებული და საყოველთაო გაფიცვა მოიხსნა, ამით ბოლდუინი პოზიციებს გაიმაგრებს და მოლაპარაკების დროს მნიშვნელოვან დათმობებზე წასვლას არ მოისურვებს.

მეორე მხრივ, ამ პირობის მიღება იქნებოდა გენერალურ საბჭოს კაპიტულაცია მთავრობის წინაშე. ამით საბოლოოდ შეირყევა მისი ავტორიტეტი მუშათა მასსებში, რომელნიც ეხლაც მოითხოვენ მისგან უფრო გადამჭრელ ბრძოლის წარმოებას და აქა-იქ უკმაყოფილებასაც იჩენენ მისი ზოზინერებით.

გაფიცვის მემარჯვენე ხელმძღვანელები და მთავრობა, უეჭველია, აყენებენ ისეთ ფორმულას მოლაპარაკების დასაწყებად, რომ „არც მწვადი შეიწვას და არც შამფური“.

მხოლოდ ინგლისის მუშათა კლასის შეგნება, სიმტკიცე და დარაზმულობაა თავდები, რომ არ იქნას დაშვებული „ბელადების“ „კომპრომისი“, ნამდვილად კი ღალატი. პროლეტარიატის ფხიზელი კონტროლი მათ მოქმედებაზე, გავლენის გაძლიერება მათზე—ეს აუცილებელია მუშათა კლასის გამარჯვებისათვის.

ასევე სდგას საკითხი საერთაშორისო მასშტაბითაც. ამსტერდამის ხელმძღვანელები დახმარებას პირდებიან ინგლისის მუშებს. მაგრამ საქმით ისინი ამ მხრივ თითქმის არაფერს აკეთებენ. უდეგესტი აცხადებს, რომ ინგლისელ გაფიცულთ საკუთარი საშუალებები საკმაოდ მოეპოვებათ და მათთვის ჯერ-ჯერობით ნივთიერი დახმარება არ არის საჭიროო. ამსტერდამის ინტერნაციონალმა მხოლოდ ათასი სტერლინგი (10.000 მან. ნაკლები) გადაუგზავნა გაფიცულთ. ეს დაცინვაა და სხვა არაფერი, უდეგესტები უნერგავენ მასსებს აზრს, რომ ისინი თითქო თანაუგრძნობენ და ეხმარებიან ინგლისელ მებრძოლებს, ამავე დროს ანელებენ მათ ნებისყოფას, ინგლისელ მუშებს ნივთიერი დახმარება არც ისე ესაჭიროებათო.

მაგრამ ევროპის მუშათა მასსა სულ სხვაგვარად მსჯელობს. ის ირაზმება რომ სერიოზული დახმარების ხელი გაუწოდოს კაპიტალთან გადამწყვეტ ბრძოლაში ჩაბმულ თავის ძმებს.

ვიმეორებთ, რომ მხოლოდ მუშათა მასსების დარაზმვა როგორც ინგლისში, ისე მსოფლიო მასშტაბით მიიყვანს გაფიცვის საქმეს სრულ გამარჯვებამდე. ამ შემთხვევაში მათ ყველაზე ნაკლებ მართებთ დანდობა იმ „ბელადებზე“, რომელთაც არა ერთხელ დაუმტკიცებიათ, რომ ისინი ბურჟუაზიის აგენტებს წარმოადგენენ და პროლეტარიატის მოღალატეებს.

პარტიისა და პროფკავშირის ძირითადი ორგანოები

უკანასკნელმა შემოწმებამ, რომელიც ჩაატარა პარტიამ თბილისის მთელ რიგ წარმოება - დაწესებულებებში, დაგვანახვა, რომ ძირითად პარტიულ და პროფესიულ ორგანიზაციათა ურთიერთობა გაცილებით ბევრგან ვერ დგას დამაკმაყოფილებელ ნიადაგზე. ჩვენ კი ვიცით, რომ პროფკავშირების მუშაობაზე პარტიის ხელმძღვანელობის უზრუნველსაყოფათ უაღრესი მნიშვნელობა აქვს სწორეთ ძირითად ორგანიზაციათა ურთიერთობას, ვინაიდან მათი მეშვეობით ტარდება ცხოვრებაში პარტიის და უმაღლეს პროფორგანოების მიერ აღებული გეზი და დასახული ღონისძიებანი.

რა გამოარკვია წარმოება - დაწესებულებათა უკანასკნელ შემოწმებამ? პირველყოვლისა ფართე საბჭოთა დემოკრატიის პრინციპი ზოგიერთ ადგილას თავისებურათ გაიგეს როგორც პარტიულ, ისე პროფესიულ ორგანიზაციებმა. ერთი მხრივ ძირითად პროფესიული ორგანიზაცია, ქარხკომი ის თუ ადგილკომი, ცდილობს გაემიჯნოს პარტუჯრედს და სრულიად დამოუკიდებელ საქმიანობის გზაზე დადგეს. მეორე მხრივ ასეთივე „დემოკრატიულ“ ალტკინებით გატაცებული პარტუჯრედი თვით უქცევს გვერდს შეგნებულათ პროფესიულ მუშაობის საკითხებს და ამნაირათ ერთგვარ თვითგანცალკევების (თვით იზოლიაციის) პოლიტიკას აწარმოებს. ასეთია ერთი მავნე გადახრა, რომელსაც ადგილი აქვს ძირითად პარტიულ და პროფესიულ ორგანიზაციათა ურთიერთობაში.

ამავე დროს არის მეორე მავნე გადახრაც, რომელიც გულისხმობს საბჭოთა დემოკრატიის უხეშ დარღვევას და პროფორგანიზაციაში გაერთიანებულ მასის თვითმოქმედების შეზღუდვას. ასეთ შემთხვევაში პარტიული უჯრედები აშკარა ზეგავლენას ახდენენ ქარხკომებზე და ადგილკომებზე, ერევიან პროფორგანიზაციის ყველა წვრილმან საკითხებში და ამრიგათ ფრთას უკვეცავენ თავისუფალ ინიციატივას პროფესიულ მუშაობაში.

როგორც ერთი, ისე მეორე გადახრა უნდა ხელაღებით უარყოფილი იქნას. უმთავრესი ყურადღება პარტიულ და პროფესიულ ორგანიზაციათა ურთიერთობის გაჯანსაღებისათვის უნდა მიექცეს ფრაქციებს მუშაობას. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ამ ურთიერთობის მტკივნეულ მხარეების მთავარი გამომწვევი მიზეზი სწორეთ ფრაქციულ მუშაობის სისუსტე და მოუწესრიგებლობაა.

ზოგიერთ წარმოება - დაწესებულებებში ფრაქცია არც კი არის ჩამოყალიბებული პროფორგანიზაციაში. მათი არსებობა ზოგჯერ საჭიროდაც არ მიაჩნიათ. ფრაქციის როლს ასეთ შემთხვევაში პარტუჯრედის ბიურო თამაშობს, რაც ყოვლად დაუშვებლათ უნდა ჩაითვალოს.

პარტიის და პროფკავშირის ძირითად ორგანიზაციათა შემაკავშირებელი ხიდი ფრაქციებია; ურომლისოდ წარმოუდგენელია ამ ორგანიზაციათა ნორმალური ურთიერთობა. ფრაქციის გარეშე კავშირი პარტიასა და პროფორგანიზაციას შორის მავნე გადახრათა ფართე ასპარეზს ჰქმნის და აფერხებს პარტიის სწორ ხელმძღვანელობას პროფესიულ ორგანიზაციათა მუშაობაზე.

ამიტომ ფრაქციულ მუშაობის ჩამოყალიბება პირველხარისხოვან საქმეთ უნდა იქნას მიჩნეული პარტიისა და პროფკავშირის ურთიერთობის მოწესრიგებაში.

ფრაქციების ჩამოყალიბებას პროფესიულ ორგანიზაციებში ხელს უშლის ორი გარემოება. არის შემთხვევები, როცა ხელმძღვანელი პროფორგანოს შემადგენლობა თითქმის მთლიანად კომუნისტურია. ასეთ პირობებში თავის თავად გასაგებ მიზეზების გამო შეუძლებელია ნორმალური ფრაქციული მუშაობის წარმოება. ეს იმას მოწმობს, რომ პროფორგანოებს, სადაც ასეთ მდგომარეობას აქვს ადგილი, სწორათ ვერ შეუთვისებიათ და ცხოვრებაში ვერ გაუტარებიათ პარტიის დადგენილებანი პროფესიულ მუშაობაში უპარტიო მასის ფართედ ჩაბმის შესახებ. გამოსავალი აქედან ერთია: ყოველგვარი ზომების მიღება უპარტიო მასის პროფორგანოების მუშაობაში მონაწილეობის გასაფართოებლათ.

მეორე მხრივ ფრაქციულ მუშაობას აფერხებს უკვე აღნიშნულ გარემოების სრულიად საწინააღმდეგო მოვლენა. ესაა პარტიის წევრების სიმცირე ძირითად პროფესიულ ორგანიზაციებში, რაც შეუძლებლათ ხდის ფრაქციულ მუშაობის წარმოებას. ასეთ შემთხვევებში ფრაქციათა შემადგენლობაში უნდა შეყვანილ იქნან ქარხკომების თუ ადგილკომების კომუნისტი კანდიდატები.

ამას გარდა ადგილი არ უნდა დაურჩეს ისეთ მდგომარეობას, როცა ფრაქცია ფაქტიურათ პროფორგანოს მაგიერობას ეწევა. ეს კი ხშირათ ხდება, რადგან ყველა მნიშვნელოვანი საკითხები წინასწარ ფრაქციის სხდომებზე ირჩევა და შემდეგ ის, როგორც სავალდებულო გადაწყვეტილება, პროფორგანოს სახელით ფორმალურათ ტარდება ცხოვრებაში. პარტიის ხაზის დაცვა და მისი გატარება სავალდებულოა ფრაქციისათვის, მაგრამ ეს უნდა ხდებოდეს მას შემდეგ, რაც წამოჭრილი საკითხები ფართე მსჯელობის საგნათ გადაიქცევიან და მათ შესახებ პროფკავშირის მასა უკვე გამოსთქვამს თავის აზრს.

ამრიგათ, პარტიისა და პროფკავშირის ძირითად ორგანოების ურთიერთობის მოწესრიგება ერთერთ უაღრეს მნიშვნელობის ამოცანათ უნდა იქნას მიჩნეული პარტიის ხელმძღვანელობის განმტკიცებისათვის პროფესიულ ორგანიზაციათა მუშაობაზე. ამ ამოცანის ღირსეულათ მოგვარება პირველყოვლისა დამოკიდებულია პარტიის და პროფკავშირის ძირითად აქტივის გარჯილობა—ფხიანობაზე.

ვ. ზ—ლი.

საერთაშორისო პროლეტარიატი ეხმარება ინგლისის მუშებს

ტრანსპორტის მოძრაობა სრულიად შეწყდა

გაფიცვა განხორციელებულია 100 პროცენტით.—ლონდონის ქუჩებში ხდება შეტაკებები მუშებსა და შტრეიკბრეხერებს შორის.—ამერიკის პროლეტარიატი თანაუგრძნობს გაფიცულთ.—ამსტერდამის ინტერნაციონალმა გაფიცულთათვის გადასდო 9 ათასი მანეთი.—მთელ საბჭოთა კავშირში მუშები ფულს აგროვებენ ინგლისის მუშების სასარგებლოთ.—საქართველოს პროფსაბჭომ გაფიცულთ გადაუგზავნა 15 ათასი მანეთი.

გაფიცვის მსვლელობა

100 პროცენტით

ლონდონი, 9 მაისი. რკინისგზელთა ნაციონალურმა კავშირმა გამოუშვა მიმართვა ყველა წევრებისადმი. ამ მიმართვაში ნათქვამია:

„**გაფიცვა 100 პროცენტით განხორციელდა.** იყავით მტკიცენი, როგორც დღეს. უკეთესი აღარ შეიძლება“.

ტრანსპორტის მდგომარეობა

ლონდონი, 9 მაისი. გენერალურ საბჭოს კურიერ-მოტოციკლისტმა, ცენტრალურ ინგლისსა და სამხრეთ უელსში მოგზაურობის შემდეგ, საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, **რომ მოგზაურობის დროს მას არ შეხვედრია არც ერთი მომუშავე მატარებელი.** სადგურებზე ის ხედავდა მხოლოდ თითო-ოროლა უმოქმედოთ მყოფ ორთქლმავალს.

სამაგიეროთ გზატკეცილებზე მოტოციკლისტს ხვდებოდა მრავალი დაზიანებული საბარგო და მსუბუქი ავტომობილი.

უკანასკნელ ფაქტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა, რადგან მთავრობა ამტკიცებდა, რომ პირველი მოთხოვნილების საგნების გადაზიდვა გზატკეცილებზე ნორმალურად ხდება.

გენერალურ საბჭოს ოფიციალური ცნობით, შტრეიკბრეხერების გამოუცდელობის გამო, რკინის გზებზე გახშირდა უბედური შემთხვევები. ლონდონის მახლობლად ლიანდაგს გადაცდა 2 მატარებელი. ერთ ლოკომოტივზე მოხდა ცილინდრის აფეთქება.

პროფკავშირებში

ლონდონი, 9 მაისი. **საყოველთაო გაფიცვის ზეგავლენით ორგანიზაციების გარეშე მყოფი მუშები ასობით ეწერებიან პროფკავშირებში.**

დოკებში

ლონდონი, 9 მაისი. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტმა მოიარა ლონდონის მსხვილი დოკები, რომლებშიაც ნორმალურ დროს 25.000-ზე მეტი კაცი მუშაობს. **ამჟამად ამ მუშებიდან არც ერთი არ მუშაობს.** პოლიციელები მხოლოდ ჯგუფ-ჯგუფად დაიარებიან. დოკებში დაახლოვებით 2.000 ჯარისკაცი იმყოფება. პოლიციელებს მუშები აჯავრებენ და ეუბნებიან: „აი, ჯარისკაცები გამოგზავნეს თქვენს დასაცავად. ეხლა ძიძები მოითხოვეთ“.

ჯარების მოსვლა ახალგაზრდა მუშებში დიდ აღშფოთებას იწვევს, მაგრამ უფროსი მუშები დამშვიდებით ხვდებიან ამას და იგონებენ, რომ ჯარისკაცები 1912 წლის გრანდიოზული გაფიცვის დროსაც იმყოფებოდენ დოკებში და ოხუნჯობდენ: „გაფიცვა პირველ ორი წლის განმავლობაში ძალიან მძიმე იქნება, მაგრამ შემდეგში ყველაფერი მოგვარდებაო“.

რაიონულ საგაფიცვო კომისიების შენობაში საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტი შეხვდა რამოდენიმე მწარმოებელს, რომელნიც ითხოვდენ ტვირთების გადაზიდვის ნებართვას. ერთ-ერთი მწარმოებელი მუდარით მიმართავს საგაფიცვო კომიტეტის თავმჯდომარეს, რომ მან ნება დართოს საქონლის გადაზიდვაზე. საგაფიცვო კომიტეტის თავმჯდომარე დაცინვით ისტუმრებს მას:

„ორი დღით წინ გაფიცვამდე თქვენ ლაპარაკობდით: ფიქრი ნუ გაქვთ, მთავრობა იზრუნებს, რომ მე საშუალება მომცეს მივიღო და გადვზიდო საქონელიო. წადით ეხლა და მთავრობას სთხოვეთ ნებართვა“.

შეკითხვაზე, როგორ უცქერის საგაფიცვო კომიტეტი ჯარების ჩაბანაკებას მის რაიონში, კომიტეტის ერთ-ერთი წევრი აცხადებს:

„ჯარების გამოგზავნა აშკარად მოწმობს მთავრობის პანიკას. ეს წმინდა პროვოკაციაა, მაგრამ ჩვენ ვარწმუნებთ გაფიცულებს, არ მისცენ ჯარისკაცებს სისხლის ღვრის გამოწვევის საბაბი. პასიურობა უფრო მეტად გააბრაზებს მთავრობას, ვინემ შეტაკება“.

საგაფიცვო კომიტეტის შენობაში მუშების ერთი ჯგუფი უსმენდა მთავრობის რადიო--ცნობას. მუშები სიცილით შეხვდენ ცნობას, თითქოს ახლო-მომავალში აღდგენილი იქნება ნორმალური მდგომარეობა. განსაკუთრებული სიცილი გამოიწვია ცნობამ სარკინისგზო მიმოსვლის განახლების შესახებ.

მოქმედების საბჭოები

ლონდონი, 9 მაისი. ლონდონში **მოქმედების 25 საბჭო მუშაობს. ამ საბჭოებში აქტიურ მუშაობას კომუნისტები ეწევიან.**

ბრომლეის განცხადება

ლონდონი, 9 მაისი. მემანქანეების და ცეცხლის შემკეთებელთა კავშირის ლიდერმა ბრომლეიმ გაილაშქრა მთავრობის ღონისძიებათა წინააღმდეგ და განაცხადა, **რომ 9 მაისს მთელ ქვეყანაში გაიმართება გაფიცულთა კრებები და ვერავითარი ძალა ხელს ვერ შეუშლის მას.**

საფოსტო კავშირი

ლონდონი, 9 მაისი. საფოსტო კავშირი დღით-დღე უარესდება. ფოსტის გზავნა სწარმოებს უმთავრესად ჰაეროპლანების საშუალებით. ირლანდიაში ფოსტა იგზავნება სამხედრო გემებით.

ფიმენის განცხადება

ამსტერდამი, 9 მაისი. ტრედ-იუნიონების გენერალურ მდივანმა ედო ფიმენმა საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტის შეკითხვაზე —მიიღებს თუ არა ინგლისი ქვა-ნახშირს გერმანიიდან, განაცხადა:

„სანაპირო ნაოსნობის მეზღვაურების შორის მექანიკოსების, ცეცხლის შემკეთებლების და მატროსების 90 პროცენტი ორგანიზაციულად გაერთიანებულია. მწარმოებლები, რომელნიც ინგლისის გემებს ქვა-ნახშირს აწვდიდენ, უკვე გაფრთხილებული არიან, რომ ისინი ველარ მიიღებენ ზედმეტ ქვა-ნახშირს და მათ იციან, რომ ეს ღონისძიება განხორციელებულ იქნება მუშების მტკიცე გადაწყვეტილების გამო“.

კორესპონდენტის შეკითხვაზე— სჯერა თუ არა ფიმენს ინგლისის ტრედიუნიონების სრული სოლიდარობა და მჭიდრო კავშირი—ფიმენმა უპასუხა:

ინგლისის პროლეტარიატის სოლიდარობა ეჭვს გარეშე სდგას. ინგლისის მუშების საქმე მეტად მტკიცეა. ბრძოლის შედეგების გათვალისწინება ძნელია, მაგრამ **მე მრწამს ინგლისის მუშების გამარჯვება**“.

სმიტის განცხადება

ლონდონი, 9 მაისი. სამთო-მადნო-მუშების კავშირის თავმჯდომარემ **სმიტმა** საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს განუცხადა, **რომ სამთო-მადნო მუშები გაუძლებენ ბრძოლას.**

„მე მტკიცეთ დარწმუნებული ვარ —განაცხადა მან—რომ სამთო-მადნო მუშები გაიმარჯვებენ იმ შემთხვევაში, თუ გამოიჩენენ სიმტკიცეს, მიტომ რომ **სოლიდარობა ასე ძლიერი არასოდეს არ ყოფილა, როგორც სამთომადნო მუშებს შორის, ისე დანარჩენ მუშებშიც**“.

როცა საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტმა აცნობა სმიტს საბჭოთა კავშირში გაფიცულების სასარგებლოდ ფულის შეკრების შესახებ, სმიტმა განაცხადა: „ეს ძლიერ სასიამოვნოა“.

კუკის განცხადება

ლონდონი, 9 მაისი. სამთომადნო მუშების კავშირის მდივანმა კუკმა საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს განუცხადა:

„ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ გენერალური საბჭო და მუშები ჩვენთან არიან. დადგა დრო, როცა არამც თუ უნდა ვიბრძოლოთ არსებული სამუშაო ხელფასის შენარჩუნებისათვის, არამედ უნდა მოვითხოვოთ მისი მომატება, ცხოვრების სიძვირესთან შეფარდებით“.

შემდეგ კუკმა განაცხადა, რომ **მის ბინას და ოჯახს იცავს პოლიცია** ფაშისტების მხრივ მოსალოდნელ თავდასხმის გამო.

გენერალურ საბჭოს ტრანსპორტი

ლონდონი, 9 მაისი. გენერალურ საბჭოს შენობა გარშემორტყმულია ავტომობილებით. ეს ავტომობილები საბჭოს გადასცეს წვრილ-ბურჟუაზიულმა ელემენტებმა, რომლებიც ემხრობიან მუშათა მოძრაობას. კომისია, რომელიც იძლევა სურსათ-სანოვაგის გატანის ნებართვას, გარშემორტყმულია საბარგო ავტომობილების მესაკუთრეებით და სატრანსპორტო ფირმების წარმომადგენლებით.

რკინისგზელების პოზიცია

ლონდონი, 9 მაისი. რკინისგზელთა კავშირის მდივნის მოადგილე **მერჩბენკმა** საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, **რომ მთავრობის ციფრები გაგზავნილ მატარებლების რაოდენობის შესახებ უნდა შემცირებულ იქნეს 90 პროცენტით. მხოლოდ 2—3** შორს მომავალი მატარებელი გაიგზავნა რკინისგზის მთავარ ხაზით.

ჯამი გაუკეთა რა საერთო მდგომარეობას, მერჩბენკმა განაცხადა: „რკინისგზელები მტკიცედ არიან, როგორც კლდე“.

სამუშაო ხელფასის საკითხი

ლონდონი, 9 მაისი. გაზ. „**ბრიტანელი მუშა**“ ათავსებს წერილს, რომელშიაც აღნიშნავს, რომ გაფიცვა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ მთავრობამ არ უზრუნველყოს სამთამადნო მუშებისადმი ლოკაუტის გამოცხადების გადადება. **გაფიცვა გაგრძელდება, სანამ მთავრობა არ განაახლებს მოლაპარაკებას სამთა-მადნო მუშებსა და მაღაროების მეპატრონეების შორის კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების მიზნით.**

ამრიგად, წერილი გადაუჭრელად სტოვებს სამთა-მადნო მუშების სამუშაო ხელფასის საკითხს.

მეორე მხრით **სმიტი** და კუკი „ბრიტანელ მუშის“ ამავე ნომერში ათავსებენ მოწოდებას, რომელშიაც აღნიშნავენ, რომ ისინი მხარს უჭერენ ტრედ-იუნიონების კონგრესის გენერალურ საბჭოს განცხადებას. ამ განცხადებაში კი ნათქვამია:

„ჩვენი აზრით, ამჟამად სამთა-მადნო მუშების სამუშაო ხელფასის დონე იმდენად დაბალია და მუშაობის პირობები იმდენად მძიმე, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დავთანხმდეთ ცხოვრების პირობების კიდევ უფრო გაუარესებაზე და სამთა-მადნო მუშების სამუშაო დღის შეცვლაზე; საქმის გასაუმჯობესებლად სხვა საშუალებას უნდა მივმართოთ.

კომუნისტურ გაზეთების ტირაჟი

ლონდონი, 9 მაისი. **კომუნისტურ გაზეთების ყოველდღიური ტირაჟი ინგლისში 100,000 ეგზემპლიარამდე აღწევს.**

ყველანი გაიფიცენ

ამსტერდამი, 9 მაისი. ტრანსპორტის მუშების საერთაშორისო აღმასკომს დეპეშა გაუგზავნა რკინისგზელების, მემანქანეების და ცეცხლფარეშების გაერთიანებულ კავშირის გენერალურმა მდივანმა **ბრომლეიმ**, რომელიც იტყობინება, რომ ინგლისელი მემანქანეები და ცეცხლფარეშები საყოველთაოდ გაიფიცენ.

რკინისგზელთა გაფიცვა

ამსტერდამი, 9 მაისი. რკინისგზელთა ნაციონალური კავშირის გენერალურმა მდივანმა **კრემპმა** დეპეშით აცნობა რკინისგზელთა საერთაშორისო ფედერაციის აღმასკომს, რომ **გაფიცვა ჩინებულად მიმდინარეობს.**

კრემპი მადლობას უძღვნის კონტინენტალურ ქვეყნების ტრანსპორტის მუშებს იმ სოლიდარობისათვის, რომელიც იმათ გამოიჩინეს ინგლისის მუშათა კლასის მიმართ.

მეზღვაურები და ცეცხლფარეშები

ლონდონი, 9 მაისი. მეზღვაურების და ცეცხლფარეშების ნაციონალური კავშირი, რომელიც ინგლისის სავაჭრო ფლოტის მეზღვაურთა ნაწილს აერთიანებს, იმ ორგანიზაციების რიცხვს ეკუთვნის, რომელზედაც არ ვრცელდება გენერალურ საბჭოს მოწოდება საყოველთაო გაფიცვის შესახებ.

მიუხედავად ამისა, ცალკე ნავთსადგურებში მეზღვაურების გაფიცვა უკვე დაიწყო.

მდგომარეობა უცვლელია

ლონდონი, 9 მაისი. საერთო გაფიცვა გრძელდება უცვლელად. მოლაპარაკების განცხადების ცდა არ ყოფილა.

დღეს საღამოს უნდა შესდგეს მაღაროების მუშების კავშირის აღმასკომის სხდომა, რომელმაც შეიძლება ცვლილება შეიტანოს შექმნილ მდგომარეობაში.

გენერალურ საბჭოს განცხადება.

ლონდონი, 9 მაისი. ბოლდუინის გუშინდელი სიტყვის საპასუხოთ, რომელიც მან რადიოთი გადასცა და რომელშიც ის აცხადებს, რომ მთავრობას არ უნდა მუშების მდგომარეობის გაუარესება. თანაუგრძნობს მაღაროების მუშებს და დაჟინებით მოითხოვს, რომ გენერალურმა საბჭომ მოხსნას საერთო გაფიცვა. ყოველგვარი წინასწარი პირობების გარეშე, გენერალური საბჭოს ორგანო „ბრიტიშ უორკერი“ სწერს: მოლაპარაკება შესწყდა. გენერალური საბჭო არ ემუქრება მოსახლეობას სურსათის მომარაგებას, არც კონსტიტუციას არღვევს. გენერალური საბჭო მხოლოდ ცდილობს მაღაროს მუშების დაცვას და მოითხოვს სამუშაო ქირა უცვლელი დარჩეს, სანამ არ იქნება შემუშავებული ნახშირის მრეწველების რეორგანიზაციის გეგმა, რომელიც მისაღები იქნება ყველა დაინტერესებულ მხარისთვის“.

მუშათა კონტროლი

ბერლინი, 9 მაისი. 7 მაისს ჰამბურგის ნავთსადგურში დატვირთული და გაგზავნილი იქნა ინგლისში 5 გემი ქვა-ნახშირით. გერმანიის ნახშირის მოზიდვა ჰამბურგში ძლიერდება ამასთან დაკავშირებით გერმანიის კომპარტია მოითხოვს მუშათა კონტროლის დაწესებას რკინისგზებზე და გერმანიის ნახშირის გაზიდვის შეწყვეტას როტერდამში.

მანნის გამოსვლა

ბერლინი, 9 მაისი. ბერლინში ჩამოვიდა ინგლისის პროფკავშირების რევოლიუციონურ უმცირესობის მოძრაობის თავმჯდომარე ტომას მანნი, რომელიც სამ მასიურ მიტინგზე გამოვიდა მოხსენებით ინგლისის გაფიცვის შესახებ. ინგლისის საერთო გაფიცვა მანმა დაახასიათა, როგორც ახალი ხანა საერთაშორისო პროლეტარიატის ისტორიაში. მანნს დიდი აღფრთოვანებით შეხვდენ. ბერლინის გარდა მანნი გამოვა რურის ოლქში.

რეპრესიები ძლიერდება.

ლონდონი, 9 მაისი. სურსათით დატვირთულ ავტომობილებს, რომელიც ნავთსადგურებიდან გააქვთ, იცავენ ჯარის ნაწილები, პოლიცია და ჯავშნიანი ავტომობილები.

გრძელდება გაფიცულთა დაპატიმრება, რომელთაც ბრალს სდებენ ძალადობაში.

დღეს დოკების უბანში მოვიდა 4 წყალქვეშა ნავი.

პოლონეთის ნახშირის გატანა

ვარშავა, 9 მაისი. პოლონეთის სოციალისტური პარტიის ცენტრ. კომიტეტის წარმომადგენელმა გერმანიის სოც.-დემ. პარტიის დანციგის ორგანიზაციასთან ხელშეკრულება დადვა პოლონეთ. ნახშირის გაზიდვის შეწყვეტის შესახებ ინგლისში, რის მაგიერად სოც.-დემოკრატები ვალდებული არიან ხელი შეუწყონ პოლონეთის ნახშირის გატანას იმ ქვეყნებში, რომელთაც ნახშირს აწვდიდა ინგლისი.

პოლონეთის სოციალისტური პარტიის ორგანოს „რაბოტნიკის“ განცხადებით ეს შეთანხმება აუცილებელი იყო, რადგან კომუნისტები აგიტაციას ეწეოდენ პოლონეთის ნახშირის გაზიდვის სრული შეწყვეტისათვის.

პრესის გამოძახილი

ლონდონი, 9 მაისი. ზოგიერთ ბურჟუაზიულ გაზეთებში მოთავსებული სტატიები სავსე არიან გაფიცულებზე თავდასხმით. სტატიების ავტორები უმეტეს შემთხვევაში ეყრდნობიან ლიბერალ საიმონის სიტყვას, რომელმაც განაცხადა თემთა პალატაში, რომ თუ საერთო გაფიცვა ეკონომიური ხასიათის არ არის, ის უკანონოაო.

„დეილი მეილი“ სწერდა გუშინდელ ნომერში: „დღევანდელი გაფიცვა პოლიტიკური დანაშაულობაა და მის წინააღმდეგ შესაფერი ზომები უნდა იქნეს მიღებული. გაფიცვა უნდა ვსძლიოთ და ის ძლეული იქნება“.

ასკვიტის წერს: „ინგლისის ხალხი არასოდეს არ დასთანხმდება შესცვალოს თავისუფალი მთავრობა დიქტატურით და ნებას არ მისცემს მოსახლეობის ერთ ნაწილს ჩაკლას წარმოება და ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრება“.

ვიკონტ გრი აცხადებს: „საზოგადოების ყველა ნაწილებმა ერთად უნდა იმოქმედონ, რომ რითაც არ უნდა დაუჯდეთ თავიდან აიცილონ რევოლიუცია და შეინახონ კონსტიტუციონური რეჟიმი“.

საერთაშორისო სოლიდარობა

ესეც დახმარება

ლონდონი, 9 მაისი. ამსტერდამის ინტერნაციონალმა ინგლისის ტრედიუნიონების გენერალურ საბჭოს **1000 გირ. სტერლინგი (9.450 მან.)** გადაუგზავნა, როგორც პირველი შემოწირულება გაფიცულ ინგლისელ მუშების სასარგებლოდ.

ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის დახმარება

პრაგა, 9 მაისი. **ჩეხო-სლოვაკიის კომპარტია და მასთან ახლო მდგომი ორგანიზაციები უკვე შეუდგენ შემოწირულებათა შეგროვებას გაფიცულ ინგლისელ მუშების სასარგებლოდ.**

ამერიკის პროლეტარიატის თანაგრძნობა

ნიუ-იორკი, 9 მაისი. **ამერიკის მუშათა მოძრაობის როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენე ფრთა თანაუგრძნობენ ინგლისის გაფიცულ მუშებს.** ამერიკის შრომის ფედერაციის ყველაზე კონსერვატიულმა ელემენტებმა —რკინის-გზელებმაც კი სოლიდარობა გამოუცხადეს გაფიცულ მუშებს.

ამერიკის შრომის ფედერაციის მემარცხენე ფრთის გამოჩენილმა წარმომადგენელმა **მაქს-ხაისმა** საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარის დროს სთქვა:

„ინგლისის მთავრობამ ომი გამოუცხადა მუშებს. არ არის იმის ნიშნები, რომ მუშები დანებდებიან და დაუბრუნდებიან თავიანთ დუხჭირ ცხოვრებას. თუ ინგლისის მუშები რევოლიუციონურად არიან განწყობილნი, ამაში დამნაშავენი არიან თვით ინგლისელი კაპიტალისტები“.

ტრანსპორტის მუშაკთა კავშირი, რომელიც ემხრობა მსოფლიოს ინდუსტრიალურ მუშებს, **მოითხოვს, რათა ამერიკის ნავთსადგურის მუშებმა არ დატვირთონ ინგლისში მიმავალი გემები.**

შავ-კანიან რკინის-გზელების კავშირმა ინგლისის ტრედ-იუნიონების გენერალურ საბჭოს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიაც აღუთქვამს, რომ შეებრძოლება ამერიკაში შტრეიკბრეხერების შეკრებას ინგლისისათვის.

მუშათა კოლეჯის სტუდენტებმა ბრუკვუდში სოლიდარობა გამოუცხადეს ინგლისის ტრედ-იუნიონების გენერალურ საბჭოს.

მუშების დახმარება

ლონდონი, 9 მაისი. გენერალურმა საბჭომ წინადადება მისცა ყველა მუშებს, რომლებიც დატოვებული არიან სამუშაოზე, გადარიცხონ სამუშაო ხელფასის 5 პროცენტი გაფიცვის ფონდში.

ზოგიერთმა კავშირებმა დაადგინეს მოუწოდონ თავის წევრებს, რათა უკანასკნელებმა გადარიცხონ უფრო მეტი, ვინემ მოითხოვს გენერალური საბჭო.

მუშების მტერთა ბანაკში

რეიტერის ცნობა

ლონდონი, 9 მაისი. რეიტერის სააგენტო იტყობინება, რომ **მრავალი წარმოება ნედლი მასალის ნაკლებობას განიცდის და იძულებულია მუშაობა შესწყვიტოს.**

საერთო მდგომარეობა სახელმწიფოში დამაკმაყოფილებელია, თუ მხედველობაში არ იქნება მიღებული „ხულიგნობის“ ცალკე შემთხვევები.

მაკ ნეილი იმუქრება

ლონდონი, 9 მაისი. კენტერბერიში ერთ-ერთ კრებაზე გამოქვეყნებულ იქნა ფინანსთა მინისტრის ამხანაგის **რობერტ მაკ ნეილის** წერილი, რომელშიაც ნათქვამია:

„ყოველი დღე გაფიცვისა აძლიერებს ძალადობის წარმოშობის საფრთხეს, რომელზედაც იძულებული ვიქნებით ვუპასუხოთ სამხედრო ძალით. ამაშია მთელი რეალური საშიშროება და ამიტომ საზოგადოება ყველგან დამშვიდებული უნდა იქნეს. მან ყველა რესურსები უნდა გადასცეს მთავრობას“.

შეტაკება გულლ'ში

ლონდონი, 9 მაისი. 7 მაისს გულლში ცხენოსანმა პოლიციამ გაჰფანტა **5 ათასი მუშისაგან შემდგარი მანიფესტაცია. არის მრავალი დაჭრილი.**

ახალი შეტაკება

ლონდონი, 9 მაისი. 8 მაისს გარროუროდში, **ლონ. მახლობლად მოხდა შეტაკება პოლიციისა და გაფიცულებს შორის;** გაფიცულები ხელს უშლიდენ ავტომობილების მოძრაობას. პოლიციამ იერიში მიიტანა ბრბოს წინააღმდეგ. დაპატიმრებულია 18 კაცი.

„კრებების თავისუფლება“

ლონდონი, 9 მაისი. პარლამენტმა მოიწონა მთავრობის ახალი განკარგულება, რომელიც პოლიციას უფლებას აძლევს აკრძალოს საზოგადოებრივი კრებები.

ლონდონი, 9 მაისი. **ლონდონის 4 ბაღი დახურულია საზოგადოებისათვის და დაკავებულია ჯარების მიერ.**

მუშათა პარტიის წრეებში ფიქრობენ, რომ ჯარების მიერ ბაღების დაკავება ხდება მიტინგების ასაკრძალავად.

ბოლდუინის პროვოკაცია

ლონდონი, 9 მაისი. გენერალურ საბჭოს გაზეთი „ბრიტანეთის მუშა“ დიდ აღშფოთებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ მთავრობამ მოახდინა ქაღალდის რეკვიზიცია „ბრიტანეთის მუშის“ გამოცემის შესაფერხებლათ. გაზეთი მთავრობის მოქმედებას პროვოკაციას უწოდებს და აღნიშნავს, რომ მთავრობას ეკისრება პასუხისმგებლობა იმ აღშფოთების შედეგებისათვის, რომელსაც იწვევს მუშათა მასსებში მთავრობის ღონისძიებები. მთავრობის მოქმედება დიდ საფრთხეს უმზადებს არსებულ წესრიგს და დისციპლინას, რომელისკენაც მოუწოდებს გაფიცულებს გენერალური საბჭო.

პოლიცია

ლონდონი, 9 მაისი. გამოქვეყნდა ოფიციალური ცნობა ახალი დამხმარე რაზმების შექმნის შესახებ, რომლებმაც დახმარება უნდა აღმოუჩინონ ლონდონის პოლიციას საგანგებო წესების არსებობის განმავლობაში.

დაპატიმრებანი

ლონდონი, 9 მაისი. მთავრობის ცნობაში ნათქვამია, თითქოს, ტრანსპორტის მდგომარეობა გაუმჯობესდა, მაგრამ სამრეწველო რაიონების მრავალი წარმოებები და ქარხნები იძულებული არიან შესწყვიტონ მუშაობა სათბობი მასალის უქონლობის გამო.

ქალაქის სხვადასხვა რაიონებში ღამით მოხდა 36 დაპატიმრება. სამუშაო დასტოვეს ლონდონის ყველა ელექტრო სადგურების მუშებმა, მაგრამ სადგურები, მთავრობის ცნობის თანახმად, მოხალისეების შემწეობით მუშაობენ.

კვლავ დაპატიმრებანი

ლონდონი, 9 მაისი. დააპატიმრეს კომპარტიის ლონდონის კომიტეტის ორგანიზატორი **რომსონი** და კომკავშირის ცეკას წევრი **სპრინხელი**, ჯერ გამოურკვეველია, რა ბრალდებას უყენებენ მას.

ლონდონი, 9 მაისი. კოსტლფორდში სამი თვით დაპატიმრება მიუსაჯეს **იზაბელა ბროუნს**, რომელსაც ბრალად დასდეს ამბოხების მოხდენის განზრახვა. იზაბელა ბროუნი ცოლია ერნსტ ბროუნის, რომელიც ინგლისის კომპარტიის წარმომადგენელი იყო კომინტერნში.

ბროუნი დააპატიმრეს რკინისგზელების ტრანსპორტის მუშების მასიურ მიტინგზე, რომელიც განზრახ მოწვეულ იყო ჩრდილოეთ რკინისგზის ხაზზე, რამაც ძლიერ შეაფერხა მიმოსვლა ამ რკინისგზაზე.

გაფიცვის გამოძახილი

მუსოლინის განკარგულებით

რომი, 9 მაისი. იტალიის კომპარტიის და იტალიის სოციალისტური პარტიის პროფკავშირთა კომიტეტებმა გაუგზავნეს ტრედიუნიონების კონგრესის გენერალურ საბჭოს გაერთიანებული დეპეშა, რომელშიაც გამოთქმულია თანაგრძნობა და ბრძოლაში გამარჯვების სურვილი. მთავრობამ აკრძალა ამ დეპეშის გამოქვეყნება.

პრიმო-დე-რივერას განკარგულება

პარიზი, 9 მაისი. ესპანეთის მთავრობამ უბრძანა ესპანეთის ნავთსადგურების უფროსებს გაუადვილონ ინგლისის მუშებს ნახშირის მარაგის შევსება.

ნორვეგია-ინგლისი

სტოკჰოლმი, 9 მაისი. **შეწყვეტილია გემების მიმოსვლა ნორვეგიასა და ინგლისს შორის.**

ნავთსადგურ ბერგენის მუშებმა, რომელთა ერთ ნაწილს ლოკაუტი აქვს გამოცხადებული, ხოლო მეორე ნაწილი გაფიცულია ინგლისის მუშათა სოლიდარობის ნიშნად, მიმართეს ნორვეგიის მუშათა ცენტრალურ ორგანიზაციებს მოწოდებით გააფართოვონ სოლიდარობის გაფიცვა.

საბჭოთა კავშირის დახმარება

დახმარების კამპანია

მოსკოვი, 10 მაისი. კომინტერნის პრეზიდიუმმა და პროფინტერნის აღმასრულებელმა ბიურომ დეპეშით წინადადება მისცეს მეორე და ამსტერდამის ინტერნაციონალების აღმასკომებს ჩაატარონ ინგლისის მუშების დახმარების გაერთიანებული კამპანია.

კომინტერნი და პროფინტერნი ამ საკითხზე მოლაპარაკების წარმოებას ანდობენ ტელმანს, სემარას, დოგადოვს, ილეკს და მონმუსოს.

მბეჭდავთა ხმა

მოსკოვი, 10 მაისი. მბეჭდავთა პროპაგანდის საერთაშორისო კომიტეტმა მიმართა გერმანიის, საფრანგეთის, ბელგიის და ჰოლანდიის მბეჭდავებს წინადადებით არ დაბეჭდონ არც ერთი სტრიქონი ინგლისის ბურჟუაზიისათვის. კომიტეტი მოუწოდებს დასავლეთ-ევროპის მბეჭდავებს სოლიდარობისაკენ ინგლისის მბეჭდავებისადმი.

განათლების მუშაკთა მიმართვა

მოსკოვი, 10 მაისი. განათლების მუშაკთა კავშირის ცეკამ მიმართა პარიზის ინტერნაციონალის აღმასკომს წინადადებით მოუწოდოს დასავლეთ-ევროპის მასწავლებლობას ინგლისის მუშათა კლასის დახმარებისაკენ.

ა.-კავ. პარტორგანიზაციათა გაფართოებული თათბირი

მდგომარეობა ამიერ-კავკასიაში და პარტიის ამოცანები

(ამხ. სერგო ორჯონიკიძის სიტყვა მეხუთე სხდომაზე, 7 მაისს.)

თავმჯდომარე. ჩვენ მოვისმინეთ ყველა მოხსენებები ადგილებიდან და ვხსნით კამათს მათ გამო. პირველი სიტყვა ეკუთვნის **ამხ. ორჯონიკიძეს.**

ერთი წლის მუშაობის შემდეგ ჩვენ წინ წავიწიეთ

დღევანდელი თათბირი შარშანდელისაგან იმით განსხვავდება, რომ, როგორც სჩანს, ზოგიერთ ამხანაგებს შარშანდელი თათბირი მოეჩვენათ მეტისმეტად გულახდილ საუბრად ყველა მტკივნეულ საკითხებზე და ეხლა მათ გადასწყვიტეს თავი შეიკავონ და ილაპარაკონ საყოველთაო კეთილდღეობის შესახებ. მაგრამ ასეთ გამოსვლებს ბოლო მოუღო სალიანის სამაზრო კომიტეტის მდივნის ამხ. მურშუდოვის შინაარსიანმა და გულწრფელმა მოხსენებამ. მისი გამოსვლის შემდეგ სხვა ამხანაგები შეეცადენ ასე თუ ისე ობიექტიურად დაეხასიათებინათ მაზრის მდგომარეობა.

ეჭვს გარეშეა, ერთი წლის მუშაობის შემდეგ ჩვენ წინ წავიწიეთ. ამის უარყოფა არ შეიძლება. ისეთ უმსგავსოებას, რომელიც შემჩნეული იყო შარშან, ამჟამად უკვე ადგილი აღარ აქვს. ეს არის ჩვენი მიღწევა. მაგრამ იმის ფიქრი, რომ ჩვენ ყველაფერს მივაღწიეთ, იმასაც კი რომ დავამყარეთ ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხთა კავშირი და მოვახდინეთ კულაკის სრული იზოლიაცია, რომ ჩვენ მთელ ხაზზე გვაქვს მხოლოდ გამარჯვება,—ყოველივე ეს გამოხატავს მხოლოდ სურვილს და არა იმას, რაც არის სინამდვილეში.

მე მოვისმინე რამდენიმე მოხსენება აზერბეიჯანის სამაზრო მუშაკთა თათბირზე. ყველა მათი მოხსენებანი ხელთა მაქვს. ამ მოხსენებებში არ არის „კაზიონური“ ოპტიმიზმი. სამაგიეროთ, ასეთი ოპტიმიზმით გაჟღენთილია ამხ. სვირიდოვის წერილი გაზ. „ბაკინსკი რაბოჩი“-ში საბჭოთა ხელახალ არჩევნების შესახებ. მისი წერილიდან ასე გამოდის, თითქოს ყველაფერი გაკეთებულია: უკვე დამყარებული გვაქვს ღარიბ და საშუალო გლეხთა კავშირი, კულაკი დამარცხებულია, თათრის ქალი პოლიტიკურად საბოლოოდ გამოღვიძებულია, ამასთანავე ყველაზე მეტი პოლიტიკური აქტივობა გამოიჩინა ქალმა ქურთისტანში სადაც არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ქურთი ქალების არანაკლებ 100%-მა. მაგრამ ამ საკითხს მე შემდეგ დავუბრუნდები, ეხლა კი ნება მიბოძეთ მოკლეთ მოგაგონოთ თქვენ XIV პარტკონფერენციის გადაწყვეტილებანი.

XIV პარტკონფერენცია წარმოადგენს ჩვენი პარტიული პოლიტიკის განვითარების მნიშვნელოვან ეტაპს. ამ კონფერენციაზე როგორც თქვენ გახსოვთ, დასმული და გადაჭრილი იყო საკითხები რომლებიც შეეხებოდა უმთავრესად სოფლის ცხოვრებას. სოფლის საწარმოო ძალთა განვითარებას, სამხედრო კომუნიზმის ნაშთებს აღმოფხვრას, სოფლის საერთო კეთილდღეობის აწევას, სყიდვითი უნარიან მოთხოვნილების ზრდას, მაშასადამე, შინაურ ბაზრის გაფართოებას. ურომლისოდაც ჩვენი მრეწველობის განვითარება შეუძლებელია, სოფლად დაქირავებული ძალის გამოყენებას, იჯარის ვადის გადიდებას, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შემცირებას და ფართო საბჭოთა დემოკრატიაზე გადასვლას, როგორც ქალაქში ისე სოფლად.

ყველა ამ გადაწყვეტილებებმა გზა გაუკაფეს სოფლის საწარმოო ძალთა განვითარებას. სოფელი ეკონომიურად გაძლიერდა, მისი სყიდვითი უნარიანი მოთხოვნილება გაიზარდა. პოლიტიკურად სოფელი სრულიად დამშვიდდა. ამასთან ერთად სოფლად სოციალურ ფენებათ დაყოფის პროცესი გაცილებით უფრო ჩქარა წავიდა, ვიდრე ამას ადგილი ჰქონდა წინა წლებში, ეს, რა თქმა უნდა, ასეც უნდა მომხდარიყო. ეს ჩვენ ვიცოდით XIV პარტკონფერენციის დროსაც 1925 წ. აპრილში. სოფლის ფენებათ დაყოფის ტემპის გამორკვევას, კულაკის და მისი გავლენის ზრდას სოფლად. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს XIV პარტყრილობამ და ჩვენი პარტიის ცეკას უკანასკნელმა პლენუმმა.

ჩვენი მიღწევები სახალხო მეურნეობაში

ჩვენ ამ თათბირზე უნდა შევეეხოთ, თუნდაც ზოგადათ შევაფასოთ დაწყებული პროცესები, როგორც სოფლად, ისე ქალაქში. ვამბობ ზოგადათქო, ვინაიდან ყველა ის ციფრები, რომელიც ჩვენი სამაზრო მუშაკების მოხსენებებს ამშვენებს, მეტად არა საიმედოა. ავიღოთ, მაგალითად, ამხ. მამედოვის მოხსენება. მან ძალიან კარგად მოგვითხრო, რა ხდება დაირაში (თემში) მაგრამ, როდესაც ის გადავიდა ციფრებზე და განაცხადა, რომ იმის დაირაში კულაკებია 5%, ამდენი და ამდენი პროცენტი საშუალო შეძლების გლეხები არიან და სხვ. და როდესაც ჩვენ შეკითხვაზე იმის შესახებ თუ ვის სთვლის ის კულაკათ, მან გვიპასუხა, რომ კულაკათ ის სთვლის ყოფილ მამასახლისს, ყოფილ სტრაჟნიკს, სთვლის გლეხსაც, რომელსაც სურს გახდეს სოფლის მეთაურად, იმისდა მიუხედავად აქვს მას მეტი მიწა, მეტი საქონელი, ვიდრე სხვებს, იმის და მიუხედავად უშვრება თუ არა ის ექსპლოატაციას სხვის შრომას და სხვ.—აქედან ცხადია, რომ მისი ციფრები არაფერს არ გვეუბნება. ასე ითქმის არა მარტო ამხ. მამედოვზე, თითქმის იგივე გვითხრა ჯებრაილის მაზრის წარმომადგენელმა.

მართალია, ეს საკითხები ყველას ასე არ ესმის.

ავიღოთ ყაზახის სამაზრო კომიტეტის მდივანი ამხ. მარსონაევი. ის ამბობს: „კულაკი განუსაზღვრელი ცნებაა, მაგრამ მაინც, ვისაც ჰყავს ორი-სამი დაქირავებული მუშა, [illegible] წყვილი სამუშაო საქონელი, თვითონ არ მუშაობს, აძლევს მიწას მცირე მიწის მქონე გლეხებს იჯარით, მას ჩვენ ვთვლით კულაკად“-ო. ჩემის აზრით სიტყვა „განუსაზღვრელი“, რომ არ ვიხმაროთ ეს არის კულაკის ყველაზე უკეთესი განმარტება. იმას რომ მოეწოდებია ჩვენთვის ციფრები სოფლის ფენებათ დაყოფის შესახებ. შ[illegible] მამულად გვესარგებლა იმით, მაგ[illegible] უმეტესობას გვაწვდიან [illegible] დოვისთანა ამხანაგები.

ვალ, ორშაბათიდან, 10 მაისიდან, [illegible] რუს“-ის ამიერ-კავკასიის

მე ვეთანხმები ამხანაგ მამედოვს, რომ ყოფილი მამასახლისი, ყოფილი მღვდელი, ყოფილი სტრაჟნიკი — ყველა ესენი საბჭოთა ხელისუფლების ძალიან ცუდი მოკავშირეებია, ყველა ესენი ჩვენი მტრების რიგებში იქნებიან, ყოველთვის კულაკებს დაუჭერენ მხარს, მაგრამ მათ ვერ უწოდებთ კულაკს, მხოლოდ იმიტომ, რომ ის არის ყოფილი მამასახლისი.

კულაკი არის მდიდარი გლეხი, რომელიც ეწევა სხვისი შრომის ექსპლოატაციას, რომელსაც ჰყავს 2—3 და მეტი დაქირავებული გლეხი, ბევრი მიწა (იჯარით იღებს მიწას სხვისაგან), ჰყავს ბევრი საქონელი და წარმოადგენს სოფლად კაპიტალიზმის განვითარების საყრდენს.

არა გვაქვს ჩვენ აგრეთვე დამუშავებული მასალა საბჭოების უკანასკნელ ხელახალ არჩევნების შესახებ, უაღრესად საინტერესო მასალა. მიუხედავათ ამისა შევეცადოთ გავარკვიოთ ჩვენი ამიერ-კავკასიის მდგომარეობა. ამიერ-კავკასიის, ისე როგორც მთელი კავშირის, სახალხო მეურნეობის მდგომარეობა, თითქმის ყოველ დარგში ავიდა ომის წინა დროის დონემდე, ზოგიერთ დარგებში კიდეც გადააჭარბა მას.

სასოფლო მეურნეობაში ჩვენ უკვე მივაღწიეთ ომის წინა დროის დონეს პურის და ტექნიკურ კულტურის თესვის მხრივ (პურეული—96%, ბამბა100%, თამბაქო—86% და გამხმარი ჩაის პროდუქცია—164%).

შემდეგ ჩვენ არა თუ მოვახერხეთ ომის წინა დროის მრეწველობის აღდგენა, არამედ შევუდექით ახალ საბჭოთა მრეწველობის განვითარებას. მე არ ჩამოვთვლი დაწყებულ და დამთავრებულ წარმოებებს. ეს ჩვენ წინადაც გვითქვამს და თქვენც კარგათ მოგეხსენებათ. რეზოლიუციის იმ პროექტში, რომელიც თქვენ დაგირიგდათ, ნახავთ ამ დაწყებულ საქმეების ჩამოთვლას.

რაც შეეხება ელექტროფიკაციას, აქ, რათქმა უნდა, არავითარი შედარება წარსულთან არ შეიძლება მიმდინარე წლის შემოდგომაზე, ვიმედოვნებთ, დამთავრებული იქნება ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგური. აქ მაგიდაზე ძევს ამხ. ტეტიანის მიერ ხელმოწერილი ქაღალდი იმის შესახებ, რომ ამა თვეში 16 რიცხვში იხსნება ერევნის მძლავრი ჰიდრო-ელექტრონის სადგური, სადაც ამხანაგები სომხეთიდან გვიწვევენ ჩვენ ყველას.

ახლო მომავალში დამთავრდება აბაშის და ლენინაკანის ჰიდრო-ელექტრონის სადგური. შენდება აჭარისწყალის სადგური. სწარმოებს წინასწარი მუშაობა დიდი ჰიდრო-ელექტრონის სადგურის ასაშენებლად აზერბეიჯანში.

ნავთის მრეწველობაში ჩვენში მიღწეულია ისეთი წარმატებანი, რასაც ომამდე ადგილი არ ჰქონია. თითქმის მთელი ნავთის მრეწველობა გადაყვანილია უმაღლეს ტეხნიკურ-ამერიკულ საფუძველზე.

სამელიორაციო მუშაობის დარგში, ამხ. ლენინის პირდაპირ დირექტივის მიხედვით (ლენინის წერილი ამიერ-კავკასიის ამხანაგებისადმი 1921 წ. 14 აპრილი), ჩვენ არა თუ აღვადგინეთ სარწყავი სისტემის ძველი ქსელი, არამედ გაყვანილია და გაგვყავს ახალი არხები, რომლებიც ადიდებენ დასა-[illegible]ველის, [illegible] გრაკალის, ლამი-მისაქციელის, როზენფელდის, ელდარის და სხვა არხები, რომლებმაც უნდა მორწყონ 100.000 დესეტინაზე მეტი მიწა.

სომხეთში: შირაქის, ეჩმიაძინის, ევჯილიარის, მცირე სარადარაბადის და კარჩევანის არხები მორწყავენ 25.000 დესეტ.

აზერბეიჯანში: აღდგენილია და ფართოვდება მუღანის სარწყავი ქსელი, რომელიც მორწყავს 125.000 დესეტინა მიწას, მოწყობილია შიხლის არხი შენდება: კარასახკალის გიაურ-არხი და ფახრატ-არხი, ბეიუკ-დიუზის ველის მოსარწყავათ—სულ მორწყულ იქნება 30.000 დესეტინა მიწა.

გარდა ამისა სწარმოებს მუშაობა ფოთის, აფხაზეთის, ქობულეთის ჭაობების ამოსაშრობად—საქართველოში და ყამარლოს—სომხეთში, სწარმოებს ყოველ წელს მდინარე მტკვარის და არაქსის ნაპირების გამაგრება—აზერბეიჯანში.

ტრანსპორტის შესახებ უნდა ითქვას, ჩვენ აღვადგინეთ რკინისგზის ტრანსპორტი, ნაწილობრივ იგი განახლებულია, თუმცა ამასთან ერთად შეიძლება ითქვას, რომ გზატკეცილები არაფრად არ ვარგან.

ამგვარად მენშევიკების, დაშნაკელების და მუსავატისტების ბატონობის დროს განადგურებული სახალხო მეურნეობა აღდგენილია.

პოლიტიკური მდგომარეობა

შევეხოთ ჩვენს პოლიტიკურ მდგომარეობას. ერთ-ერთი ამხანაგი ამბობდა, რომ ყველაფერი აქ მხრივ კარგად მიდის, რომ მენშევიკები, დაშნაკელები, მუსავატელები დაიღუპენ, რომ ისინი არავითარი გავლენით არ სარგებლობენო. ეს არ არის მართალი. ეჭვს გარეშეა, ეს პარტიები განადგურებული არიან, მაგრამ განადგურებული არიან თუ არა ისინი საბოლოოდ?

მენშევიკებს ჰყავდათ თავის რიგებში საქართველოს მუშათა კლასის საუკეთესო ნაწილი, ჩვენ წავართვით მათ ეს მუშები, საქართველოს მუშათა კლასი დღეს ჩვენთანაა, იგი ჩამოშორდა მენშევიკებს. მენშევიკურ პარტიის წევრთა უდიდესი მასები თავიანთ ორ ყრილობაზე ოფიციალურად გამოვიდენ პარტიიდან (მათი საერთო რიცხვი უდრის დაახლოვებით 25.000). მათი ერთი ნაწილი შემოვიდა ჩვენს პარტიაში, უმნიშვნელო ნაწილი. რა თქმა უნდა ამ 25.000-ში ბლომად მოიპოვებიან ისეთები, რომელნიც იდეოლოგიურად ჯერ კიდევ მტკიცედ არიან დაკავშირებული მენშევიზმთან. მაგრამ ისინი ჩამოშორდენ ნოე ჟორდანია-რამიშვილის პარტიას. მათი საბოლოოდ დაპყრობა და ხელახალი აღზრდა უმთავრესად ჩვენზეა დამოკიდებული. დაიწყო ემიგრაციის ძლიერი დაშლა, მენშევიკების და ჩოლოყაშვილის რაზმელების ურთიერთი განადგურება საფრანგეთში (ოროზკურის ხოცვა-ჟლეტა), ამტკიცებს ამას. როგორც სჩანს, დაშნაკელებმა გადასწყვიტეს არც აქ დაუთმონ პირველობა მენშევიკებს. ლიონიდან მიღებული დეპეშა გვაუწყებს, **რომ „აგარონიანის მოხსენება ლიონში დამთავრდა დაშნაკელების შეტაკებით ოპოზიციასთან. მოკლულია ორი, დაჭრილია რამდენიმე კაცი“.** (იხ. „კომუნისტი“ 7 მაისი).

მაშ, უსურვოთ მათ წარმატება ამ მიმართულებით.

მრავალრიცხოვანი ნაციონალისტური ქართული ინტელიგენცია საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგე რჩება, ასეთია მისი სოციალური ბუნება. მასში ადგილი აქვს გარდატეხას, მაგრამ ეს გარდატეხა თვალსაჩინო არ არის. ყოფილი თავად-აზნაურობა, მღვდლები და კულაკები მომავალშიც მენშევიკების დასაყრდენ ძალად დარჩებიან.

გლეხობა, მისი უმრავლესობა ჩვენს მხარეზეა.

დაშნაკელები, რომლებმაც თავიანთი მზაკვრული პოლიტიკით დაანგრიეს სომხეთი, ფიზიკურად გაანადგურეს სომხეთის მცხოვრებთა უდიდესი ნაწილი პირველ წლებში მიიმალენ, მიყუჩდენ. ისინი ვერ ბედავდენ სომხის გლეხთან მისვლას და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყებისაკენ მოწოდებას, ისინი ამას ვერც დღეს ბედავენ. სომხეთის გლეხობა არ წავა ამ ავანტიურისტებთან ერთად საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. მაგრამ უაზრობა იქნებოდა გვეთქვა, რომ ისინი არ მუშაობენ; ისინი სპეკულიაციას ეწევიან სომხეთში მიწების დიდი სივიწროვით და გულუბრყვილო ხალხის თვალებს აპყრობენ ოსმალეთის საზღვრის იქითა მხარესაკენ. ამ აგიტაციამ არ შეიძლება გავლენა არ მოახდინოს სომხების ერთ ნაწილზე, განსაკუთრებით ოსმალეთში ყოფილ მცხოვრებ სომხებზე.

არიან თუ არა მუსავატისტები აზერბეიჯანში? არიან, ყოფილი მემამულეები, მრეწველები, სახლის პატრონები, ვაჭრები, ინტელიგენცია — აი ბაზისი მუსავატისტებისათვის. აზერბეიჯანის გლეხობა პირველად დღეს გრძნობს თავს, როგორც ერი. დღემდის ის იყო მხოლოდ მაჰმადიანი, ეხლა ის თურქია. ამ შეგნებით ის მხოლოდ ეხლა იმსჭვალება. აქ უსათუოდ არის ნიადაგი ნაციონალისტური პარტიებისათვის, მაგრამ ჩვენი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ აზერბეიჯანის გლეხობის ეროვნული თვითშეგნების გაღვიძება ხდება ჩვენს დროს და განსაზღვრულ პირობებში შეიძლება წავიყვანოთ ჩვენი ხელმძღვანელობის ქვეშ. საბჭოთა აზერბეიჯანი პირველ ნაბიჯებს სდგამს თურქ ხალხთა ხელმძღვანელობისთვის არა მარტო ჩვენს კავშირში, არამედ მის გარეშეც. რამოდენიმე ხნის უკან ბაქოში შეკრებილ თურქოლოგიურ ყრილობას ამ მხრივ უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ბევრ ამხანაგს არ ესმის ეს. ის გარემოება, რომ ასეთი უდიდესი კულტურული მნიშვნელობის წამოწყების ცხოვრებაში გატარება, როგორიც არის ახალი თურქული ალფავიტი, რომელსაც ძირითადი ცვლილება შეაქვს თურქ ხალხთა კულტურულ განვითარების საქმეში, თავს იდვა საბჭოთა აზერბეიჯანმა —აყენებს მას თურქ ხალხთა სათავეში.

თურქოლოგიური ყრილობა ამ მხრივ პირველი ნაბიჯი იყო. საბჭოთა აზერბეიჯანი უნდა შეიქნეს ბოლშევიკური „სახალიფო“ თურქ ხალხთათვის ყოველგვარი სისინი ყრილობის გარშემო არარაა ამასთან შედარებით. მაგრამ ამაშივე მდგომარეობს უდიდესი სიძნელენი ჩვენი აზერბეიჯანელი ამხანაგებისათვის. ძველი, ბოლშევიკური კადრი თურქ მუშაკთა შორის ჩვენ არა გვყავს და შესაძლებელია, რომ ესა თუ ის კომუნისტი ადვილათ წალეკოს ნაციონალისტურმა ტალღამ. აქ საჭიროა ძლიერი ინტერნაციონალისტური აღზრდა; ეს აღზრდა თურქ კომუნისტებს უნდა მისცეს და აძლევს კიდეც ბაქოს პროლეტარიატი; ბაქოს პროლეტარიატის მიერ აღზრდილ აზერბეიჯანელ კომუნისტებს, რომელიც სასტიკ ბრძოლას აწარმოებს ნაციონალიზმის წინააღმდეგ, შეუძლიათ გადააქციონ საბჭოთა აზერბეიჯანი ახლო აღმოსავლეთის ნამდვილ ბოლშევიკურ ცენტრად.

დაუბრუნდეთ ჩვენი მტრების — მენშევიკების, დაშნაკელების, მუსავატელების ტაქტიკას. როგორ ტაქტიკას ადგიან ისინი ამჟამად? ისინი ეხლა არ სვამენ საკითხს უშუალო აჯანყების შესახებ. შეიარაღებულ აჯანყებას თავი გაანებეს მენშევიკებმა, რადგან დაინახეს, რომ აქედან [illegible] გამოდის. ამ ნიადაგზე ამჟამად უთანხმოებაა მუსავატელების პარტიაში რასულ-ზადესა და ექიმ სულთანოვს შორის. რასულ-ზადეს ესმის, რომ შეიარაღებულ აჯანყების დაწყება აზერბეიჯანში ეს აშკარა დამარცხებას ნიშნავს. ასეთივეა მდგომარეობა სომხეთში. დაშნაკელები არც ეხლა სვამენ საკითხს შეიარაღებულ აჯანყებაზე; ეს გასაგებიც არის: შეიარაღებულ აჯანყების მოწყობის ცდა სომხეთში მათ საბოლოო დასამარებას მოასწავებს. როგორია მათი ტაქტიკა? ისინი ძვრებიან ჩვენს დაწესებულებებში, საბჭოთა აპარატში, კოოპერაციაში, სამოსწავლო დაწესებულებებში და სხვა, და იქ აწარმოებენ მუშაობას ჩვენი აპარატის დასარღვევად, გვიფუჭებენ საქმეს. ამრიგათ ცდილობენ ისინი საბჭოთა ხელისუფლებისათვის სახელის გატეხას.

ავიღოთ მასწავლებლობა. საქართველოში და სომხეთში მათი რიცხვი საგრძნობია. აზერბეიჯანში ისინი არ არიან ბლომად; ყველა ისინი, მცირე გამონაკლისის გარდა, ანტიკომუნისტური ელემენტებია, ისინი გახელებულ მუშაობას აწარმოებენ ჩვენი ახალ გაზრდობის დასაპყრობად. ერთი სიტყვით, ყოველგვარ ლეგალურ საშუალებათა გამოყენება ანტისაბჭოთა ელემენტების ძირითადი ტაქტიკური მანიოვრია ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლაში.

ავიღოთ ამხ. კულიევის მიერ ხელშეკრულების დადება ცნობილ საერთაშორისო აფერისტ, ყალბ ფულების მჭრელ მესაროშისთან, ანდა ოსმალეთიდან მასწავლებლების მოწვევა. ასეთსავე მოვლენებს აქვს ადგილი საქართველოშიც და სომხეთშიც. აი რა სიბრტყეზე სწარმოებს ბრძოლა: ყოველგვარ ლეგალურ საშუალებათა გამოყენება იმისათვის, რომ დამარცხებულ იქნეს საბჭოთა ხელისუფლება.

ნაციონალიზმი

როგორ დგას ჩვენში ეხლა ეს საკითხი? ამხ. შახგელდიანის და სვანიძის მოხსენებიდან ჩვენ გავიგეთ, რომ ამ ნიადაგზე არის შეხლა-შემოხლა, მე კი ვიტყვი, რომ შეხლა - შემოხლა კი არა, ამ საქმეს ძალიან ცუდი სუნი უდის. ყველა რესპუბლიკაში არის ეროვნული უმცირესობა. თითქოს ყველა რესპუბლიკების ინტერესს შეადგენს ისეთი მოქმედება, რომ ყველა ეროვნული უმცირესობა კმაყოფილი იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ასტეხენ ჩხუბს, დაიწყებენ ლაპარაკს გამოყოფის და შეერთების შესახებ, დაიწყებენ წერას ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტში, ცაკში, მისწერენ კალინინს და სხვა.

ეს გაუგებარი რჩება ჩვენი აპარატის ზოგიერთ ხელმძღვანელთათვის. დავიწყოთ საქართველოდან. რა მოხდა შარშან ახალქალაქის მაზრაში? როცა ჩვენ გავგზავნეთ იქ ამხანაგები საქმის გამოსაკვლევად გამოირკვა, რომ 37 სოფელმა განაცხადა სურვილი სომხეთთან შეერთების შესახებ. ეს ხომ სკანდალია, როცა საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქეებს სურთ გაქცევა ამა თუ იმ საბჭოთა რესპუბლიკიდან მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი არიან სომხები და არა ქართველები, ეს ხომ სამარცხვინოა. რატომ ჰქონდა ამას ადგილი? იმიტომ, რომ ჩვენმა მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატის აპარატმა საშინელი არევ-დარევა შეიტანა იქ მიწის საკითხში, ისე რომ ხალხმა ვეღარ ჰპოვა სხვა გამოსავალი. ამ აპარატის წყალობით ჩამოვარდა მტრობა სომხეთის მოსახლეობასა და მეცხვარე ქართველებს შორის. ჩვენ გავგზავნეთ იქ ამხ. სტეპანოვი და ამხ. ხააკიანი და როგორი იყო მათი მუშაობის შედეგი 1 წლის განმავლობაში? ეხლა უკვე აღარ არის ლაპარაკი გამოყოფის, შეერთების შესახებ და სხვ. აღარ არსებობს აგრეთვე დავა მეცხვარეებთან. როცა მე დღეს შევეკითხე ამხ. სტეპანოვს, როგორია დამოკიდებულება მეცხვარეებთან მეთქი, მან მიპასუხა, რომ მიმდინარე წელს ახალქალაქის მაზრაში გაშვებულია მილიონი სული ცხვარი, წინად კი დავა იყო 500.000 სულზეო. როცა ახალქალაქის მოსახლეობას მოვეპყარით არა როგორც უცხოელებს, არამედ როგორც საკუთარი ორგანიზმის ნაწილს, მაშინ ისინი დარწმუნდენ, რომ საქართველოს რესპუბლიკა მათთვის დედინაცვალი კი არ არის, არამედ მშობელი დედაა იგივე ხდება აზერბეიჯანში, განჯის რაიონის მთიან ნაწილში. იქ მიწა უნდა მიეცათ სომხებისათვის. მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატი დაჰპირდა მათ და გაცემულ იქნა სათანადო განკარგულება, ხოლო როცა ამხ. ბუნიატ-ზადემ შეამოწმა განკარგულების შესრულება, აღმოჩნდა, რომ აპარატს აქამდის არაფერი გაუკეთებია ამ მიმართულებით. არა რასიული შუღლი თურქებსა და სომხებს შორის, არამედ მიწის, წყლის და სხვა საკითხები იწვევენ ინტერესების შეტაკებას, ხოლო დაშნაკელები და მუსავატელები ამ უკმაყოფილებას ნაციონალისტურ იდეოლოგიათ აყალიბებენ. იგივე მოხდა ველიბასარში. ჩვენ არა ერთხელ მოგვიგონებია ამხ. სომხებისათვის ველიბასარის შესახებ. ველიბასარის თურქები რომ ვაიძულოთ საქმის წარმოება იქონიონ სომხურ ენაზე — ის ხომ მათი გალიზიანება იქნება. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამიერ-კავკასიამ ნაციონალურ ურთი - ერთობის მხრივ განიცადა შურის და მტრობის არაჩვეულებრივი კოშმარული დღეები ცარიზმის და ნაციონალისტური პარტიების ბატონობის დროს. მე მგონია, რომ ჩვენი ბრძოლა ნაციონალიზმის წინააღმდეგ უკანასკნელ დროს რამოდენიმეთ მოდუნდა. ჩვენ ყურს ეხლა იმდენათ აღარ ეხამუშება ყოველგვარი ნაციონალისტური გამოსვლები, როგორც ეს იყო წინად. ნაციონალისტურ ინტელიგენციის წინაშე ზოგიერთ დათმობაზე წასვლის აუცილებლობას, ზოგიერთი ჩვენი ამხანაგები უყურებენ, როგორც კანონიერ მოვლენას თვით კომუნისტებს შორის. ყოველ შემთხვევაში არ არის ის გააფთრებული ბრძოლა ნაციონალიზმის წინააღმდეგ, რომელიც საჭიროა. ბრძოლა ნაციონალიზმის წინააღმდეგ, ამხანაგებო, წინანდებურათ გაშლილი ფრონტით უნდა სწარმოებდეს, საჭიროა, რათა ახალი თაობა ინტერნაციონალურ ნიადაგზე აღვზარდოთ.

ამხ. სტალინმა თბილისში წარმოთქმულ სიტყვაში 1921 წელს განაცხადა: „გახურებული შანთით უნდა ამოვსწვათ ნაციონალიზმი“-ო. ის არ არის კომუნისტი, ვისაც ეს არ ესმის. არაფერი არ არის ჩვენთვის ისეთი საშიში ამიერ-კავკასიაში, როგორც ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესუსტება. ჩვენ ვიმყოფებით ამიერ - კავკასიის რესპუბლიკის ცენტრში და ჩვენ ხშირად გვხვდება ასეთი მოვლენა. თავისთავად ცხადია თვითეულ რესპუბლიკას სურს მეტი ფულის მიღება. ეს არაფერია, მაგრამ როცა ეს საკითხები გადააქვთ ნაციონალურ ურთიერთობის ნიადაგზე, ეს ყოვლად დაუშვებელია. საკმარისია აწყენინო რომელიმე უსაქმო პირს და ის მაშინათვე შეეცდება თავისი პირადი შეურაცხყოფა გადაიტანოს ნაციონალურ ნიადაგზე და სპეკულიაცია გასწიოს მასზედ. ასეთ სპეკულიანტებს, იქნება ის კომუნისტი თუ არა კომუნისტი, უნდა მოვცხოთ ძველებურათ, ბოლშევიკურათ.

სოფლად

რას ვხედავთ ჩვენ სოფლად? როგორ ჩატარდა უკანასკნელი საბჭოთა არჩევნები? უკანასკნელ არჩევნების დროს გლეხობამ დიდი აქტივობა გამოიჩინა. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს აზერბეიჯანი, სადაც გლეხი ამ არჩევნებში პირველად გამოვიდა აზერბეიჯანელ გლეხისათვის უჩვეულო აქტიობით. ქართველ და სომეხ გლეხს პოლიტიკური ბრძოლის დიდი სკოლა აქვს გავლილი, ამიტომ აქ აქტივობა არ შეიძლება ჩაითვალოს რაიმე განსაკუთრებულ მოვლენად, მაგრამ არც აქ არის საჭირო სინამდვილის ზედმეტად შეფასება. იმა[illegible] აზერბეიჯანში, ლენქორანის მაზრის სა[illegible] კომიტეტის მდივნის ამხ. ველიბე[illegible]ვის სიტყვით, გლეხობა სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეების საანგარიშო მოხსენებების შემდეგ არ გამოდიოდა განსაკუთრებული ხალისით, გლეხობა უმთავრესად გამოცოცხლდა გლეხთა ფართე კონფერენციებზე, ხოლო შემდეგ დაირების და სამაზრო ყრილობებზე. უნდა სამართლიანად აღინიშნოს, რომ ჩვენი სამაზრო მუშაკები ცდილობდენ კეთილსინდისიერად ჩაეტარებიათ საბჭოთა არჩევნები. მნიშვნელოვანი როლი ითამაშა უწყებამაც, რომელიც იძლეოდა ცნობებს არჩევნებისა და საარჩევნო უფლებების შესახებ. ამ უწყებებს ხშირად უყურებდენ, როგორც სავალდებულო გამოწვევას; მიუხედავათ ამისა გამოჩენილ იქნა უდიდესი აქტივობა.

აზერბეიჯანელ ამხანაგების მოხსენებების და ამხ. სვირიდოვის წერილის თანახმად უდიდესი აქტივობა ქალმა გამოიჩინა აზერბეიჯანის სოფელში, ხოლო პოლიტიკურად ყველაზე უფრო აქტიური აქ აღმოჩნდა აზერბეიჯანის ყველაზე უფრო ჩამორჩენილ რაიონის, ქურთისტანის ქალი. ქურთისტანელი ქალის მონაწილეობა არჩევნებში 100 პროცენტამდე აღწევს. საქართველოს და სომხეთის საბჭოებში არჩეულ ქალების რიცხვი შემცირდა, აზერბეიჯანში კი გაიზარდა 6,4 პროცენტიდან 14,5 პროცენტამდე. „აქ ჩვენ გლეხობის მონაწილეობის მაღალ პროცენტს გარდა, ვხედავთ არაჩვეულებრივ მოვლენას, რომელიც ეფექტამდე მიდის—ეს არის თურქი ქალის მონაწილეობის გადიდება წარსული წლის 4 პროცენტიდან 46,3 პროცენტამდე“. (სვირიდოვის წერილი). უნდა ითქვას, რომ ამხ. სვირიდოვის გულუბრყვილობა აქ უკიდურეს საზღვრამდე აღწევს. თურქ ქალს გამოცოცხლება რომ დაეტყო ეს, ეჭვს გარეშეა, ჩვენი დიდი მიღწევაა, მაგრამ ამის წარმოდგენა ისე, როგორც ზოგიერთი ამხანაგი შვრება. თავის-თავის მოტყუილებაა. მივმართოთ იმავე ამხ. ველიბეკოვს. ის ამბობს, რომ შარშან იყო უბრალო განაწილება და ყოველ რაიონში ირჩევდენ ქალების განსაზღვრულ პროცენტს, და ეს არჩეულებიც მთელი წლის განმავლობაში არც ერთ სხდომას არ დასწრებიან. მიმდინარე წელს ჩვენ შევეცადეთ, რომ ამას არ ჰქონოდა ადგილი, რომ არ ყოფილიყო მკვდარი სულები. უკეთესია ქალების რიცხვი ნაკლები იყოს, მაგრამ ვინც იქნება აქტიური მონაწილეობა მიიღოს საბჭოს მუშაობაში. მაგალითად, ჩვენ ყველა სასოფლო საბჭოებში ავირჩიეთ 139 ქალი, მაგრამ ეს 139 ქალი წარმოადგენენ საბჭოების ნამდვილ წევრებს. ეს ქალები მონაწილეობას იღებდენ კრებებზე, გამოდიოდენ ყრილობებზე და სხვ., ასე რომ ამ მხრივ ხელოვნურ მიდგომას არ ჰქონია ადგილი. სავსებით სწორია, ხელოვნური მიდგომა არ არის საჭირო. მკვდარი სულები არ არის საჭირო, ხოლო სვირიდოვის სულების სამი მეოთხედი მკვდარი სულებია. ამასვე ამბობს ამხ. ხალილოვი შემახიდან: „ჩვენი კომისია მოითხოვდა, რომ თუ ქალები არ იქნებიან, არჩევნები არ მოხდებაო“. ისეთი უდიდესი ამოცანა, როგორიცაა თურქი ქალების განთავისუფლება და მათი შეგნებულად ჩაბმა პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ვერ გადაიჭრება ასე უბრალოთ და ადვილათ. ჩვენ უნდა ვაწარმოოთ ხანგრძლივი და სისტემატიური ბრძოლა ქალების განთავისუფლებისათვის. საჭირო არ არის რელიაციები ჩვენი გამარჯვების შესახებ. ვიმეორებ, მე არ უარვყოფ ზოგიერთ წარმატებას ამ სფეროში, მაგრამ გადაჭრით ვილაშქრებ იმათ წინააღმდეგ. ვინც ფიქრობს, რომ ამ საკითხის გადაჭრა ასე ადვილათ შეიძლება.

კულაკმა თავისი თავი გამოიჩინა, ის გაფაციცებით იბრძოდა გასაბატონებლად, არავითარ საშუალებას არ ერიდებოდა, ზოგიერთ ადგილში მიმართავდა ამომრჩეველთა მოქრთამვას, 3 მანეთს პირდებოდა იმას, ვინც მის კანდიდატს ხმას მისცემდა. ის თავის მხარზე რაზმავდა გლეხებს, აწყობდა ღამ-ღამობით არალეგალურ კრებებს და სხვ. ზოგიერთ ადგილას კულაკი ახერხებდა ამომრჩევლების შეცდენას, მაგრამ საერთოდ კი არჩევნებში ის დამარცხდა იქ, სადაც პარტია სწორ ხაზს ატარებდა.

საშუალო გლეხობა საერთოდ კულაკობის წინააღმდეგ მიდიოდა, მაგრამ იყო შემთხვევები, როცა ის კულაკთან ერთად იყო ღარიბი გლეხობის წინააღმდეგ. რადგან ღარიბი გლეხი მას ზარმაცად მიაჩნდა.

მათი აქტივობა სხვადასხვა რაიონში სხვადასხვაგვარია. ზოგ ადგილას ისინი საკმაოდ მასიურად იქცეოდენ, მხოლოდ იქ, სადაც პარტია აწყობდა ღარიბ გლეხთა თათბირებს და ჯგუფებს, ისინი აქტივობას იჩენდენ და ზოგჯერ ხელმძღვანელ როლსაც თამაშობდენ, მაგრამ ეს გამონაკლისს წარმოადგენდა.

ზოგიერთ ჩვენს მაზრაში ღარიბი გლეხობის დარაზმვა არ ხდებოდა; ზოგიერთი სოფლის უჯრედი და სამაზრო კომიტეტი უარჰყოფდა დიფერენციაციას სოფლად.

საკითხის ასეთი გაგება აბსოლიუტიურად შემცდარია და ერთხელ და სამუდამოდ კატეგორიულად უარყოფილ უნდა იქნეს. ღარიბი გლეხები და მოჯამაგირეები ყოველთვის და ყოველგვარ პირობებში ისეთ ელემენტებს წარმოადგენენ, რომელთა დარაზმვაზე უნდა ზრუნავდეს ჩვენი პარტია. ამხ. [illegible] სიტყვით, [illegible] 25.000-დე მოჯამაგირეა. ეს ხომ მთელი არმიაა. და ეს არმია ჩვენი უნდა იყოს.

მე მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო კიდევ ერთ მოვლენას, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენს სოფელში. ამხ. საფაროვი, აგდაშის სამაზრო კომიტეტის მდივანი, გვიამბობს: ჩვენ სოფლელებისაგან გავიგეთ, რომ ვინმე ალი იუზბაშის, რომელიც სოფელში ჩამოდის, თურმე ჰყოლია თავისი აგენტები, რომელნიც დადიან სოფლად და ლაპარაკობენ — საჭიროა ქრთამის აღება, უქრთამოდ არაფერი არ გამოვა, შეაგროვეთ ფული. აგენტები იმუქრებიან, რომ თუ ვინმემ ეს გაამხილა, მთელს სოფელს ააწიოკებენ, სულ ყველას დახვრეტენ. ქრთამს ცენტრში ღებულობენ, ეს არსად სთქვათო. აგროვებენ, ვსთქვათ, ორ-ორ მანეთს ყოველი კომლიდან, თუ სოფელში 300—400 კომლია, აგროვებენ 600—800 მანეთს. ალი იუზბაში ამ აგენტებს უზიდავს მანუფაქტურას და ისინიც გაჩუმებული არიან. ამრიგად ისინი სცარცვავენ გლეხობას.

ავიღოთ მეორე ასეთივე ფაქტი:

ლორი-ბამბაკის მაზრაში ასეთ მოვლენას აქვს ადგილი: ამა თუ იმ საკითხის გადასაჭრელად თუ გამოსარკვევად, სოფლები ირჩევენ „გზირებს“ („ხოდოკებს“), რომელთაც გზავნიან ცენტრში ცენტრალურ ხელისუფლებასთან კავშირის დასაჭერად. „გზირები“ ჩვეულებრივ წარმოადგენენ ანტისაბჭოთა ელემენტებს. ესენია სასულიერო წოდებიდან გამოსული პირები, კულაკები და სხვები, რომელთაც წართმეული აქვთ ხმის მიცემის უფლება. „გზირების“ გზავნას მაზრის ზოგიერთ სოფლებში მასიური ხასიათი აქვს; კულაკური ელემენტები აკრიტიკებენ საბჭოთა ორგანოებს ამა თუ იმ საკითხის გამო და ცდილობენ დააჯერონ გლეხები, რომ აუცილებელია „გზირების“ არჩევა. ჩვეულებრივ „გზირებათ“ მიდიან იგივე კულაკები, რომელნიც გლეხებს ამხედრებენ საბჭოთა ორგანოების წინააღმდეგ.

ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ ადგილობრივ მდგომარეობა ცუდათ არის, ხოლო მოხსენებაში, რომელნიც აქ მოვისმინეთ, ამისათვის ყურადღება არ მიუქცევიათ. მოხსენებაში ამაზე არაფერი უთქვამთ. ეს კი, ამხანაგებო, ძალიან ცუდი მოვლენაა. მე იმის წინააღმდეგი კი არ ვარ, რომ გლეხები უშუალოდ მიმართავდენ ცენტრალურ ხელისუფლებას, არ ვარ იმის წინააღმდეგი, რომ გლეხებს საჩივარი შემოჰქონდეთ სამაზრო ხელისუფლების წინააღმდეგ და სხვ.

მე გუშინ წერილი მივიღე ამხ. კალინინისაგან, რომლისთვისაც მიუმართავს ერთ-ერთ გლეხს სომხეთიდან იმისათვის, რომ მას ერთი ოთახი ჩამოართვეს. საქმე ამაში კი არ არის, არამედ იმაში, რომ ვინმე ეიგინდარა ძარცვავს გლეხებს და არწმუნებს მათ, რომ უქრთამოდ საქმე არ გაკეთდებაო და გლეხი მას უჯერის. გლეხს უფრო სჯერა ალი იუზბაშის, ვინემ ხელისუფლების წარმომადგენლების— აი რაშია უბედურება. იმდენად ახლოს უნდა ვიდგეთ გლეხთა მასებთან, იმდენად გულდასმით უნდა ვუდგებოდეთ მათ ინტერესებს რომ გლეხს არ დასჭირდეს მექრთამეობის და ალი იუზბაშებისთანა წურბლების ძებნა.

პარტიის ხელმძღვანელობით არჩევნები საერთოდ დამაკმაყოფილებელია. პარტიამ სოფლად დიდი მუშაობა გასწია, მაგრამ აქაიქ ადგილი ჰქონდა [illegible] სკანდალური ხასიათის მოვლენებსაც. სუსტ უჯრედებში კულაკების აგიტაციამ ის ნაყოფი გამოიღო, რომ წარმოიშვა უთანხმოება და დაჯგუფება.

ყოფილა შემთხვევა, როცა უჯრედის ერთი ნაწილი მეორეს წინააღმდეგ გამოდიოდა იმავე უჯრედში გლეხობის ნაწილთან ერთად. ყოფილა შემთხვევა, როცა კომკავშირელები პარტუჯრედის წინააღმდეგ გამოდიოდენ.

ეს, ამხანაგებო, ჩვენთვის ყოვლად სკანდალური ფაქტებია. ეს მოწმობს ჩვენი უჯრედების სისუსტეს სოფლად.

ეს იმას მოწმობს, რომ გაშლილმა საბჭოთა დემოკრატიამ არევ-დარევა შეიტანა ჩვენი სოფლების სუსტ უჯრედების ზოგიერთ რიგში, ეს მოწმობს, რომ ზოგიერთ ადგილას კომკავშირი მოსწყდა პარტიულ უჯრედების გავლენას. მართალია, ამ მოვლენებს მხოლოდ ზოგიერთ ადგილას ვხვდებოდით, მაგრამ საჭიროა ეხლავე სერიოზული ყურადღება მიექცეს ამას. გადასინჯული უნდა იქნენ აღნიშნული უჯრედები, უნდა გავაძევოთ პარტიიდან ისეთი წევრები, რომელნიც მოექცენ ჩვენთვის უცხო ელემენტების გავლენის ქვეშ და თავისი სამარცხვინო გამოსვლებით დეზორგანიზაცია შეიტანეს არჩევნებში. საჭიროა მეტი აღმზრდელობითი მუშაობა სოფლის უჯრედებში.

კომკავშირს, როგორც სჩანს, გლეხობა უარყოფითად ხვდება არჩევნების დროს; „როცა ისინი თავისი ბოსტნის გაშენებას ისწავლიან, მაშინ შეიძლება მათი არჩევა საბჭოებში“,—ასე ლაპარაკობენ გლეხები, ამხ. კარაკოზოვის სიტყვით. როგორც ხედავთ, ამხანაგებო, გლეხი ჩვენს კომკავშირელს ავალებს, რომ ის ახლოს იყოს ბოსტანთან. რასაკვირველია, აქ ძალიან დიდ როლს თამაშობს ჩვენი სოფლის პატრიარქალურობაც.

გლეხი ვერ შერიგებია იმას, რომ მის „ბალღს“ მართვა-გამგეობის სათავეში დგომა სურს; ამასთან ერთად გლეხი სავსებით სამართლიანად მოითხოვს, რომ ის არ მოსწყდეს მის მეურნეობას და დაეხმაროს მას.

მუშათა აქტივობა

მუშების სულიერი განწყობილების შესახებ მე საერთოდ ვეთანხმები ამხ. კასუმოვს, თუმცა, ჩემი აზრით, საჭიროა მეტი აქტივობა, ვინემ აქამდე იყო. აქ, ჩემი აზრით, მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი ქალაქის საბჭოების მუშაობაში საკმაოდ ვერ არიან ჩაბმული მუშათა ფართო მასები. ჩვენი ქალაქის საბჭოები ძალიან დიდ მუშაობას ეწევიან, დიდი აღმშენებლობა სწარმოებს. პირდაპირ განცვიფრებაში მოდიხარ, როცა ხედავთ, რამდენი რამ გაკეთებულა ბაქოში, მაგრამ ეს ყველაფერი თითქოს რაღაც შინაურულად კეთდება. ამხანაგები ლაპარაკობენ—დრო ცოტა გვაქვს, უნდა ვაშენოთ, უნდა ვიჩქაროთ, რა საჭიროა საბჭოს პლენუმის მოწვევა, უამისოდაც იოლათ წავალთ. და მუშაც ეჩვევა ასეთ მდგომარეობას და ლაპარაკობს: „გააკეთებენ“, „ალმასკომის პრეზიდიუმი გააკეთებს“. ამ საკითხებით კი მუშათა კლასი უაღრესად დაინტერესებულია. მუშების მონაწილეობა ამ საკითხების გადაჭრაში ბევრ ახალსა და საქმიან რამეს მოგვცემს. ბაქოში ვეებერთელა მუშათა ახალშენები კეთდება. რატომ ეს არ უნდა ირჩეოდეს საბჭოს პლენუმზე ან თუნდაც მისი სექციის სხდომაზე? სახალხო განათლება, საექიმო დახმარება, ბიუჯეტი—ყოველივე ეს მუშათა ფართო მასების მიერ უნდა იქნეს განხილული. წინად ჩვენ მუშათა რაიონებში ვმართავდით საბჭოს სხდომებს, რატომ ეხლა არ უნდა გავმართოთ? ის ადგილი, სადაც ჩვენ ვიკრიბებით, ბურჟუაზიის ცენტრს წარმოადგენდა. მუშები დაშორებული იყვნენ ამ ცენტრებს და ამიტომ მათ უძნელდებათ სხდომებზე დასწრება თავთავის დროზე, აბა მოაწყვეთ სხდომა ბალახანში—თუ ყველანი არ გამოცხადდენ ცოლებით და ბავშვებით. წინად ჩვენი საბჭოები არჩევდენ მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხებს,ეს ეხლაც უნდა ხდებოდეს საბჭოს ხმა საყვირის ხმას უნდა წარმოადგენდეს ყველა მშრომელთათვის, პირველი სიტყვა ყველა საკითხებში მას უნდა ეკუთვნოდეს.

ორიოდე სიტყვა ინტელიგენციის მონაწილეობის შესახებ ჩვენს საბჭოებში. არჩევნების დროს ის საკმაო რაოდენობით მოვიდა საბჭოებში, განსაკუთრებით საქართველოში. ეს ცუდი არ არის, ეს იმას მოწმობს, რომ სოფლის კულტურული ძალები ებმებიან მუშაობაში. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს არის წვრილ-ბურჟუაზიული ინტელიგენცია და ის, ამხ. სტალინის სიტყვით რომ ვსთქვათ, გლეხობის ზედაფენებს დარაზმავს. ეს კარგად უნდა გვახსოვდეს.

კოოპერაცია და სახელმწიფო ვაჭრობა

რამდენიმე სიტყვაც კოოპერაციათა და სახ. ვაჭრობაზე. ჩვენ მუშაობის ამ დარგში ისეთი შეცდომებია, რომ თითქმის დანაშაულს უთანასწორდება. პარტიის ძირითად ლოზუნგს შეადგენს—საწვრილმანო ფასების დაკლება. ჩვენ კი მოსკოვიდან დაბრუნებისას აქ დაგვხვდა კოოპერაციის წინადადება საწვრილმანო ფასებზე ზედნართების დამატების შესახებ. მათ გადაუწყვეტიათ: საქონელი ცოტაა, მოთხოვნილება დიდია, მოდი ვისარგებლოთ ამითიო. ეს ხომ სრული გაუგებრობაა სახ. ინტერესებისა. აი, კიდევ მაგალითი: საქონლის ნაკლებობაა, „არმკოოპი“ კი მთელ ვაგონ ფართლეულობას ჰყიდის კერძო ვაჭრებზე და იღებს 5.600 მანეთს. წამატებათ თვითღირებულებაზე 15—20 პროც. კერძოები კიდევ თავის მხრივ უმატებენ ერთ-ორათ და ერთ-სამათ, და ამას ეწოდება ფასების დაკლებისთვის ბრძოლა? ამხ. შახგელდიანი კი სჩივის საქონლის ფასების მაღალ ინდექსზე. ეხლა ავიღოთ სომხეთის სახელ. ვაჭრობა.

სომხეთის სახ. ვაჭრობას კერძო ბაზარზე გაუყიდია ფართლეულობა:

	ცენტრში	პროც. საერთო განაყიდ.	ლენინაკანში	პროც.	სულ	პროც.
იანვარი . .	52.000 მ.	33,5	6.197 მ.	10,3	58.197	27
თებერვალი	54.195 მ.	61,5	53.830 მ.	97	108.025	75
მარტი . .	26.896 მ.	36.	5.825 მ.	88	32.721	36
სულ . .	133.090 მან.	42%	65.852 მ.	54,5	198.943 მ.	44%

აქედან კრედიტათ გაყიდულია 73.256 მან. (37%). ვადა 20—45 დღე.

საერთო განაყიდიდან თბილისის ვაჭრებზე მოდის 62.032 მან., რაც შეადგენს 31 პროცენტს.

ამას ეწოდება ბრძოლა კერძო კაპიტალთან, ბრძოლა ფასების დაკლებისთვის. და რაც ყველაზე უარესია—ეს ხდება შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის ნებართვით. განა ასე უნდა აწესრიგებდეს ბაზარს შინა-ვაჭრობა? არა, ამხანაგებო, ეს შეუძლებელია! ეს ყოვლად შეუფერებელია!

ამგვარი ქცევისთვის ჩვენ სიცხე დავაყენეთ ამხ. ერისთავს და ფარაჯ-ზადეს. ასეთივე სიცხე უნდა დავაყენოთ ზემოდასახელებულ ორგანოების ხელმძღვანელებს.

ამბობენ, რომ ისინი კარგი მუშაკები არიანო. მე უარს არ ვყოფ. სწორედ ამიტომ უფრო უნდა დავაყენოთ სიცხე.

მე არ ვილაპარაკებ კერძოდ კოოპერაციაზე. ეს საკითხი უკვე ცალკე სდგას თათბირის დღის წესრიგში.

აი კიდევ ერთი პატარა საბუთი:

სოც. საბ. რესპ.
მუშ. და გლეხ. ინსპექციის
სახ. კომისარიატი
24 მარტი, 1926 წ.
№ 847

სახ. ბანკის საოლქო კანტორის გამგეს
ამხ. ფესიუკს

საქ. სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდ. მოადგილის ამხ. ჯუღელთან პირადი მოლაპარაკების შემდეგ. მუშ. და გლეხ. ინსპექციის სახ. კომისარიატი გატყობინებთ, რომ მას საწინააღმდეგო არაფერი ექნება იმ თამასუქების განაღდებისა, რომელნიც მოიპოვებიან ბორჯომის კომბინატის განკარგულებაში და ხელმოწერილია კონტრ-აგენტ ქებაძის მიერ.

საქ. მუშ. და გლეხ. ინსპექ. სახ. კომ. მოადგილე **(ქვარაცხელია).**

ვინ არის ქებაძე? ეს ქართული ცხოვრების ნადვილი გმირია. როგორის აღტაცებით ლაპარაკობს ზოგიერთი კომუნისტი მის შესახებ! როგორ დააყენა ბორჯომის წყალის გავრცელება, რა ადვილათ შოულობს ფულებს, როგორ ეხმარება საკურ. სამმართველოს და სხვა. საქმე კი სულ უბრალოა: ფულებს აძლევენ ჩვენი ბანკები, წყალს ვაძლევთ ჩვენ, მოგებას კი ქებაძე იდებს ჯიბეში და ჩვენ სამართლიანად გვასულელებს. 5 მაისისთვის მხოლოდ მას მართებს ჩვენი ბანკებისა თბილისში 270.000 მანეთი. ჩვენი ბანკები კი როცა ანაღდებენ ქებაძის მიერ ჩვენ დაწესებულებებზე გაცემულ თამასუქებს, ირწმუნებიან, რომ ფულებს ვაძლევთ არა ქებაძეს, არამედ სახ. ორგანოებსო. ქებაძემ კი თამასუქები გასცა ბორჯომის წყალიზე, ერთი ჩვენი ვითომდა ბანკირი სრულიად დამაჯერებელი კილოთი გვარწმუნებს: „მე, რასაკვირველია, ყველას მივცემ კრედიტებს, ვინც კი პირიანათ გამისწორებს ანგარიშსო“. ასეთი ვითომდა ბანკირები ჩვენ საკმაოდ მოგვეპოვება: ისინი ჩვენ უნდა გავანთავისუფლოთ „მძიმე ტვირთისაგან“.

ამხანაგებო! ამ ჩემი სიტყვის წაკითხვისას, ვიცი, რომ ჩვენი მტრები ღრეჯას დაიწყებენ, როგორც ეს მოხდა გასულ წელს ჩემი მოხსენების შესახებ, რომელიც ა.-კ. საოლქო კომ. პრეზიდიუმის წინაშე იყო წაკითხული. მე იმათ ვურჩევდი: შეადარონ ჩვენი სოფლის შარშანდელი მდგომარეობა დღევანდელს და აშკარათ დაინახავენ, თუ რამდენათ გამოსწორებულია მაშინდელი ნაკლი.

პარტიის ამოცანები

ეხლა კი რამდენიმე სიტყვა ვსთქვათ ჩვენს ამოცანებზე.

პირველყოვლისა ჩვენმა პარტიამ მთელი ძალ-ღონე უნდა გამოიყენოს, რომ ჩვენ წარმოებას მაქსიმალური რაოდენობით მიაწოდოს სათბობი მასალა. ამისათვის შესაძლებელ მაქსიმუმამდის უნდა ავიდეს ნავთის ამოღება. ბამბისა და მატყლის მიწოდებაც დამკვრელ ამოცანას უნდა შეადგენდეს ჩვენი ორგანოებისათვის. რაც შეიძლება მეტი ნავთი, მეტი ბამბა და მეტი მატყლი! აი, დღევანდელი ლოზუნგი ჩვენთვის.

ა.-კ. წარმოების გაფართოება შესაძლებელია ძალიან სწრაფად; საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს ადგილობრივ წარმოებას, რომელიც გააძლიერებს გლეხის დაგროვების საქონლიანობას და გააჯანსაღებს ადგილობრივ ბიუჯეტს.

ხელი უნდა შეუწყოთ სოფლის საწარმოო ძალების შეუჩერებელ განვითარებას და ჩვენი გლეხობის განთავისუფლებას მამა-პაპური გუთნის ტყვეობიდან, რომელიც შეცვლილ უნდა იქნეს ახალი გუთნით და ტრაქტორით. ხელი უნდა შეუწყოთ ძვირფას ტეხნიკურ კულტურაზე გადასვლას; ბოლოს საჭიროა სრული განვითარება ყოველგვარი კოოპერაციისა, განსაკუთრებით კი სასოფ.-სამეურ. კოოპერაციისა.

ყურადღება უნდა მიექცეს მიწის სივიწროვესთან ბრძოლას ნიადაგის გაპოხიერებით, რისთვისაც გაყვანილ უნდა იყვეს ახალი არხები და აღდგენილ იქნეს ადგილობრივი სარწყავი სისტემა.

უნდა დაიწყოს სასტიკი ბრძოლა ჩვენი აპარატების გაბერვის წინააღმდეგ და ყოველ ხაზზე განვახორციელოთ ყაირათიანობის სასტიკი წესი.

მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვის შედგენის დროს უნდა სავსებით გარდავქმნათ ჩვენი ბიუჯეტი, განსაკუთრებით კი ადგილობრივი, და ბიუჯეტის სიმძიმის ცენტრი ადმინისტრატიულ-სამართლოების ხარჯებიდან აღმშენებლობაზე უნდა გადავიდეს.

მუშებისა და გლეხების ფართო მასების ჩაბმა ჩვენს აღმშენებლობაში ჩვენი პარტიისთვის —ძველებურათ ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს

შეიძლება თუ არა მათი საქმეში ჩაბმა? შეიძლება. ეტანებიან თუ არა ამას მუშები და გლეხები? ეტანებიან. თუ სოფლად არ მოიპოვება გზა, სკოლა, საავადმყოფო და სხვა, დაე მთელმა სოფელმა მიიღოს მონაწილეობა იმათ აშენება-გაკეთებაში. თუ ამ საკითხებს საბჭოებში არ გაარჩევენ, ისე საქმის გამოცოცხლება შეუძლებელია. საერთაშორისო მდგომარეობაზე ლაპარაკი არ შეიძლება 15 წუთზე მეტ ხანს. გლეხები ან დასცინებენ და წავლენ, ან შეეშინდებათ, არ წავლენ, მაგრამ ყურმოყრუებული იდგებიან.

ჩვენს კომკავშირში დაახლოვებით 130.000 წევრია. ეს არის დიდი არმია, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს არმიის სიმრავლეს, თუ ის თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული არ არის, ხოლო ჩვენმა კომკავშირმა ბევრი რამ უნდა ისწავლოს, რომ შეიარაღდეს ცოდნით. უკანასკნელი არჩევნების დროს გამოირკვა, რომ საერთოდ კომკავშირის რიცხვი საბჭოებში შემცირდა. რასაკვირველია, ამას არავითარი განსაკუთრებული მნიშვნელობა არა აქვს. ეს არც ისე ცუდია: ისინი თავის დამარცხებებში ისწავლიან, თუ როგორ უნდა ბრძოლა. ყოველ მხრივ ხელი უნდა შეუწყოთ კომკავშირის რიცხვის ზრდას ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც მათი რიცხვი მეტად უმნიშვნელოა. იმავე დროს მათ უნდა განუმარტოთ, რომ უმაღლეს სასწავლებლებში საჭიროა სწავლა და არა მეტიჩრობა და მასხარაობა.

ორიოდე სიტყვა ჯარის შესახებ. მშვიდობიანი მდგომარეობა როგორღაც ასუსტებს ჩვენს ყურადღებას არმიის მიმართ. ეს დაუშვებელია. კარგად ჩაცმულ-დახურული, მაძღარი, შეგნებული და ძლიერი ჯარი საუკეთესო გარანტიაა იმის, რომ აღარ იქნება საჭირო მისი ბრძოლის ველზე გამოყვანა.

გადაჭრით ბოლო უნდა მოეღოს იმ მოვლენებს, რომელთაც ადგილი ჰქონდა არჩევნების დროს ზოგიერთ სასოფლო უჯრედსა და კომკავშირის ორგანიზაციაში. ის ორგანიზაციული დარაზმულობა, რომელიც ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა გამოიჩინეს არჩევნებზე, მომავალ არჩევნების დროს კიდევ უფრო გაძლიერებულ იქნება. პარტია და კომკავშირი ისე უნდა იყვნენ აღზრდილი და ორგანიზაციულად შეკავშირებული, რომ მტრის ვერავითარმა ოინმა ვერ შეიტანოს დაბნევა და არევ-დარევა მათ რიგებში. კომუნისტების რიცხვი სოფლად ჩვენში გაცილებით უფრო მეტია, ვინემ საბჭოთა კავშირის სხვა რომელიმე კუთხეში. საჭიროა მუშაობა მათი ხარისხის ასაწევათ. არ უნდა ვე[illegible] რიცხვის სიმრავლეს.

უნდა გავაფართოვოთ შინა-პარტიული დემოკრატია. როგორ ესმის ზოგიერთ ამხანაგს შინა-პარტიული დემოკრატია? ისინი ფიქრობენ, რომ თუ კენჭის ყრით აირჩიეს უჯრედის მდივანი, უკვე არსებობს შინა-პარტიული დემოკრატია. მონაწილეობს კი ჩვენი პარტია ყოველდღიურ მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხების განხილვაში? არა, ჩვენ აქამდის ვერ ვისწავლეთ ეს. აქამდის ჩვენ არ გვქონდა ეს შესაძლებლობა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ შინა-პარტიული დემოკრატია მდგომარეობს არა იმაში, რომ ავირჩიოთ თავმჯდომარე ან მდივანი, არამედ იმაში, რომ პარტიამ მონაწილეობა [illegible] პოლიტიკურ და ეკონომიურ საკითხების განხილვასა და გადაჭრაში, რომ ის გაეცნოს მთელ ჩვენ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებას. უამისოდ ის ვერ გაუწევს ხელმძღვანელობას მუშათა და გლეხთა მასებს. ეს, რასაკვირველია, არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს პარტიული დისციპლინის პარტიის გაერთიანებულ ხელმძღვანელობის შესუსტებას.

---

8 მაისის საღამოს სხდომა

8 მაისს, საღამოს სხდომაზე, ამხ. ბალტინის მოხსენების შემდეგ, მოხსენებებით გამოვიდენ საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის წარმომადგენლები.

ამხ. კაკაბაძის მოხსენება

ამხ. კაკაბაძემ გააცნო თათბირს „წარმოკავშირის“ მუშაობა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მდგომარეობა საქართველოში.

1923 წელში საქართველოში ითვლებოდა 7 სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა, რომელიც აერთიანებდა 3780 მეურნეობას, ანუ მოსახლეობის 1%. ამხანაგობათა რიცხვი თანდათანობით იზრდებოდა, და უკვე 1926 წლის პირველ იანვრისათვის 134-დე ავიდა,აერთიანებდა 37281 მეურნეობას ანუ მთელი მოსახლეობის 9,2 პროცენტს. მიმდინარე წლის აპრილში მოწვეული იყო თათბირი, რომელმაც გადაათვალიერა ძირითად სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ქსელი და დასტოვა მხოლოდ 101 ამხანაგობა. ამ ჟამად არსებობს, აგრდა ამისა, საკრედიტო ამხანაგობათა მთელი სისტემა, რომელსაც აერთიანებს სასოფლო-სამეურნეო ბანკი. წარმოკავშირის იდეური ხელმძღვანელობის ქვეშ მუშაობს აგრეთვე საქართველოს მეღვინეთა და მეხილეთა კავშირი.

ამხ. მომხსენებელმა დაწვრილებით დაახასიათა შემდეგ წარმოკავშირის საქმიანობა და აღნიშნა, რომ მის მუშაობას ზოგიერთ შემთხვევებში ხელს უშლის პარალელიზმი. ასე მაგალითად, მატყლის დამზადების საქმეში რამოდენიმე ორგანიზაცია მუშაობს, რომლებიც კონკურენციას უწევენ ერთი მეორეს და ამის გამო მატყლის დამზადება სუსტად მიმდინარეობს.

ამხ. სარქისოვის მოხსენება

ამხ. სარქისოვი აღნიშნავს, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია სომხეთში მხოლოდ 1924 წელში ჩამოყალიბდა. მაშინ სულ 13 ძირითადი ერთეული არსებობდა. რომელთა შორის 6 მერძევეთა ამხანაგობა იყო, 5 საკრედიტო და ორი შერეული. 1924 წლის დასასრულ მოწვეული იყო რწმუნებულთა ყრილობა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ორგანიზაციას სომხეთში.

გადავიდა რა ფინანსიურ მდგომარეობის დახასიათებაზე, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სომხეთის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია ერთ-ერთი უღარიბესთაგანია ამიერ-კავკასიაში. მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ პარტორგანიზაციები სუსტ მონაწილეობას იღებენ კოოპერატიულ აღმშენებლობაში. მას საჭიროთ მიაჩნია, კოოპერაციის გაძლიერება პარტმუშაკებით და გარდა ამისა, ფართო კამპანიის ჩატარება იმისათვის, რომ გლეხობამ გაიცნოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მნიშვნელობა. მერძევეთა და მეხილეთა საწარმოო არტელები რასაკვირველია უღარიბეს გლეხებს არ აერთიანებენ იმისათვის, რომ ჩათრეულ იქნეს უღარიბესი გლეხობა, საჭიროა მისთვის ინვენტარისა და კრედიტის მიწოდება. უამისოდ უღარიბეს გლეხობას კოოპერაციაში ვერ ჩავითრევთ. ამ მხრივ საჭიროა შესაფერი ზომების მიღება.

ამხ. ტაიროვის მოხსენება

აზერბეიჯანში არსებობს 94 სასოფლო-სამ. ამხანაგობა, 36 სამელიორაციო, 6 მეღვინეთა. 9 სასოფლო-სამეურნეო არტელი, 4 მებაღეთა და სხვა.

უკანასკნელი 1924—25 სამ. წლის განმავლობაში აზერბეიჯანის სასოფ.-სამეურნეო ამხანაგობის აპარატის საშუალებით დამზადებული იქნა 1.000.000 ფუთი ბამბა. მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია სამელიორაციო მუშაობის გაძლიერება, რადგან ეს სერიოზული საკითხია და გლეხობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

გადადის რა აზერბეიჯანის სასოფლო-სამ. კოოპერაციის გაერთიანების „კეიბირლიგი“-ს აპარატის დახასიათებაზე, ამხანაგი აღნიშნავს, რომ ეს აპარატი სუსტია.—გარდა ამისა, არ არის მოწესრიგებული ურთიერთობა ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკთან. მომხსენებელი მეტ ყურადღებას მოითხოვს პარტიისაგან მათ მუშაობისადმი. მეტი ყურადღებით უნდა მოეკიდონ აგრეთვე „კეიბირლიკი“-ს მუშაობას ჩვენი სახელმწიფო ორგანიზაციები და ცალკე ტრესტები.

უკანასკნელი სხდომა

9 მაისს თათბირის პლენუმის სხდომა არ შემდგარა; სწარმოებდა სექციების მუშაობა. თათბირის მერვე სხდომა შესდგა 10 მაისს, საღამოს, მოსმენილ იქნა ამხ. **გენკინის** მოხსენება სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ.

ამხ. გენკინი მოხსენებას იწყებს იმ გარემოების აღნიშვნით, რომ მიმდინარე წელს, სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან, მიუხედავათ იმისა, რომ ის შემცირებული იყო საგრძნობლად, მაინც აუკრეფელი დარჩა 1.500.000 მანეთი. უახლოესი და უმთავრესი ამოცანაა ამ დანაკლისის აკრეფა, რაც შეიძლება მოკლე ხნის განმავლობაში. სასოფლო-სამეურნეო გადასახადი არავის ჩამოეწერება და არც ეპატიება; ის უნდა იქნეს აკრეფილი 100%.

ამხ. მომხსენებელი ეხება რა იმ მიზეზებს, რომლებმაც ხელი შეუშალეს გადასახადის აკრეფას ფიქრობს, რომ ამის მიზეზია გლეხობის საგადასახადო უდისციპლინობა ერთის მხრივ, ხოლო მეორე მხრივ ის, რომ საბჭოების ხელ-ახალი კამპანიის დროს გადასახადების აკრეფა არ სწარმოებდა. გარდა ამისა, გადასახადის აკრეფას იმ გარემოებამაც შეუშალა ხელი, რომ დაბეგვრის ობიექტების აღრიცხვა არ იყო დამაკმაყოფილებელი, განსაკუთრებით აზერბეიჯანში.

შემდეგ, მომხსენებელი აშუქებს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ახალ კანონს და მიუთითებს, რომ გადასახადის სისტემა გაცილებით გამარტივებულია და მოსახლეო[illegible] მიიღოს გადასახადის განაწილებაში. მიმდინარე წელს განზრახულია საგადასახადო ობიექტების გამოკვლევა ჩატარებულ იქნეს ფინსახკომის აპარატის საშუალებით, მაგრამ ამავე დროს, ადგილობრივ საბჭოს ან და საზოგადო კრებების მიერ არჩეულმა კომისიებმა უნდა განიხილონ ეს განაწილება და შესაფერისი კორექტივები შეიტანონ მასში.

მიმდინარე წელს დასაბეგრ შემოსავლის მინიმუმი დაწესებულია ისეთი, რომ გადასახადისაგან თავისუფლდება სავსებით გლეხურ მეურნეობათა 28%.

კანონით დაწესებულია გადასახადების შეკრების სამი ვადა: პირველი ნოემბერი, როდესაც შეტანილ უნდა იქნეს გადასახადის 35%, პირველი იანვარი—შეტანილი უნდა იქნეს ამდენივე, ხოლო პირველ აპრილამდე უნდა აიკრიფოს დანარჩენი 30%. მომხსენებელს კანონით დაწესებული ვადა არ მიაჩნია მიზანშეწონილად ამიერ-კავკასიისათვის კერძოთ აზერბეიჯანისა და სომხეთისათვის.

გასულ წელს, ამბობს მომხსენებელი, აზერბეიჯანელ ამხანაგებისაგან გვესმოდა საჩივრები იმის შესახებ, რომ გადასახადების ვადა არ არის დაწესებული სწორად. გადასახადი გლეხებს უნდა გადავახდევინოთ მაშინ, როდესაც მას ფული აქვს, ე. ი. როდესაც ის ასაღებს სასოფლო-მეურნეობის პროდუქციას.

ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ აზერბეიჯანისა და ნაწილობრივ სომხეთისათვის დავაწესოთ გადასახადის აკრეფის ორი ვადა, ხოლო საქართველოსათვის დავსტოვოთ სამი.

ამხ. გენკინის მოხსენების გარშემო გაიხსნა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ამხ. **კარაევმა, ტაგიევმა, ჟვანიამ და ალიხანოვმა.**

აზერბეიჯანელი ამხანაგები მიუთითებდენ, რომ საჭიროა აზერბეიჯანისათვის გადასახადის შეტანის ორი ვადა დაწესდეს, უკანასკნელი ვადა არ უნდა გადასცილდეს პირველ იანვარს. ამ დრომდე გლეხობა ასაღებს თავის ნაწარმოებს, და ფული აქვს. თუ ვადა გადასცილდა პირველ იანვარს, გადასახადის აკრეფა დაგვიანდება და გაძნელდება, რადგან ამ ვადის შემდეგ გადასახადის გასასტუმრებლად გლეხებს მოუხდებათ ცოცხალი ინვენტარის გაყიდვა. ეს გარემოება კი ცუდ გავლენას მოახდენს სასოფლო-მეურნეობაზე; ისინი მიუთითებენ აგრეთვე, რომ მიმდინარე წელს საგადასახადო ობიექტების აღრიცხვა დაგვიანდა, მესაქონლეები თავის ჯოგებით მთებზე ავიდენ, და ამიტომ აღრიცხვის სწორად ჩატარება გაძნელდა.

ამხ. ჟვანიას შეცდომათ მიაჩნია გლეხების გადასახადებით დაბეგვრა სახნავ-სათესი მიწების რაოდენობის მიხედვით, ის საჭიროდ სთვლის დაბეგვრა ნათესების მიხედვით მოხდეს. ორატორი ფიქრობს, რომ ბამბის ნათესების დაბეგვრა აზერბეიჯანში უფრო მაღალი უნდა იქნეს, ვიდრე პურეულის, მაგრამ საქართველოში არ შეიძლება ამ ზომის გატარება მიმდინარე წელს, რადგან მებამბეობა ახალი საქმეა ჩვენში და ეს მის განვითარების საქმეს შეაფერხებს. სამაგიეროთ თამბაქოები უნდა დაიბეგროს უფრო მეტად ვიდრე სასოფლო-მეურნეობის რომელიმე სხვა ნაწარმოები. დასასრულ ორატორი მოითხოვს მაზრებისათვის მეტი ავტონომიის მინიჭებას ამ დარგში.

ამხ. გენკინის საბოლოო სიტყვის შემდეგ, თათბირმა აირჩია კომისია, რომელსაც დაავალა ამ საკითხზე რეზოლიუციის შემუშავება და ა.-კ. საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმში წარდგენა.

დასასრულ თათბირმა მოისმინა მოხსენებები სექციების მუშაობის შესახებ და მიიღო რეზოლიუციები.

თათბირის მუშაობა დასრულდა გუშინ, საღამოს.

პარტიული ცხოვრება

მუშაობა დამაკმაყოფილებელი იყო

(პირველი სახელმწიფო თამბაქოს „რ. ლიუქსენბურგის“ სახელობის ქარხნის კომუჯრედში)

(უჯრედის ბიუროს გადარჩევა)

16 აპრილს „როზა ლიუქსენბურგ“-ის სახელობის თამბაქოს ქარხნის უჯრედის კრებაზე დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) უჯრედის მდივნის ანგარიში და 2) უჯრედის ბიუროს გადარჩევა.

უჯრედის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა მდივანმა.

უჯრედში ირიცხება 101 პარტიის წევრი და კანდიდატი. არსებობს აგიტპროპკომისია, ორგკომისია და ქალთა კომისია. უჯრედთან დაარსებულია სამხედრო კუთხე—სამხედრო საქმის შესასწავლად. სამხედრო კუთხესთან განზრახულია დაარსდეს სანიტარული, სამწყობრო და ტეხნიკური განყოფილებები. საშეფოდ აყვანილია ორი სოფელი: კაკაბეთი და ჩაილური. ამ სოფლებში გაგზავნილი იქნა სხვადასხვა სახელმძღვანელო წიგნები და საკანცელარიო ნივთები ადგილობრივ სკოლებისათვის.

უპარტიოებთან დამოკიდებულება კარგია. უჯრედის ღია კრებებს ყოველთვის ესწრება 20—30 უპარტიო.

პარტიის წევრებს შორის დაცულია მტკიცე პარტდისციპლინა. ადგილობრივ კომკავშირზე ხელმძღვანელობა დამაკმაყოფილებელია. ადგილობრივ ახ. ლ. კომკავშირში ირიცხება 50 კაცი. კომკავშირში მუშაობს პარტიის 12 წევრი.

ამ ბოლო ხანებში აგიტპროპკომისიის მიერ დაარსებულია აგიტატორების წრე, რომელშიც ირიცხება 22 ამხანაგი, აგრეთვე ჩამოყალიბებულ იქნა მუშკორთა წრე—35 ამხანაგის შემადგენლობით.

არსებობს ურთიერთ წარმომადგენლობითი კავშირი წითელ ჯარის—ცხენოსანთა ნაწილთან.

კრებამ უჯრედის მუშაობა სცნო დამაკმაყოფილებლად.

ახალ ბიუროში არჩეულ იქნა 9 წევრი და 3 კანდიდატი. აქედან 6 ახალი ამხანაგია.

აქაური.

ჩვენი კავშირი წითელ ჯართან

ქალაქის წყალსადენის კომუჯრედში 43 ამხანაგია. ამას წინათ მოხდა უჯრედის ბიუროს არჩევნები. ახალ ბიუროში არჩეული არიან ძველი მუშები.

უჯრედს დამყარებული აქვს კავშირი სამხედრო პოლიტსკოლასთან. სკოლამ მოაწყო უჯრედის წითელ კუთხეში სამხედრო კუთხე. ხშირად მოდის ხოლმე სკოლის წარმომადგენელი, რომელიც კითხულობს ლექციებს სამხედრო საკითხებზე. მოდის გაზეთი „წითელი არმიელი“. სკოლასთან ერთად უჯრედი უშვებს კედლის გაზეთს, მართავს ხშირად გაერთიანებულ სხდომებს და სხვა. უჯრედის წევრები მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების მუშაობაში. წერაკითხვის უცოდინარები იყვნენ, მაგრამ ისინი გაიგზავნენ სკოლებში.

კავშირი უპარტიო ამხანაგებთან დამაკმაყოფილებელია. უჯრედის ღია კრებებს ყოველთვის ბლომათ ესწრებიან ხოლმე უპარტიო მუშები.

გ. უმიკაშვილი.

ხელმძღვანელობა მტკიცეა.

ა.-კ. რკინისგზის პირველ მცველ რაზმთან არსებულ კომუჯრედში ირიცხება დაახლოვებით 120 წევრი და კანდიდატი. შარშან უჯრედის მუშაობა სუსტი იყო, რადგან დაწესებულებაში საქმე ვერ იყო რიგზე, რაც უჯრედზეც ახდენდა გავლენას. ამჟამად მუშაობა გამოსწორდა. უჯრედის მორიგი კრებები იმართება სისტემატიურად. უჯრედში უკვე გარჩეული და შესწავლილია მე-14-ე პარტყრილობის ყველა დადგენილებები. უჯრედის გაჯანსაღებას ხელს უწყობს პარტკომიტეტის მტკიცე ხელმძღვანელობა.

დ. ბ.

წინ მივიწევთ.

(გომარეთი, ბორჩალოს მაზრა).

გომარეთის თემში 1925 წლამდე არავითარი პარტიული მუშაობა არ სწარმოებდა. 1925 წელს მასწავლებლის ინიციატივით დაარსდა საკანდიდატო ჯგუფი, რომლის მუშაობა სწარმოებდა უგეგმოთ. მიმდინარე წლის დასაწყისში სამაზრო კომიტეტმა ადგილობრივ საკანდიდატო ჯგუფს გამოუგზავნა ერთი მუშაკი, რომელმაც შეიმუშავა სამკომის დირექტივებთან შეფარდებით სამთვიანი სამუშაო გეგმა. შემდეგ ჯგუფი კომუჯრედათ დამტკიცდა. ამჟამად უჯრედში შვიდი წევრი და ხუთი კანდიდატია. შემუშავებული გეგმის თანახმად, უჯრედმა გამოჰყო კომისია კომკავშირის ჯგუფის შესადგენათ და ქალთა შორის მუშაობის საწარმოებლად. კომუჯრედთან არსებობს „რემედას“-ის უჯრედი, რომელიც აქამდე ადგილობრივ გლეხობისათვის უცნობ და გაუგებარ ორგანიზაციას წარმოადგენდა. ეხლა კი „რემედას“-ის უჯრედს გამოცოცხლება დაეტყო. თემის საბჭოს აქამდე არავითარი პარტხელმძღვანელობა ადგილი არ ჰქონდა. ახალ თემსაბჭოში ჩამოყალიბებულია კომფრაქცია. ადგილობრივი მასწავლებლობის და კომუჯრედის ინიციატივით გამოდის კედლის გაზეთი. თემკომი კრებებს თემში [illegible] იწვევს [illegible] ღია კრებებს გლეხობა [illegible] ესწრება.

ფინ-იუი-სიანი მოსკოვში

მოსკოვი, 10 მაისი. 9 მაისს მოსკოვში ჩავიდა ჩინეთის პირველი სახალხო არმიის მთავარსარდალი ფინ-იუი-სიანი.

მასთან ერთად ჩამოვიდნენ გომინდანის ცეკას წევრი შანჰაის უნივერსიტეტის რექტორი სიუ-ი-ჩენი, ჩინეთის კონსული ვერხნეუდინსკში მაი და მორშალის შტაბის ოფიცრები.

სადგურზე ფინ-იუი-სიანს დიდი ზეიმით შეხვდნენ.

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელი ესაუბრა ფინ-იუი-სიანს, რომელმაც მას გაუზიარა მგზავრობის დროს მიღებული შთაბეჭდილებანი.

პირველი, რასაც მარშალმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია—ეს არის წითელი არმიის და კერძოთ ცხენოსანი ჯარის წარჩინებული მდგომარეობა. მეორე ძლიერი შთაბეჭდილება არის—ახალი ქარხნების შენება და ძველი ქარხნების შეკეთება.

„მე თავისუფლად ამოვისუნთქე ახალგაზრდა ქვეყანაში"—განაცხადა ფინ-იუი-სიანმა.

თავის მგზავრობის მიზნის შესახებ მარშალი ფინ-იუი-სიანი ამბობს, რომ ის ჩამოვიდა მეგობრობის განსამტკიცებლად და საბჭოთა გამოცდილების შესასწავლად სახელმწიფოს და წითელი არმიის მშენებლობის დარგში.

◆

თეთრი ტერორი პოლონეთში

კომინტერნის მოწოდება

მოსკოვი, 10 მაისი. კომინტერნის აღმასკომმა პოლონეთის ამბების გამო, გამოუშვა მოწოდება, რომელშიაც სწერია:

„ღრმა მწუხარებით შევხვდით პოლონეთში 1 მაისს მომხდარ ამბებს. 7 მოკლულია და მრავალი ასეული დაჭრილი.

ასე გაუმასპინძლდა პოლონეთის ბურჟუაზიის დამქაშები და ლაქიები პროლეტარიატის რევოლიუციონურ ავანგარდს.

ყველა ქვეყნების მშრომელები დაგმობენ პოლონეთის სოციალისტურ პარტიის სამარცხვინო როლს. უკანასკნელი პოლიციასა და ფაშისტებთან ერთად თავს დაესხა პოლონეთის კომპარტიის დროშის ქვეშ მიმავალ მუშებს. დე, ვერაგულად დაღვრილმა სისხლმა დააჩქაროს განხეთქილება მუშებსა და შემთანხმებელ ბელადებს შორის და განამტკიცოს პროლეტარიატის რევოლიუციონური მთლიანობა".

„სოციალისტების" მსხვერპლი

ვარშავა, 9 მაისი. 6 მაისს უნდა დაესაფლავებიათ მუშა-კომუნისტი გავლიკი, რომელიც პოლონეთის სოციალისტური პარტიის რაზმელებმა მოჰკლეს 1 მაისს. ამის გამო, სავადმყოფოსთან, რომელშიაც ცხედარი ესვენა, დიდძალი მუშები შეიკრიბნენ, რომელთაც მიუტოვებიათ მუშაობა დასაფლავებაზე მონაწილეობის მიღების მიზნით.

პოლიციის წარმომადგენლებმა უარი სთქვეს გავლიკის ცხედარის დათმობაზე და განაცხადეს, რომ დასაფლავება მოხდება 7 მაისს, 17 საათზე. ნამდვილად გამოირკვა, რომ გავლიკის ცხედარი ხელისუფლების წარმომადგენელთ დილის 6 საათზე დაუსაფლავებიათ იმ მიზნით, რომ მუშათა ფართო მასები არ დასწრებოდენ დასაფლავებას.

ლანცუცკის დევნა

მოსკოვი, 10 მაისი. ვარშავის ციხეში დაპატიმრებულ სეიმის ყოფილ წევრს ლანცუცკის წარუდგინეს ახალი ბრალდება 1923 წ. მოწოდების გამოშვებისათვის.

◆

ომი მაროკოში

იმერიშები

პარიზი, 9 მაისი. რიფების წარმომადგენელმა **აზერ-ხანმა**, რომელიც მონაწილეობას იღებდა ფრანგებთან მოლაპარაკებაში უდჯაში, ჟურნალისტებს განუცხადა, რომ **საფრანგეთის დელეგაციის 30 აპრილის ულტიმატუმის შემდეგ მოლაპარაკების ჩაშლა აუცილებელი გახდა.**

„სტეგი, საფრანგეთის უმაღლესი კომისარი მაროკოში, თავისი კეთილი განზრახვით ვერაფერს გახდა იმათთან, ვისაც ომის გაგრძელება სურდა",—აცხადებს აზერ-ხანი.

საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრი მომზადებული იყო სამხედრო მოქმედების განახლებისათვის, რაც მოლაპარაკების წარმოების ხასიათიდანაც ირკვევა. რადიკალური პრესა, რომელიც თითქოს ზავის ჩამოგდებას მოითხოვდა, ეხლა გადაჭრით მიემხრო მთავრობას, რომელიც, როგორც „ევრი"-ი და „ერ ნუველი"-ი ამტკიცებს, დათმობის წინაშე დადგა. რეაქციონური „ვიკტუარ" მემარჯვენე პრესასთან ილაშქრებს მთავრობის წინააღმდეგ იმისათვის, რომ მან სამი კვირა მოანდომა მოლაპარაკებას და დაჰკარგა თითქმის ნახევარი იმ დროის, რომელიც ხელსაყრელი იყო შეტევისათვის.

„ტან"-ი სწერს, რომ მოლაპარაკების ჩაშლამ უდჯაში გაცილებით უფრო მეტი ნაყოფი უნდა მოუტანოს გაერთიანებულ საფრანგეთს და ესპანეთს, თუ ისინი შესძლებენ აბდ-ელ-კერიმის დიპლომატიურ ხრიკების თავიდან აცდენას.

საფრანგეთ-ესპანეთის გენერალურმა შტაბმა ბრძანება გასცა სამხედრო მოქმედების განახლების შესახებ. მადრიდიდან მიღებულ ცნობით, 50,000 ესპანელი ჯარისკაცი მზად არის შეტევისათვის.

ფრონტებზე

პარიზი, 9 მაისი. ჰავასის სააგენტო იტყობინება: „საფრანგეთის არტილერია წარმატებით ყუმბარებს უშენდა იმ სიმაგრეებს, რომლებიც რიფებს შერჩათ დროებითი ზავის ჩამოგდების გამო. 8 მაისს, ღამით, საფრანგეთის ჯარებმა გაანადგურეს რიფების სიმაგრე უდრარი და წინ წაიწიეს სიდიბურამდე".

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

საბჭოთა სავაჭრო ფლოტი

მოსკოვი, 10 მაისი. 15 მაისიდან 15 სექტემბრამდე საბჭოთა სავაჭრო ფლოტის დააწესა 15 პროცენტი შეღავათი იმ ტვირთზე, რომელიც საბჭოთა სავაჭრო ფლოტის გემებით გადაზიდული იქნება ოსმალეთის შავი ზღვის ნავთსადგურებიდან საბჭოთა კავშირის ნავთსადგურებში ნიჟეგოროდის ბაზრობაზე გასაგზავნად. ასეთივე შეღავათი შეღავათი შემოღებულ იქნა 1 აგვისტოდან 15 სექტემბრამდე. ბაზრობიდან უკან დაბრუნებულ ტვირთისთვის.

მეფის ჯალათების საქმე

მოსკოვი, 10 მაისი. საგუბერნიო სასამართლოში დაიწყო მეფის ჯალათების გასამართლება. საბრალმდებლო სკამზე სხედან: ექიმი ვესელიცკი და ოხრანკის აგენტები—ჩუგუნოვი, აგაპინი, გრუდცინი და ფროლოვი.

ყველა ბრალდებულთ, გარდა ექიმ ვესელიცკისა, თავიანთი თავი დამნაშავეთ სცნეს და სამართლის დაწვრილებითი ცნობები მიაწოდეს მათ მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედების შესახებ.

1906 წლიდან 1913 წლამდე მათ ჩამოუხრჩიათ 500-მდე კაცი. ჩამოხრჩობა ხდებოდა ხამოვნიცის საპოლიციო უბანში.

სპეკულიაციის წინააღმდეგ

მოსკოვი, 10 მაისი. გაერთიანებულმა სახელმწიფო პოლიტიკურმა სამმართველომ გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიაც აღნიშნულია, რომ უკანასკნელ დროს ზოგიერთი ბოროტმოქმედი სპეკულაინტი პირადი მოგების მიზნით შესდგომია სპეკულიაციას ოქროსა. უცხოეთის ვალიუტასა და ფასიან სახელმწიფო ქაღალდებზე. ხსენებული ელემენტები ხელოვნურად იწვევდენ მოთხოვნილების ზრდას ოქროსა და უცხოეთის ვალიუტაზე და განზრახ სცემდენ ფასიან სახელმწიფო ქაღალდების კურსს.

იმ პირთა ჯგუფის სათავეში, რომელიც მონაწილეობას იღებდა ასეთ სპეკულიაციაში, აღმოჩნდა საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახ. კომისარიატის ზოგიერთი თანამშრომელი, ისინი შეუთანხმდენ კერძო სპეკულიანტებს და მებირჟეებს. და თავის თანამდებობას იყენებდენ სავალიუტო-საფონდო ბირჟის დეზორგანიზაციისათვის. პირადი მოგების გამდიდრების მიზნით. რითაც მატერიალურ ზარალს აყენებდენ საბჭოთა სახელმწიფოს.

გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს კოლეგიამ, განიხილა რა საბჭოთა კავშირის ფინ. სახ. კომისარიატის სავალიუტო სამმართველოს განსაკუთრებული ნაწილის გამგის **ვოლინის**, სავალიუტო სამმართველოს განსაკუთრებული ნაწილის მოსკოვის კანტორის გამგის ჩეპელევსკის, სავალიუტო სამმართველოს განსაკუთრებული ნაწილის ლენინგრადის კანტორის თანამშრომლის რაბინოვიჩის და სხვების საქმე—დაადგინა ნაწილი ბრალდებულთა მოთავსებულ იქნეს საკონცენტრაციო ბანაკში სხვადასხვა ვადით, ხოლო მთავარი დამნაშავენი დახვრეტილ იქნენ ქონების კონფისკაციით.

განაჩენი შესრულებულია.

ზაჰესი

(საუბარი ზაჰესის სამუშაოთა უფროსთან ინჟინერ ბ. ჭიჭინაძესთან)

ჩვენ კორესპონდენტთან საუბრის დროს ზაჰესის სამუშაოთა უფროსმა ინჟინერმა ბ. ჭიჭინაძემ განაცხადა:

ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელსადგურის აგება უკვე თავდება და ა. წ. სექტემბრის პირველ რიცხვებში ამუშავდება პირველი ტურბო-გენერატორი 4.500 ცხენის ძალის.

სამშენებლო სამუშაოები სრულიად დამთავრებულია ყველა ძირითად ნაშენებზე. დარჩენილი სამუშაოები დამთავრებული იქნება ა. წ. 1 ივლისისათვის.

სამონტაჟო სამუშაოები წარმატებით მიმდინარეობენ.

ამჟამად სამონტაჟო სამუშაოებს ერთდროულად აწარმოებს ორი ტრესტი: მთავარ საგუბრის ფარების, საწნეო აუზის, საწნეო მილების და ტურბო-გენერატორების ფარებისას ლენინგრადის ტრესტი „მაშინო-სტროი", ხოლო ასაწევ და დასაწევ ქვესადგურების და ტრანსფორმატორულ ბუდეების—სახელმწიფო ელექტრო-ტრესტი.

პირველი ტურბინა უკვე დადგმულია თავის ადგილას და ამჟამად სწარმოებს მისი შეკრება.

მონტაჟის დამთავრების ვადები, თანახმად ხელშეკრულებებისა, შემდეგია: პირველი, 4.500 ცხენის ძალოვან ტურბო-გენერატორის 30 აგვისტოს (მიცემული აქვთ შეღავათი ანი ვადა 25 სექტემბრისათვის, როდესაც საბოლოოდ უნდა ჩაგვაბარონ).

მეორე ტურბო-გენერატორის ვადა 10 ოქტომბერია, შეღავათით 27 ოქტომბრამდე.

მესამე—30 ნოემბერს და 15 დეკემბერს.

მეოთხე—30 დეკემბერს და 15 იანვარს.

ამგვარად, თბილისი ზაჰესის ელექტრონის დენს ჯერ კიდევ სექტემბერში მიიღებს ხოლო ოქტომბერში სადგური 9.000 ცხენის ძალით რეგულიარულად იმუშავებს.

წლის ბოლოს ზაჰესის სადგურის პირველი რიგი, 18.000 ცხენის ძალით, უკვე სრულად გადავა ექსპლოატაციაში.

სამონტაჟო სამუშაოების დაგვიანება სრულიად აღარ არის მოსალოდნელი. სამუშაოთა სამმართველოს ყურადღებას იპყრობს ამჟამად ის გარემოება, რომ სახელმწიფო ელექტრო-ტრესტის ქარხნებში ჯერ არ არის დამზადებული აპარატურის ერთი ნაწილი, რომელიც თუმცა სადგურის მოწყობილობის შეკვეთის მცირე ნაწილია, მაგრამ თუ დროზედ არ იქნა დამზადებული, შეუძლია დენის მიწოდება დააგვიანოს.

შესაფერი ცნობა ტრესტს უკვე აქვს მიღებული და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ აპარატურას დროზე მივიღებთ.

თვით ელექტრული მონტაჟი (ქვესადგურების, ბუდეების და სხვ.) სრულიად წარმატებით მიმდინარეობს და არავითარი საბუთი არ გვაქვს ვიფიქროთ, რომ მონტაჟის დაუსრულებლობა ტურბო-გენერატორების გაშვებას დააგვიანებს. პირიქით, თუ აპარატურის ზემოაღნიშნული ნაწილი მივიღეთ უახლოეს დროში, მაშინ ელექტრონულ ნაწილების მონტაჟს აგვისტოს პირველ რიცხვებშიც-კი დავამთავრებთ.

ამჟამად დაკვრითი ხასიათი ეძლევა თბილისის და მისი წარმოებების მომზადებას ზაჰესის დენის მისაღებად. ამ მხრივ თბილისის აღმასკომისა და სხვა უმაღლეს ორგანოების მიერ უკვე გადადგმულია სათანადო ნაბიჯები.

უკანასკნელი სამუშაოები ზაჰესის აღმშენებლობას არ ეკუთვნის და მას თბილისის აღმასკომის კომუნალური განყოფილება აწარმოებს, თავის ქვეგანყოფილებების საშუალებით.

რაც შეეხება ექსპლოატაციის პირველ წლებში მომხმარებლებისათვის დენის მიწოდების პირობებს, ამ მხრივ ყურადღება უნდა მიექცეს ენერგიის ორ ფასს. **პირველი—ეს ის საშუალო ფასია, რომლითაც დენს მიაწოდებს თვით ელსადგური თბილისში დაბალი ძაბვის სალტეებზე. ასეთ ფასად კილოვატ-საათში ექსპლოატაციის პირველი წლებისათვის დაწესებულია სამ ნახევარი კაპეიკი.**

მეორე ფასი—უშუალოდ მომხმარებლებისათვის ენერგიის მიწოდების ფასი მომხმარებლის ადგილზე—მოხმარების ხასიათის მიხედვით იცვლება.

განათებისათვის ექსპლოატაციის პირველ წლებში: 10 კაპ-დან კილოვატ-საათში ბინების გასანათებლად, 20 კაპ-დე სავაჭრო დაწესებულებების გასანათებლად.

აგრეთვე, ექსპლოატაციის პირველ წლებში ძალოვან აბონენტებისათვის, კილოვატ-საათში, წესდება შემდეგი ფასები:

მსხვილი მოტორებისათვის 4½ კაპ-დან 8 კაპ-მდე დატვირთვის ხასიათის მიხედვით. ისე, მაგალითად ა.-კ. რკინისგზების მთავარ სახელოსნოებს დენი შეიძლება 5 კაპ. დაეთმოს, ხოლო ტრამვაის 7½ კაპ.

განსაკუთრებულ სასარგებლო მომხმარებელს, წყალსადენს, მოხმარების სრული თანაბარობის გამო, დენი დაეთმობა 3 კაპ.

სხვადასხვა ცალკე მომუშავე წვრილი მოტორებისათვის, რომელთა დატვირთვას მუდმივი ხასიათი აქვს, ფასი იქნება 12 კაპ.

სრულიად გამოყოფილია ა.-კ. რკინის გზების სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციის საკითხი. ამ მიზნისათვის დენი დაეთმობათ 2½ კ. კილოვატ-საათში 115.000 ვოლტიან [illegible] სალტეებზე.

ამგვარია ზაჰესის ტარიფები ექსპლოატაციის პირველ წლებში, რაც ექსპლოატაციის ხანაში დატვირთვის გადიდების შემდეგ, რასაკვირველია, დაკლებული იქნება.

პირველი სამი წლის განმავლობაში (სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციის გარეშე) უმაღლესი დატვირთვა, უთუოდ, 7.000 ცხენის ძალას არ აღემატება, ასე რომ რეგულიარულად მხოლოდ ერთი ტურბინა იმუშავებს და მეორეც ნაწილობრივ დღის განმავლობაში.

დასასრულ საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ დატვირთვის გადიდების დრო, ზაჰესის ძალოვნობა შეიძლება 59.000 ცხენის ძალამდე აიწიოს, რისთვისაც არავითარი გადაკეთება მიწის-ქვეშეურ ნაშენებისა არ იქნება საჭირო, რადგანაც უკანასკნელი ნაშენები სრულ ძალოვნობაზეა ნავარაუდევი.

რასაკვირველია, მთელი ეს სიმძლავრე, უკიდურეს [illegible] წლებში ვერ იმუშავებს, მაგრამ მისი უმეტესი ნაწილი [illegible] იმოქმედებს 9 თვიდან 11-მდე წლის განმავლობაში.

ჰიდრო-ელსადგურის ასეთი განვითარება ენერგიის ღირებულების დიდ გაიაფებას გამოიწვევს და დასწევს მას სამ-ნახევარ კაპეიკიდან, ექსპლოატაციის დაწყების დროს, ერთ და ორ მეათედ კაპეიკამდე სადგურის სრულ განვითარების შემდეგ.

წყალდიდობა ზაჰესში

9 მაისის კოკისპირული წვიმებისა და ნიაღვრების გამო წყლის დონემ მდ. მტკვარსა და არაგვში საგრძნობლად მოიმატა. 10 მაისის დილის 6 საათისათვის წყლის დენამ ზაჰესის საგუბართან მიაღწია 900 მეტრს წუთში. მდინარის მოზღვავებული დენა საგუბრის ნიჩბებზე ზევით გრანდიოზულ სანახაობას წარმოადგენს. მიუხედავათ მდინარის ასეთი მძლავრი ადიდებისა, ზაჰესის ნაშენებს, ინჟ. ჭიჭინაძის განცხადებით, არავითარი საფრთხე არ მოელის, რადგან ისინი აგებულნი არიან იმ ანგარიშით, რომ გაუძლონ 1.500 მეტრის წყლის მოწოლას წუთში. ამ დონემდე მტკვრის დენას არასოდეს არ მიუღწევია უკანასკნელი წლების განმავლობაში. გორის ჰიდრომეტრიული სადგურის ცნობით წყლის მომატება მტკვარში ისევ გრძელდება. მოსალოდნელია მტკვრის უფრო მეტად ადიდება. ზაჰესის მკვიდრი ნაშენობა სავსებით დაცულია ყოველგვარი ხიფათისაგან.

მუშათა ცხოვრება

საკურორტო და დასვენების საკითხი რკინისგზელებში.

ა.-კ. რკინისგზების პროფკავშირის პრეზიდიუმის სხდომაზე გაირჩა საკითხი ამიერკავკ. რკინისგზის მუშა-მოსამსახურეთა ამ სეზონში კურორტებზე გაგზავნის შესახებ. პრეზიდიუმის დადგენილებით წელსაც ისევე, როგორც შარშან, სანატორიუმებში და დასასვენებელ სახლებში უნდა გაიგზავნონ მუშები არა ნაკლებ შარშანდელ რაოდენობისა, ანუ 750 კაცამდე.

პრეზიდიუმმა სატარიფო - ეკონომიურ განყოფილებას დაავალა, რათა იგი საგზაო დამზღვევ სალაროსთან ერთად შეუთანხმდეს საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს მის წაღვერის და ბორჯომის დასასვენებელ სახლებში რკინისგზელებს დაუთმოს ადგილები მოთხოვნის მიხედვით, ხოლო საკურორტო სამმართველოს იმის შესახებ, რომ ბორჯომის და აბასთუმნის სანატორიუმებში და ახტალისა და წყალტუბოს კურორტებზე მისცეს რკინისგზელებს საჭირო რაოდენობა ადგილებისა.

რაც შეეხება რკინისგზელთა სანატორიუმებში და კურორტებზე შესანახ საშუალებათა საჭიროებას, ვინაიდან წლევანდელ სეზონისათვის ცენტრის არ გამოუყვია საკმაო თანხა (გადადებულია 100.000 მანეთი), საგზაო დამზღვევმა სალარომ უნდა მიიღოს ზომები დანაკლისის შესავსებად. ამასთანავე აღძრულია შუამდგომლობა გზათა სამმართველოს წინაშე საკურორტო-სანატორიულ საქმისათვის სათანადო თანხის გადადებით ხელის შეწყობის შესახებ.

საგზაო დამზღვევ სალაროს დავალებული აქვს ჩაატაროს სეზონისათვის მოსამზადებელი მუშაობა დასასვენებელ სახლების წესრიგში მოყვანით. **ტონი.**

პროფკურსანტების ექსკურსია ბაქოში.

აპრილის 30-ს თბილისიდან საექსკურსიო მატარებლით გავემგზავრეთ ბაქოში. ჩვენს ექსკურსიას ხელმძღვანელობდა ამხ. სანოევი. 1 მაისს დილის 11 საათზე ჩავედით ბაქოს სადგურში, სადაც შემოგვეგება ა. პ. კ. წარმომადგენელი და ს. პ. მიერ მივლინებული ამხ. ბაიანოვი, რომელსაც დავალებული ჰქონდა ექსკურსანტების ბინის შოვნა და დასათვალიერებელ ადგილების გეგმის შედგენა.

შემდეგ ა. პ. კ. წარმომადგენელი ამხ. ვერლის ხელმძღვანელობით გავემართეთ თავისუფლების მოედნისაკენ, სადაც უნდა გაევლო 1 მაისის საზეიმოთ მომზადებულ ბაქოს პროლეტარიატს. ექსკურსანტების სახელით ბაქოს მუშებს მისალმენ ამხანაგები ქართულ, რუსულ და თურქულ ენებზე. 3 საათზე გათავდა დემონსტრაცია და ჩვენ გავემგზავრეთ სასადილოდ.

საათის 7-ზე ვინახულეთ მეტრამვეთა და ხისმჭრელებელთა კავშირების კლუბი, სადაც წარმოდგენილი იქნა ცოცხალი გაზეთები „ტრიპი", „გაიკა" და სხვადასხვა სურათები ადგილობრივ ცხოვრებიდან. შემდეგ დავათვალიერეთ ყოველმხრივ თვალის წარმტაცი მოკაზმული საბავშვო სახლი.

12 საათზე ვინახულეთ ბაქოს საბჭოს შენობაში სურათი დახვრეტა 26 კომისრისა, რამაც წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა ექსკურსიის მონაწილეთა შორის. წაკითხულ იქნა ლექცია 26 კომისრების დახვრეტის ირგვლივ; ორატორმა ვრცლად გააშუქა ბაქოს ნავთის ამოსაღებ ბიბი-ეიბათის ქარხნის მდგომარეობა, ინჟენერმა დაწვრილებით აგვიხსნა მნიშვნელობა ამერიკული სისტემის საქაჩავის.

შემდეგ ნავთის გადასაქაჩავ ქარხანაში ვინახულეთ სხვადასხვა მანქანები. გავეცანით, თუ როგორ იწმინდება დაუმუშავებელი (ნედლი) ნავთი, ბენზინი, ზეთი, მაზუთი და სხვა.

3 მაისს ვინახულეთ იახტ-კლუბი და საქსოვი ქარხანა. ამავე დღეს დავათვალიერეთ სანატორიუმი, რომლის გამგედ არის ექ. ტერ-კაზაროვი. ჩვენ დიდი აღფრთოვანებით ვათვალიერებდით მის ყველა განყოფილებებს, თან გვიხსნიდა ექიმი ტერ-პუგოვა და ყველა განყოფილებებს გვაცანით დაწვრილებით.

ეხლა კი მინდა ორიოდე სიტყვით მივმართო ჩვენ ჯანმრთელობის კომისარიატს და დაზღვევის სამმართველოს, რათა მათაც ასეთი დიდი სამკურნალო, როგორიც არის ბაქოს სადამო სანატორიუმი, მოაწყონ ჩვენშიაც არა იმ ფორმით, როგორიც ბაქოშია, იმაზე უფრო მარტივად, ვინაიდან ჩვენ იმდენი თანხა არა გვაქვს.

პროფკურსანტი ვალ. სიხარულიძე.

თავაშვებული კონტრაბანდისტი.

(პროკურატურის საყურადღებოდ).

მეცხრე უბანში, ყოფილ ნადიროვის მამულში, ცხოვრობს ვინმე პეტროს ასოიანცი თავის საკუთარ სახლში. ამ ვაჟბატონს თითქმის 1922 წლიდან ჩუმათ აქვს გახსნილი თავისავე სახლში „თამბაქოს ფაბრიკა" და ჩუმათ ვაჭრობს თამბაქოთი. 22 აპრილს მილიციელები უეცრად დაესხნენ მას და დაუჭირეს 4 ტომარა უკვე მომზადებული, დაჭრილი თამბაქო და მასთან თამბაქოს დასაჭრელი მანქანა, რომლებიც ჩამოართვეს, მაგრამ ზემოხსენებული კონტრაბანდისტი მაშინვე იქნა განთავისუფლებული და დღესაც თითქმის თავისუფლად განაგრძობს თავის ხელობას და რამოდენიმე ფუთობით ასაღებს უბანდეროლოდ და უაქციზოდ თამბაქოს.

ამ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება და სასტიკად უნდა მოეკიდონ ასეთ გაუსწორებელ კონტრაბანდისტს და მის დამქაშებსაც. მუშკორი ლიაპიძე.

გამოგზავნილი წერილებიდან

— გაგვიხსენით წყალსადენი. სადგურის და გოგოლის ქ. კუთხეში სახ. №19-70-ში აგერ ერთ კვირაა, რაც წყალი დაგვიკეტეს. აღნიშნულ სახლში ცხოვრობს ბევრი მუშა-მოსამსახე. და უწყლობით პირდაპირ დავიტანჯეთ, რაშია საქმე, არ ვიცით.

წყალსადენო, გაგვიხსენი წყალი. **დარი.**

— აქ სადილობა შეუძლებელია. პლეხანოვის სახ. ქუჩაზე, კირკის გვერდით არის წითელი სასადილო. სასადილოს შენობის მინები ჩალეწილია და მინების ნაცვლად ჩაწყობილია ფიცრები, რის გამო სასადილოს აკლია სინათლე. ამასთან სასადილოში არ არის ვენტილიაცია და აქ ძალზე ცხელა. არ არის სისუფთავე დაცული.

მუშათა სასადილოს მეტი ყურადღება ეკუთვნის, მუშკოოპ! მუშკორი მოსადილე.

— ეხეც კოოპერაცია. მარნის თემში (სენაკის მაზრა) არის მომხმარებელი კოოპერატივი, სადაც დიდი ხანია მსახურობს ვინმე გიორგი ხონელიძე. იგი უკვე ერთხელ გააძევეს აქედან წევრებისადმი უხეში და უდიერი მოპყრობის გამო. მასთან იგი მომხმარებელთ აკლებდა წონაში და ზომაში. საინტერესოა. [illegible] თუ როდის მოიშორებენ ამ ვაჟბატონს ან ვინ უწყობს მას ხელს მის აფერისტულ „მოღვაწეობაში".

გამვლელი.

— ვინ უნდა მოაჰკუიანოს ეს მდგმური? ვერის დაღმართზე, სახლი № 2, ცხოვრობს ქსენოფონტე ხარაიძე ცოლშვილით. მისი სიტყვით, ის იურისტია და, მაშასადამე, საბჭოთა კანონების ძალაც კარგად უნდა ჰქონდეს გათვალისწინებული. არაფერს იტყოდა ადამიანი თვით ხარაიძეზე, რომ მას გვერდს არ უმშვენებდეს მეუღლე მარიამი. ქალბატონი მარიამი თავისი ყოფაქცევით არაფერში არ ჩამორჩება მკლავაძეების ტიპის ადამიანებს და ამ სახლში მცხოვრები მდგმურები აკლებული ჰყავს და ყველასთან იწყებს თავის „გმირობას", ვინც კი მის მშვენიერ თვალებს ჭკუაში არ დაუჯდება. ამ ადამიანის გამო სასამართლოებსაც მობეზრებული აქვთ თავი მასზე შემოსული საჩივრების გარჩევით. ამ რამდენიმე ხნის წინათ მარიამ ხარაიძემ ამ სახლის ერთ-ერთი მდგმურის ნათესავს მკლავი გადაუგრიხა, მეორეს შეურაცხყოფა მიაყენა და სხვ.

საჭიროა ამ აბეზარი ქალის მოჰკუიანება, სანამ ამ სახლის მდგმურები მოთმინებიდან არ გამოსულან. მუშა —ი.

— უნდა დააფასოთ ამ მუშის ამაგი. სახ. უნივერსიტეტში ამ ჟამად მსახურობს დარაჯის თანამდებობაზე ამხ. ბურძიკაშვილი. იგი, უკვე 25 წელია, რაც ამ თანამდებობაზე მუშაობს კეთილსინდისიერათ და ფხიზლად. უნდა დაუფასდეს ამ მუშის ამაგი! მუშკორი გ.—ილი.

— მუშებს და გლეხებს ატყუებს და ყვლეფავს. სოფ. ცაიშში (ზუგდიდის მაზრა) ჩარხს, იოანე კუკავას აქვს პურის [illegible] მასთან პურს ყიდულობენ ადგილობრივი გლეხები და შავი ზღვის [illegible] მომუშავე მუშები. ეს ჩარხი მუშებს და გლეხებს ატყუებს წონაში. სასწორი [illegible] რკინას და პურს ასე სწონის. პურს სიმინდის ფქვილს ურევს და მაინც [illegible] ორ შაურად ჰყიდის. ამ რიგად იგი იგებს ორმაგად, მუშები და გლეხები კი ამით იყვლიფებიან. მუშებმა მიმართეს ამის შესახებ თემაღმასკომს, მაგრამ მან მუშების განცხადებას ყურადღება არ მიაქცია.

საჭიროა ამ ჩარხის ალაგმვა. მუშკორი ფ—ლი.

— აგურის ქარხანა № 1-ში. აღნიშნულ ქარხანაში მუშაობს 50 მუშა-მოსამსახურე. სამწუხაროდ, ზოგიერთი მუშები ქარხანაში ქმნიან [illegible] მდგომარეობას თავის ჩხუბით, ერთმანეთის ლანძღვა-გინებით; ზოგიერთები კი ქურდობასაც კადრულობენ ხოლმე. ქარხნის გამგე ამ საზიზღარ მოვლენებს ნაკლებ ყურადღებას აქცევს, ამით კი ძალზე [illegible] ეს შეუგნებელი მუშები.

ამასთან აქაურ მუშებს ხშირად ზედმეტ საათებშიაც ამუშავებენ. შრომის ხელფასს კი არ აძლევენ. საჭიროა ამ არანორმალურ მოვლენებს ბოლო მოეღოს.

ინჟ. შ—რი.

ბოროტმოქმედების კვალდაკვალ

გაზეთ „კომუნისტის" № 74 (1529-ში) მოთავსებულ „ლიგის" წერილის ირგვლივ სათაურით: „ნახშირისანი ვაჟკაცი", პროკურატურის მიერ მიღებულია ზომები და კვლევა-ძიების ოქმი გადაცემულ აქვს ზუგდიდის II უბნის სახ. გამომძიებელს წინასწარ გამოძიების მოსახდენათ.

დას. საქ. პროკ. მოადგილე ებრალიძე.

საბჭოთა საქართველო

საით გავრეკოთ ცხვარი?

(წერილი ქიზიყიდან)

მარტის თვეში ერთ არშინზე მოსულმა მოულოდნელმა თოვლმა და სიცივეებმა დიდათ დააზარალეს საქონლის პატრონი ქიზიყელი გლეხები. დიდძალი მეწველი ძროხა და შესაბამელი საქონელი გაუწყდათ ქიზიყელებს საკვების უქონლობის გამო, დაუზარალდათ აგრეთვე ცხვარიც. ამასთან ერთად, ცხვრის პატრონ ქიზიყელებს მეორე მწუხარებაც ზედ დაერთო.

უხსოვარ დროიდან ქიზიყელი მეცხვარეები ცხვარს ზაფხულობით თრიალეთის მთაზე ერეკებოდენ—ახალქალაქის მაზრაში. მართალია, ნაწილი ქიზიყელ მეცხვარეებისა ზაფხულობით ლეკის მთითაც სარგებლობდა, მაგრამ სამი წილი ცხვარი თრიალეთისაკენ იგზავნებოდა. აი წელსაც მოახლოვდა ცხვარის თრიალეთზე გამგზავრების დრო, მაგრამ მოულოდნელად ქვემო-მაჩხაანის თემის აღმასკომს მოწერილობა მოსდის—გამოუცხადოს მეცხვარეებს, რომ წელს ცხვარი აღარ გარეკონ თრიალეთ-ახალქალაქის მაზრისაკენ, რადგანაც ის საძოვარი ადგილები, რომლებითაც აქამდის ქვემო-მაჩხაანელი მეცხვარეები სარგებლობდენ, გადაეცათ ადგილობრივ მკვიდრ მოსახლეობასო.

დაღონდენ ქიზიყელი მეცხვარეები, ელდა ეცათ—სიცხეების გამო კარზე მომდგარია ცხვარის ახალქალაქის მაზრაში გაგზავნა და ასე ანაზდეულად კი მათი საძოვარი ადგილები ადგილობრივ მკვიდრთ გადაეცათ. მაშ, საით უნდა გარეკონ ქიზიყელებმა თავიანთი ცხვარი? ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ ქვემო-მაჩხაანის მეცხვარეებმა ამოირჩიეს კაცები და თბილისისაკენ გამოგზავნეს ამ საქმის მოსაგვარებლად. **იუვი.**

შოთა და შალვა.

(კორცხელის თემი, ზუგდ. მაზრა).

სკოლა და მასწავლებელი კიდევ გასაგები და ბუნებრივია, სამიკიტნო და მასწავლებელი კი. რაღაც ყურს ეხამუშება. მაგრამ ყურიც არის და ყურიც. ზოგს ეხამუშება, ზოგს შეიძლება ესიამოვნება მაისის ბულბულის გალობასავით.

ამ უკანასკნელ ჯურის ყურები აბიათ ზუგდიდის მაზრის მასწავლებლებს: შალვა გოშუას და შოთა ჭანტურიას. სამიკიტნო მათთვის წმინდათა წმინდაა, დახლი კიდევ ტრაპეზი, ყანწი და ბოთლი ბარძიმ-ფეშხუმი. მართალია, ეს ღირსეული პედაგოგები დიდი ღვთისნიერი ხალხი არაა, მაგრამ მათ მაინც სჩვევიათ საყვარელი საგნების ეკლესიის მოწყობილობაზე დადარება.

გაზაფხულის საამური დღე იდგა. კორცხელის არე-მარე აკლებული იყო ჩიტების ჭიკჭიკ-გალობით. გლეხები სამუშაოთ არიან მოფენილი მინდორ-ყანებში, დედაკაცები ბაღ-ბოსტანის ბარვა-თოხნას შესდგომიან. ყველა შრომობს, ყველა ზრუნავს.

პედაგოგები შალვა და შოთა მხარი-მხარ გადაკიდებული სამიკიტნოსაკენ მიდიან და მიიმღერიან: „მრავალჟამიერს ვეძებდი. ვერ ვნახე—დაკარგულიყო, სამიკიტნოში შევედი, ბოთლებში მიმალულიყო!"—და შევიდენ სამიკიტნოში. დღე, როგორც მოგახსენეთ, ისეთი იყო, რომ თავის მშვენიერებით ათრობდა ქალსა და კაცს; და თუ ვინმე ღვინოს დალევდა, ხომ სრულიად გონებას დაჰკარგავდა.

ჩვენს კორცხელ პედაგოგებსაც ასე მოუვიდათ. ჯერ კიდევ ყელი საკმაოთ არ გაელბოთ, რომ თავში მწყერები აუთამაშდათ. ამ დროს, მისდა საუბედუროთ, სამიკიტნოში მოხვდა ადგილობრივი გლეხი, დურუ ქობალია. პედაგოგებმა სხვა გზა რომ ვერ უშოვეს ღვინით გაათკეცებულ თავიანთ ენერგიას. დურუზე მიიტანეს იერიში.

იმდენი ურტყეს საწყალ ქობალიას, რომ დედის რძე არ შეარჩინეს მუცელში. მაგრამ მუცელს ვინღა სჩიოდა, რომ ტანისამოსი არ შემოეფხრიწათ მისთვის და ახალ შობილად ტიტველი არ დაეტოვებიათ.

დურუ იმდენათ გაბრაზდა, რომ ზურგი მიაქცია ადგილობრივ ხელისუფლებას და პირდაპირ ზუგდიდისაკენ გასწია საჩივლელად. დიდი ვაი-ვაგლახით და ხვეწნა-მუდარით დააბრუნეს უკან ტანისამოს შემოღლეტილი, ნაცემ-ნაპერტყი ქობალია.

პედაგოგები კი არხეინად განაგრძობდენ: „მრავალჟამიერს ვეძებდი"-ს სიმღერას. მოდი და ასეთ მასწავლებლებს ჩააბარე ახალგაზრდობის აღზრდა-განათლების საქმე. რა უნდა ასწავლონ მათ ბავშვებს გარყვნილებისა და უზნეობის გარდა? **ვავა.**

სიბნელეს ვებრძვით.

(აკეთი, გურია).

გასული წლის 1—7 ნოემბრამდე აკეთის თემში ჩატარებულ იქნა „წერკუმსი"-ს კვირეული, რომლის დროსაც გაკეთებულ იქნა მოხსენებები „წერკუმსი"-ს მნიშვნელობაზე და არჩეულ იქნა „წერკუმსი"-ს ბიურო. „წერკუმსი"-ს ბიურომ, შემოიკრიბა-რა თავის გარშემო 100-მდე წევრი; პირველ ხანებში მოახდინა ჩვენი თემის წერა-კითხვის უცოდინართა აღრიცხვა 18-წლიანებიდან 45 წლამდე, რაც უდრიდა 114 კაცს. შემდეგ კი წერაკითხვის უცოდინარობის მოსპობის მიზნით მაზრის ნებართვით მოწყობილ იქნა ცალკე უბნებში ლიკსკოლები 75-მდე მსმენელით, რომლისათვისაც საჭირო სახელმძღვანელოები გამოგზავნილ იქნა მაზრიდან.

მეცადინეობა მიმდინარეობდა ინდივიდუალური მეთოდით და ხელმძღვანელობა დავალებული ჰქონდა ადგილობრივ მასწავლებლობას. მიმდინარე წლის 24—28 აპრილამდე მაზრის მიერ დანიშნულ კომისიამ ჩაატარა გამოცდები, რამაც საინტერესო და კარგი შედეგები მოგვცა და წერაკითხვის უცოდინართა სიიდან უკვე ამოირიცხა 60 ქალი და კაცი.

ამრიგათ რჩება თემში კიდევ 54 წერაკითხვის უცოდინარი და საჭიროა მომავალში მიღებულ იქნას ზომები მათთვის წერა-კითხვის შესასწავლადაც. ამავე დროს უნდა ითქვას, რომ წერაკითხვის შესწავლა კიდევ არ ნიშნავს სრულ მიღწევას.—საჭიროა კურსდამთავრებულები ჩაბმულ იქნან პოლიტგანმანათლებელ მუშაობაში, დაუახლოვდენ ქოხ-სამკითხველოებს, გამოიწერონ საგლეხო გაზეთი „ახალი სოფელი" და სხვა. **ჭაშნიკი.**

ბაღი დაკეტვის პირადაა.

(სურამი).

გასული წლის ივლისში სურამში დაარსებულ იქნა ამხ. ფილიპე მახარაძის სახელობის საბავშვო ბაღი. პირველ ხანებში ის განათლების კომისარიატის ბიუჯეტზე ირიცხებოდა, მაგრამ შემოდგომიდან მაზრის ხარჯთაღრიცხვაში იქნა შეტანილი. ამ ბაღის საქმე ძლიერ კარგად მიდიოდა და გლეხებშიაც დიდი სახელი დაიმსახურა, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა, ვინაიდან მაზრამ ის თავის ბიუჯეტიდან მოხსნა.—არ ვიცი ვაუებრობით, თუ ხარჯების შემოკლების მიზნით.

როგორც უკვე ვთქვი, გლეხებში დიდი მოწონება ჰქონდა საბავშვო ბაღს. ახალი [illegible] ამ საკითხზე გლეხების ლაპარაკი არ შეწყვეტილა. ადგილობრივმა აღმასკომმა მიიღო ასეთი მდგომარეობა მხედველობაში და რომ ბაღი არ დაკეტილიყო, ადგა და თავის ღარიბ სალაროდან 75 მანეთი გადასდო ყოველთვიურად, რომელიც მხოლოდ მასწავლებელთა ჯამაგირს აკმაყოფილებს. ეხლა ბაღში სამოცი ბავშვი ირიცხება და უნდა ითქვას, რომ გამგის ერთგული მუშაობით ბაღი დღემდე კიდევ ბოგინობს.

საჭიროა სურამის საბავშვო ბაღის უმწეო მდგომარეობას მიექცეს ჯეროვანი ყურადღება და სანამ გვიან არ არის, შენარჩუნებულ იქნას ამ სასარგებლო ორგანიზაციის არსებობა. **ი. გაგოშიძე.**

ახალი აგარაკი

„ტყე-კვალა" (გურია)

გასულ წელს სრულიად შემთხვევით გომის მთის მახლობლად (3—4 ვერ.) „აღმოჩენილ იქმნა მეტად იშვიათი საგარაკო პუნქტი—„ტყე-კვალა" რომელიც ბახმაროს ბევრათ არაფრით ჩამოუვარდება.

ეს ადგილი შარშან-წინ (1924 წ.) დაათვალიერა კომისიამ ამხ. ფ. მახარაძის, ხიმშიაშვილის და სხვ. შემადგენლობით, რომელთაც „ტყე-კვალა"-ს მეორე ბახმარო უწოდეს.

ბახმაროსსავე მსგავსად, იგი 3 მხრივ მთებითაა შემოზღუდული, დასავლეთით გაშლილია შავი ზღვის გავლენისათვის.

მისი მოედანი, რამოდენიმე ათეულ ქცევის მანძილზეა გაშლილი დაბურულია ფიჭვ-ნაძვნარ-სოჭის უვალი ტყით. მთელ ამ ასპარეზს, რომელიც ასე უხვია ანკარა და ცივი წყაროებით, შუა ჰყოფს მდ. ჟუჟი, რომელიც იქვე იღებს სათავეს.

„ტყე-კვალას" უდიდესი ღირსებაა, რომ იგი შეკრულია და ყოველ-მხრივ დაცულია, როგორც ქარის, ასევე ნისლისაგან, რომელიც ბახმაროს და გომის მთას აკლია.

ამასთანავე „ტყე-კვალა"-ს დიდი უპირატესობაა ის, რომ ტყე-კვალაზე შეიძლება გაყვანილ იქნას საურმე გზა შაფაქურიდან ჟუჟის გასწვრივ.

სამაზრო ხელისუფლებამ უნდა გადასდგას ჯეროვანი ნაბიჯი ამ საკითხის დროულ და სასურველ მოსაგვარებლად. **კარ. დონაძე.**

თელავი

ცოცხალი კავშირი თემსაბჭოებთან

პარტკომმა და აღმასკომმა ყველა თემსაბჭოებში მიამაგრა თითო პასუხისმგებელი ამხანაგი, რომელიც ამასთანავე, ამავე საბჭოს წევრადაც არის ამორჩეული.

ეს ამხანაგები თელავიდან საბჭოს ყოველ სხდომაზე მიემგზავრებიან.

სოფლის საბჭოებთან ცოცხალი კავშირის დაჭერას დიდი მნიშვნელობა აქვს. **ვ.**

წერილებიდან

აგარაკი გორდი (ქუთ. მაზრა).

ჯანმრთელობის სახელოსნო. აგარაკ გორდის ჯანმრთელობის ბუნებრივ სახელოსნოს უწოდებენ. ყოველ ზაფხულობით აწყდება ამ საუცხოო სამკურნალო ადგილს მრავალი ავადმყოფი. მაგრამ. რამდენადაც კარგია ეს აგარაკი, იმდენი მოვლა არა აქვ მას. ახლო-მახლო დაუზოგავათ გაუჩეხიათ ნაძვნარი ტყე, გზები საშინელ მდგომარეობაშია. იმედია, ამ ზაფხულისათვის უფრო მეტი ყურადღებით მოეკიდებიან ამ სასახელო აგარაკს. **ალალიანი.**

ლესა (გურია).

საზიზღარი მკვლელობა. 2 მაისს, ეგრეთ წოდებულ აღდგომის დღეს სასეირნოთ გამოსულ ძმებს ავთანდილ და ბენიამენ დონდისოებს მოულოდნელად თავს დაეცენ დანით შეიარაღებული პირები. ავთანდილი ადგილობრივ იქნა მოკლული და მისი ძმა ბენიამენი სასიკვდილოდ დაიჭრა. **ია პირელი.**

სოფლის ქრონიკა

— **საძოვრებზე.** ქუთაისის მაზრაში საზაფხულო საძოვრების სეზონი უკვე დაიწყო.

— **მუშა-საქონლის** შესაძენ სესხის გაცემათ ჩხორეთის (ქუთ. მაზრა) საკრედიტო ამხანაგობამ მიიღო 2 ათასი მანეთი.

— **გორის** აღმასკომმა შეიძინა 3 ტრაქტორი ფორძონის სისტემის და „ტრიერის" 5 გუთანი.

— **აჭარის** სასოფლო-სამეურნეო ბანკმა საზღვარ-გარეთიდან მიიღო 48 კულტივატორი.

— **ქიზიყში** წელს დაითესება 1300 დესეტინა თამბაქო, თამბაქოს მეურნეებს მიეცემათ ავანსები.

— **ახალდაბის** (გორ. მაზრა) ხე-ტყის სახერხი ქარხნის შეკეთება ახლო ხანში დამთავრდება. ქარხანა ამუშავდება მაისის მეორე ნახევარში.

— **მეღვინეთა ამხანაგობა.** სას.-სამ. ბანკის ქუთაისის განყოფილებამ ბაღდადის მეღვინეთა ამხ.-ბას მისცა სესხი 6 ათასი მანეთი.

— **გაგრის კურორტებზე** აჭარისტანის დამზღვევი სალარო 15 მაისს აგზავნის ავადმყოფების პირველ წყებას 17 კაცის რაოდენობით.

პროლეტარულ მწერალთა ყრილობა

მეოთხე და მეხუთე სხდომები

მეოთხე სხდომაზე გრძელდებოდა კამათი პროლეტარულ მწერლების თბილისის ასოციაციის მოქმედების შესახებ. კამათში მონაწილეობა მიიღო 30-მა ორატორმა.

ოპონენტებს პასუხი გასცა მომხსენებელმა, რომელიც დაეთანხმა ამხანაგებს მასში, რომ გამგეობის მუშაობა სუსტი იყო. გამგეობის მუშაობის სისუსტე მომხსენებელმა ახსნა გამგეობის ზოგიერთი წევრების უმოქმედობით ან ისეთი არასასურველი ინტერესებით ნაკარნახევ მოქმედებით, რომელიც საერთო საქმიანობას ხელს უშლიდა.

მთავარი მიზეზი გამგეობის სუსტი მუშაობის, მომხსენებლის აზრით არის პროლეტარულ შემოქმედების სისუსტე საქართველოში,რაც დიდ გავლენას ახდენდა ორგანიზაციის მუშაობაზედაც. მიუხედავად ამ მნიშვნელოვანი ხელშემშლელი მიზეზებისა, გამგეობის მუშაობას, მომხსენებლის აზრით, მაინც ჰქონდა დადებითი შედეგები. ეს არის ლიტერატურულ გამომცემლობის და ლიტერატურულ მუშაობის გაცხოველება.

პროლეტარულ კულტურის შემოქმედების გზები

(მომხსენებელი ამხ. შ. დუდუჩავა)

ამხ. დუდუჩავამ თავის მოხსენების თემა შემოფარგლა იმ საკითხებით, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულნი არიან პროლეტარულ კულტურის შემოქმედებითი პროცესთან. პროლეტ. კულტურის პრობლემებს, ამბობს მომხსენებელი—განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პირობებში, როდესაც ბურჟუაზია—პოლიტიკურად მოკლული—სცდილობს მშრომელი მასების იდეურ დაპყრობას მხატვრული იდეოლოგიის საშუალებით. ამ მოვლენას განსაკუთრებული გულისყური მიაქცია პარტიის მე-11-ტე ყრილობამ და ცეკას ცნობილმა რეზოლიუციამ: „პარტიის პოლიტიკის შესახებ მხატვრულ ლიტერატურაში".

პროლეტარული ხელოვნების არსებობის საკითხი დღეს უკვე მხატვრული ფაქტების საკითხია. ამ საკითხს თავისი ისტორია აქვს.

აქ მომხსენებელი დაწვრილებით ეხება ტროცკის, ლუნაჩარსკის და „На посту"-ს პოზიციებს ამ საკითხში.

მთავარია, მომხსენებლის აზრით, არა ის, არსებობს, თუ არ არსებობს პროლეტ. ხელოვნება, რადგანაც ეს პრობლემა პროლეტარიატის შემოქმედების მრავალმა ფაქტებმა დადებითად გადაჭრა. მთავარია, როგორი გზით უნდა წარიმართოს პროლეტარიატის ესტეტიური შემოქმედება, რომ ის გახდეს ძლიერი ფაქტორი მასებზე ემოციონალურ ზემოქმედებისა.

ხელოვნების ფუნქციონალური მნიშვნელობა მჟღავნდება სწორედ ამ ემოციონალური ზემოქმედებაში. „ემოციონალური მომენტი კონსტრუქტიული პრინციპია მხატვრული შემოქმედების" (ბუხარინი). ეს ზემოქმედება ხდება ფორმების საშუალებით. ამ საკითხმა ორი გადახრა წარმოშვა: პუბლიცისტური და ფორმალისტური. პირველ გადახრის თანახმად მხატვრულ შემოქმედებაში ფორმას მეორეხარისხოვანი როლი უკავია. მთავარია შინაარსი. ფორმალისტების აზრით ხელოვნება სტილისტიური ხერხების ჯამია. მთავარი და უპირველესი აქ ფორმაა. უშინაარსო ფორმაა—„ზაუმია". ეს უკანასკნელი ჰკლავს ხელოვნებას, როგორც ასეთს. პირველი გადახრაც ანიავებს მხატვრულ შემოქმედებას.

აქ მომხსენებელი დაწვრილებით ლაპარაკობს ფორმის პრობლემის შესახებ; აქ ის იშველიებს ლუნაჩარსკის და ცეკას რეზოლიუციებს.

პროლეტ. ხელოვნების ლიტერ. კრედო,—მომხსენებლის აზრით,უნდა იყვეს მხატვრული რეალიზმი. ეს უკანასკნელი არის სინამდვილის ემოციონალური ძლევა, ე. ი. სინამდვილის აშენება შემოქმედებაში. შემოქმედებაში სინამდვილე უნდა შევიმცნოთ არა მარტო აზრით, არამედ აგრეთვე ბგერითაც. აქედან დებულება: თანამედროვე ხელოვნება უნდა იყვეს ბგერითი და ემაციონალური მომენტების სინთეზი. სახის პრობლემა ამ დებულებას უკავშირდება.

პროლეტარულ ხელოვნებამ ყურადღება უნდა მიაქციოს ფორმალურ მომენტებს, რადგან ეს საკითხი სრულიად დაუმუშავებელია. შემდეგ მომხსენებელი ლაპარაკობს პროლეტ. პროზისა და პროლეტ. რომანის შესახებ.

ქართ. პროლეტ. პოეზიას ამ ბოლო დროს გამოცოცხლება დაეტყო; „რამ"-ის, „პროლემაფი"-ს გამოსვლები აუცილებლად დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს. მათი ამოცანა ფორმალური ძიებაა. სულ სხვა საკითხია, როგორაა ეს ძიება დაძლეული შემოქმედებაში. მაგრამ მიზანი მათი დადებითი და დროულია. თემატიკის საკითხების მხრივ პროლეტ. პროზა ერთფეროვანია. პროლეტ. პოეტი ასე ფიქრობს: თუ მან არ დასწერა, თუ რა ხდება ამერიკულ ბირჟაზე, ისე ის ვერ გახდება პროლეტარულ პოეტად. ეს შეცდომაა. პროლეტ. პოეზია უნდა გახდეს მრავალფეროვანი. ყოფა-ცხოვრების საკითხები კოლექტიური ლირიკით განათებული უნდა გახდეს ქვა-კუთხედი პროლეტ. შემოქმედებისა მაშინ ის დაიპყრობს ჰეგემონიას და გახდება ნამდვილი ნაციონალური და ინტერნაციონალური იდეის მატარებელი.

შემდეგ მომხსენებელი ეხება ნაციონალურ კულტურის საკითხებს—პროლეტ. დიქტატურის პირობებში. ეხება ქართულ ლიტერატურულ სინამდვილეს, და ამბობს, ქართული მწერლობა ოფიციალურად თანამგზავრობის ნიადაგზე დადგა; ორგანიზაციული ჩამოყალიბება ამ თანამგზავრობამ ჰპოვა მწერალთა გაერთიანებულ ყრილობაში. თანამგზავრობა—ეს არის პოლიტიკური მოვლენა ლიტერატურაში. ამის და მიხედვით მათი დიფერენციაცია ფაქტია: სიმბოლიზმი იდეურად მოკვდა და ექსპრესიონიზმის იერი მიიღო. მიწასთან დაბრუნება— ჟან ჟაკ რუსოს იდეის აღდგენაა.

კ. გამსახურდიას ექსპრესიონიზმი მისტიკაა. ძველ მწერლობაშიაც არის მარჯვენა და მარცხენა ფრთა.

ასეთ პირობებში პროლეტ. ლიტერატურა ადვილად შესძლებს მოწინააღმდეგეთა იდეურ დამარცხებას.

დასასრულ მომხსენებელი ლაპარაკობს იმ ორგანიზაციულ პრინციპებზე, რომელიც საფუძვლად უნდა ედოს ასოციაციის ლიტერატურულ საქმიანობას. ამ ნაწილში მომხსენებელმა ხაზი გაუსვა მუშკორთა ორგანიზაციებს პროლეტ. ასოციაციაში.

მოხსენებამ გამოიწვია გაცხოველებული კამათი.

მესამე რაიონის მუშათა გაფართოებული კონფერენცია

პარასკევს, 7 მაისს, მესამე რაიონში გაიხსნა მუშათა გაფართოებული კონფერენცია. კონფერენციის დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მოხსენება და აღმასკომის მოხსენება.

საპატიო პრეზიდიუმში კონფერენციამ აირჩია ამხ.: **კალინინი, სტალინი, რიკოვი, ორჯონიკიძე, ალამალი-ოღლი, ლუკაშინი, ორახელაშვილი, ცხაკაია და ხანოიანი.**

სამუშაო პრეზიდიუმში არჩეულ იქნა 15 ამხანაგი.

შემდეგ კონფერენციამ მოისმინა ამხ. **კახიანის** მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე. კონფერენციამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ინგლისის მუშათა გაფიცვას და მრავალი შეკითხვები მისცა მომხსენებელს ამ ამბების შესახებ. კონფერენციამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია:

„მოისმინა რა ამხ. კახიანის მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე, მესამე რაიონის მუშათა კონფერენცია მხურვალეთ ესალმება ინგლისის მუშათა ბრძოლას და აღნიშნავს, რომ კაპიტალიზმის სტაბილიზაცია რღვევის პერიოდს განიცდის. კაპიტალის აღვირახსნილ შემოტევის საპასუხოთ დასავლეთ ევროპის რევოლიუციონური პროლეტარიატი თავდაცვიდან შეტევაზე გადადის, რაც ინგლისის მუშათა გრანდიოზული გაფიცვით მტკიცდება. ინგლისის მუშების ბრძოლას საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს, მთელი ქვეყნის მუშები დიდი ყურადღებით ადევნებენ თვალყურს ინგლისის პროლეტარიატის გმირულ ბრძოლას და შესაფერის ნივთიერ დახმარებას უწევენ მას.

საბჭოთა კავშირის მუშები, რომლებმაც თავის ქვეყნიდან განდევნეს კაპიტალისტები და მემამულეები და ყოფილ რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე დაამყარეს მუშათა კლასის დიქტატურა, გაფაციცებით ადევნებენ თვალყურს ამ ბრძოლას.

ინგლისის მუშათა ბრძოლა კიდევ მეტად ამტკიცებს საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობას, რომლის მშრომელები, კომპარტიის ცეკას ხელმძღვანელობით, ყოველმხრივ დახმარებას გაუწევენ ინგლისის მუშებს, რათა მათაც განახორციელონ თავისი დიადი ოქტომბერი. მსოფლიო იმპერიალიზმი მსოფლიო მუშათა განმათავისუფლებელ მოძრაობის მარწუხებს შუა იმყოფება და რევოლიუციონური პროლეტარიატის შემოტევით განიცდის სიკვდილის უკანასკნელ პერიოდს.

მუშათა გაფართოებული კონფერენცია, სავსებით და მთლიანად იწონებს პარტიის მე-14-ე ყრილობისა და ცეკას აპრილის პლენუმის დადგენილებებს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, მრეწველობის გაფართოების და ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღორძინების შესახებ და ადგენს—ყველა ეს დადგენილებები პარტიულ ამხანაგებთან ერთად, გაატაროს ცხოვრებაში.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ძლიერებას!

გაუმარჯოს ინგლისის მუშათა ბრძოლას და მის ოქტომბერს!

გაუმარჯოს კომინტერნს, რომელიც ხელმძღვანელობს მსოფლიო პროლეტარიატის გადამჭრელ ბრძოლას!

გაუმარჯოს საკავშირო კომპარტიის ცეკას, რომელიც კაპიტალიზმის ნანგრევებზე აშენებს მუშათა სახელმწიფოს და მტკიცეთ მიყავს ქვეყანა სოციალიზმისაკენ"!

რეზოლიუციის მიღების შემდეგ კონფერენციის პირველი სხდომა დაიხურა. **უ.**

სასოფლო მეურნეობა

ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკების წარმომადგენელთა თათბირი

მესამე სხდომა

საბანკო ოპერაციების განვითარება

მესამე სხდომაზე თათბირმა მოისმინა ამხ. **ათაბეკოვის** მოხსენება საბანკო ოპერაციების განვითარების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დაბალი პროცენტები სესხზე და მასთან სესხის გაცემა გრძელი ვადით ხელს უშლის სასოფლო-სამეურნეო კრედიტის განვითარებას.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საერთო ბრუნვები და საკორესპონდენტო ოპერაციები ფართოვდება.

საკორესპონდენტო კავშირი ძირითად ორგანიზაციების შორის არ არსებობს და საერთოდ, საბანკო ოპერაციების განვითარების მხრივ სუსტი მდგომარეობაა როგორც ბანკებში, ისე ძირითად ორგანიზაციებში.

მომავალში, რათა ასეთ მდგომარეობას ბოლო მოეღოს მომხსენებელს საჭიროთ მიაჩნია, საკრედიტო თანხების გაძლიერება, საბანკო ოპერაციების განვითარება, კრედიტების განაწილება ადგილობრივ პირობების მიხედვით და სხვა.

კამათი

ამხ. ათაბეკოვის მოხსენებამ გამოიწვია გაცხოველებული კამათი, რომელიც დამთავრდა მეოთხე სხდომაზე. ზოგიერთ ამხანაგებს დაუშვებლათ მიაჩნიათ სასოფ.-სამ. ბანკების და საკრედიტო ოპერაციების განვითარების მიზნით სხვის ფუნქციებში შეჭრა და ერთგვარი კონკურენციის გაწევა სხვა ბანკებისათვის. ოპერაციების განვითარება უნდა მოხდეს თვით სასოფ.-სამეურნეო საკრედიტო ორგანოების სისტემის ფარგლებში.

მეოთხე სხდომა

მეოთხე სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენებები: ამხ. **მაზმანოვისა** სპეციალურ სასოფ.-სამ. კულტურებისათვის კრედიტების მიწოდების მეთოდთა შესახებ, ამხ. **ჩხენკელის** — მანქანებით მომარაგებისათვის კრედიტების გაცემის შესახებ, ამხ. **აფრიკიანის** —მიზნობრივი სესხების უზრუნველყოფის წესის განმარტივების შესახებ, ამხ. **ჩხენკელის** — სასოფ.-სამეურნეო საკრედიტო ორგანოების და სასოფ.-სამ. კოოპ. ორგანოების შეთანხმებული მოღვაწეობის და მათ გამოკვლევათა წესრიგის შესახებ და ამხ. **მაზმანოვის** — გლეხების მიერ შესანახად შეტანილ თანხების საგარანტიო დაზღვევის შესახებ.

მომხსენებლებმა ყველა საკითხებზე მისცეს შესაფერი განმარტება.

სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის

16 მაისს თბილისში იხსნება ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, რომლის მიზანია: 1) გააცნოს ამ.-კ. მოსახლეობას უცხოეთისა და საბჭოთა კავშირში დამზადებულ სას.-სამ. იარაღების, მანქანების, და მასალების სისტემებისა და მარკებს; 2) მოახდინოს მანქანების და იარაღების შერჩევა ამ.-კავ. მეურნეობისათვის; 3) დაამყაროს მჭიდრო კავშირი მანქანათა მშენებელ ფირმებთან და შეუთანხმდეს მათ მანქანების შეღავათიან ფასებში მიწოდების შესახებ.

გამოფენაზე მნახველებს უჩვენებენ უცხოეთიდან ჩამოტანილ—ახალი კონსტრუქციის სასოფლო-სამეურნეო მანქანების უმდიდრესს ასორტიმენტს. გამოფენილი იქნება საჭირო მანქანები: მეველეობისა, მებაღეობისა, მებოსტნეობისა, მევენახეობისა, მესაქონლეობისა, მეფრინველეობისა, მეტყეობისა, მელიორაციისა და მეურნეობის სხვა მრავალი დარგებისათვის. გამოფენილი იქნება აგრეთვე სარემონტო სახელოსნოს მანქანები, ბრინჯის საწმენდი ქარხანა, პარკის სახმობი, წისქვილი, ელექტრო-სადგური — სასოფლო-რაიონებისათვის და სხვა.

გამოფენაზე მოხდება ტრაქტორების და აგრეთვე გუთნების გასინჯვა-გამოცდა, რომლის დროსაც გაიმართება მოხსენება-ლექციები.

აქედან ცხადია, თუ რამდენათ საინტერესო და მნიშვნელოვანია გამოფენა ჩვენი სასოფლო მეურნეობისათვის და რა როლი შეუძლია ითამაშოს მას ჩვენი გლეხური მეურნეობის აღორძინების საქმეში.

გამოფენა ხელს შეუწყობს სასოფლო მეურნეობის უფრო სწრაფ განვითარებას და საწარმოო ძალების წარმოშობას სოფლად.

მანქანების უპირატესობაში დარწმუნებული გლეხობა სოფლად მოაწყობს სამანქანო ამხანაგობებს, რომლის მიზანი იქნება მანქანების შეძენა. ეს იქნება კოლექტიურ მეურნეობაზე გადასვლის დასაწყისი სოფლად. **ა. შ.**

ობლიგაციები

13 მაისს სრულდება სამი წელიწადი პირველ მოგებიან ოქროს სახელმწიფო 6% სესხის ობლიგაციების პირველ გათამაშებიდან. საბჭოთა კავშირის ფინსახკომის 1922 წ. 31 ოქტომბრის დეკრეტით, დაწესებულია გათამაშებით მოგებულ ფულის მისაღებათ სამი წლის ვადა; ეს ვადა კი აღნიშნულ, სესხის პირველ გათამაშებისათვის თავდება ამა 13 მაისს. ამიტომ ობლიგაციების პატრონებმა ეხლავე უნდა გამოარკვიონ—შეხვდა თუ არა მის ობლიგაციებს მოგება პირველ გათამაშების დროს. ყველას შეუძლია ეს ცნობები უფასოთ მიიღოს ფინსახკომებში, სამფინანსოებში, ბანკებში და შემნახველ სალაროებში.

ვინც ამ 13 მაისამდე არ გამოარკვევს თავის ობლიგაციების ხვედრ მოგებას და არ მოითხოვს მას, იგი შემდეგ სრულიად ჰკარგავს ამ მოგებულ ფულის მიღების უფლებას.

◆

ფასების მოსაწესრიგებლად

შინავაჭრობის სახკომის რწმუნებულმა თავის ქვემდებარე ორგანიზაციების მიმართ გაგზავნა ცირკულიარი, რომელშიაც ნათქვამია, რომ ზოგიერთ მაზრებში დღემდე ადგილი აქვს საეტიკეტო ფასების დარღვევას. კერძოთ ეს გამოიხატა, მაგალითად, წუმწუმით ვაჭრობის დარგში. იყო ასეთი შემთხვევები: ქუთაისში 1 და 15 აპრილს კერძო ბაზარზე წუმწუმა ღირდა 10 კოლოფი 17 კაპ., ფოთში—20 კაპ., სამტრედიაში—20 კაპ., ახალციხეში—18 კაპ., შაუმიანში 1 აპრილს კოოპერაციაში და კერძო ბაზარზეც 10 კოლოფი წუმწუმა იყიდებოდა 18 კაპეიკად. 15 აპრილს კოოპერაციაში—17 კაპ. და კერძო ბაზარზე—18 კაპ.; ხაშურში წუმწუმა 10 კოლოფი კერძო ბაზარზე მუდამ 20 კ. იყიდება, ახალ-სენაკში—17—20 კაპ., ჭიათურაში კერძო ბაზარზე—25—28 კაპ., ახალქალაქში—20 კაპ., წნორის-წყალზე—17 კაპ., სიღნაღში—18—20 კაპ., სოხუმში—20 კაპ., ლაგოდეხში—20 კაპ.

ამიერ-კავკასიის შინავაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში წინადადებას აძლევს ადგილებს მიიღონ სათანადო ზომები ხსენებულ არანორმალურ მდგომარეობის მოსასპობად. დამნაშავენი პასუხისგებაში უნდა იქნენ მიცემულნი, როგორც სავალდებულო დადგენილების დამრღვევნი.

◆

საკრედიტო ამხანაგობები გურიაში

მინდვრად მუშაობის პერიოდის დაწყების გამო, გლეხობა ძალიან საჭიროებს კრედიტებს. უმთავრესად სუბტროპიკულ მცენარეთა ნერგების შესაძენათ, რომელთა დარგვის სეზონი ეხლა არის.

კერძოდ ოზურგეთის საკრედიტო ამხანაგობაში ყოველ დღე აუარებელი გლეხობა აწყდება სესხისათვის, მაგრამ ამხანაგობას თანხები არ გააჩნია.

ასეთივე მდგომარეობაა დანარჩენ საკრედიტო ამხანაგობებშიც, მაგ.: ნაგომრის, ერკეთის და შემოქმედის.

◆

ტყის დღე

კვირას, 16 მაისს, საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ მთელ რესპუბლიკაში, როგორც სოფლად, ისე ქალაქებში ჩატარებული იქნება ტყის დღე.

კომისარიატის მიერ შემუშავებულ გეგმის თანახმად, ადგილებზე ტყის დღის ჩატარების მიზნით ქალაქებში და სოფლებში უნდა შესდგეს ტყის დღის მომწყობი კომიტეტები, რომლებშიაც შევლენ ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციების წარმომადგენლები.

კომიტეტებს ევალებათ 16 მაისამდე ჩაატარონ ლექციები, მოხსენებები და საუბრები სატყეო მეურნეობის ყველა საკითხებზე.

16 მაისს დილიდანვე მცხოვრებლები იკრიბებიან წინდაწინ დანიშნულ ადგილზე და მიდიან ტყეში, ან მდინარის პირას, ან სხვა რომელიმე შესაფერ ადგილას და შეუდგებიან მუშაობას.

ეს მუშაობა გამოიხატება ტყის გაწმენდაში, თხრილების გაყვანაში, სადაც შესაძლებელია—სანერგეების მოწყობაში, ტყის გასაშენებელ ადგილების შემოფარგვლაში და სხვა.

სალამოს კი იკრიბებიან კლუბში, სახალხო სახლში, სკოლის შენობაში ან სხვა რომელიმე კულტურულ-განმანათლებელ ან საზოგადოებრივ დაწესებულების შენობაში, სადაც გაიმართება სალამო-წარმოდგენები ადგილობრივ ძალების მონაწილეობით.

სახელმწიფო, პარტიულ, საზოგადოებრივ და კულტურულ-განმანათლებელ ორგანიზაციებს ევალებათ მხურვალე მონაწილეობა მიიღონ ტყის დღის ჩატარებაში.

ამ დღის აღსანიშნავად მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემულია სპეციალური [illegible], რომელშიაც მოთავსებულია სხვადასხვა ავტორების მოთხრობები და წერილები ტყეებზე.

ქრონიკა

ამხ. მიხა ცხაკაია

გუშინ დაბრუნდა ყირიმიდან და შეუდგა თავისი მოვალეობის ასრულებას.

სამხედრო გზა

20 მაისს იხსნება მიმოსვლა საქართველოს სამხედრო გზაზე. ამ ჟამად სწარმოებს გზის გაწმენდა მლეთ-კობის უბანში.

15.000 მანეთი ინგლისის პროლეტარიატს

გუშინ საქართველოს პროფკავშირთა საბჭომ გადაგზავნა ინგლისის პროლეტარიატისათვის 15.000 მანეთი, რომელიც შეკრეფილია საქართველოს მშრომელებს შორის. თბილისის მუშებს და მოსამსახურეებს თავიანთ კრებებზე გამოაქვთ დადგენილებები ინგლისის პროლეტარიატის სასარგებლოთ ხელფასის ნაწილის გადარიცხვის შესახებ. ფულის შეკრება სწარმოებს საქართველოს ყველა მაზრებში.

უცხოეთის დელეგაციები

ხვალ, 12 მაისს თბილისში მოელიან კომუნალურ მუშაკების დელეგაციას, რომელმაც ინახულა საბჭოთა კავშირის მთავარი ქალაქები და, მათ შორის, ბაქო. დელეგაციაში, რომელიც 21 კაცისაგან შესდგება, შედიან სკანდინავიის კომუნალური მეურნეობის მუშაკნი. დელეგაციის მიზანია, გაეცნოს კომუნალურ მეურნობას საბჭოთა კავშირში.

ამ ჟამად საბჭოთა კავშირში მოგზაურობს ომის ინვალიდთა ინტერნაციონალის დელეგაცია, რომელიც 12 კაცისაგან შესდგება. ამ დღეებში დელეგაცია ეწვევა ქ. თბილისს. და გაეცნობა ინვალიდთა სოციალური უზრუნველყოფის საკითხს საქართველოში.

კომუნალური მშენებლობისათვის

საბჭოთა კავშირის საგეგმო კომისიამ დაამტკიცა ცენტრალური კომუნალური ბანკის მიერ შედგენილი თანხების განაწილების გეგმა კომუნალური მშენებლობისათვის.

ამ გეგმის მიხედვით, ა.-კ. ქალაქებისათვის გადადებულია 750 ათასი მანეთი.

მტკვრის დონე

უკანასკნელი დღეების სიცხეს შაბათს 8 მაისს მოჰყვა ძლიერი წვიმა, რომელიც განმეორდა კვირას 9 მაისს, რამაც გავლენა მოახდინა მტკვრის დონეზე, რომელიც კვირას აიწია 2 მეტრ და 40 სანტიმეტრამდე, ხოლო გუშინ დღის 12 საათისათვის მდინარის დონე უდრიდა 2 მეტრს და 78 სანტიმეტრს.

გამოცდები მუშფაკებში.

განათლების კომისარიატის დადგენილებით, მიმდინარე სამოსწავლო წელს მუშათა ფაკულტეტების მსმენელთათვის შემოღებულია ფაკულტეტების დასამთავრებელი გამოცდები.

ბავშვები აგარაკებზე.

განათლების კომისარიატმა სოციალურ აღზრდის მთავარ მმართველობას დაავალა შეუდგეს 1 ივნისიდან საბავშვო სახლებიდან ბავშვების აგარაკებზე გადაყვანის საქმეს.

თბილისის ალმასკომში.

— **გვირაბის გახსნა.** ბოტანიკური ბაღის გვირაბი გაიხსნა მოქალაქეთათვის. შესვლა ღირს 5 კაპ.

— **სანიტ.-ტეხნიკურ განყოფილებას** თბ. ალმასკომმა დაავალა მიიღოს სასწრაფო ზომები ქალაქის გასაწმენდათ.

— **ქალაქის და მაზრის** კეთილმოწყობაზე მიმდინარე წელს ქალ. ალმასკომმა დახარჯა 394.097 მან.

— **წყალსადენი წყნეთში.** თბ. ალმასკომის კეთილმოწყობის განყოფილება შეუდგა წყნეთში წყალსადენის გაყვანას

— **ტრამვაის ხაზის საერთო სიგრძე** ამჟამად აღწევს 51 ვერსამდე. 1921 წელში იყო მხოლოდ 39 ვერსი.

— **წყალში დახრჩობასთან ბრძოლის** მიზნით თბ. ალმასკომმა შეიძინა 2 ნავი, რომელიც იმუშავებს მტკვარზე.

— **წყალსადენიანი ბინები** ამჟამად თბილისში ითვლება 11.741.

დამზღვევ სალაროში.

— **ავანსები.** თბ. დამზღვევ სალარომ დაადგინა დაზღვეულებს მათთვის დახმარების სახით მისაცემი თანხის ანგარიშში არ მიეცეს ავანსები.

— **საექიმო დახმარება.** აპრილში დაზღვეულთათვის საექიმო დახმარების გაწევის საქმეებზე სალარომ დახარჯა 83.846 მანეთი.

მონადირეთა ყრილობა

კვირას, თბილისში გაიხსნა საქართველოს მონადირეთა მეოთხე ყრილობა.

ყრილობაზე გამოცხადდენ საქართველოს მონადირეთა კავშირის ყველა განყოფილებათა წარმომადგენლები.

საქართველოს მონადირეთა კავშირის გამგეობამ გააკეთა მოხსენება თავის მოქმედების. შესახებ. გამგეობა შეეხო საკითხს თბილისში ზოოლოგიურ ბაღის გახსნის და სავარჯიშო სროლის მოწყობის შესახებ.

თავის მოხსენებაში გამგეობა შეეხო კავშირის ბათომის განყოფილების მოქმედებას. გამგეობამ აცნობა კავშირის წევრებს, რომ ბათომის განყოფილების მთავარი მოღვაწეები დაპატიმრებული არიან 8.000 მანეთის გაფლანგვისათვის.

შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა უდეფიციტოა: შემოსავალი უდრის 19.000 მანეთს.

სხვადასხვა.

— **მატყლის დამზადება.** საზოგადოება „ბირლიკი“ შეუდგა გაზაფხულის მატყლის დამზადებას.

— **თათბირი.** 20 მაისს თბილისში შესდგება საბინაო-საიჯარო ამხანაგობების რწმუნებულთა თათბირი.

— **საავტომობილო მიმოსვლა.** ამ დღეებში დაიწყება საავტომობილო მიმოსვლა ბათომ—ართვინს შორის.

— **სამხედრო გადასახადი.** მიმდინარე წლის მეორე ნახევრიდან თადარიგში მყოფ პირებისათვის შემოღებულია სამხედრო გადასახადი.

— **ტელეგრაფი.** ამიერ-კავკასიის სოლექო კავშირმა შეადგინა სატელეგრაფო კავშირის 3-წლიანი გეგმა.

— **განათლების მუშაკთა სახლში** დღეს, 11 მაისს, საღამოს 6 საათზე, შესდგება ქართული ენის შემსწავლელი წრის მეცადინეობა პროფ. გ. ახვლედიანის ხელმძღვანელობით.

ხელოვნების ქრონიკა.

— **წითელ თეატრში** დღეს გაიმართება კინოსტუდიის და პროლეტკულტის სტუდიის საჩვენებელი საღამო.

— **„იმედის დაღუპვა“.** დღეს ოპერის თეატრში სამხატვრო თეატრის მიერ წარმოდგენილი იქნება „იმედის დაღუპვა“.

შემთხვევები.

— **მკვლელობა.** 9 მაისს ორთაჭალაში ჩოფურაშვილის დუქნიდან ერთი ვერსის დაშორებით უცნობ ბოროტმოქმედების მიერ მოკლული და მტკვარში გადაგდებულ იქნა უცნობი ქალი. ეს შეუნიშნავთ მტკვრის მეორე ნაპირას მდგომ მილიციელ ფალავას და შალოიანცს, რომელთაც აუტეხიათ სროლა ბოროტმოქმედებისათვის, მაგრამ უკანასკნელებს მოუსწრიათ მიმალვა. გვამი ჯერ არ არის ნაპოვნი.

— **ცეცხლი.** 8 მაისს რუსის ქ., № 1, იოსებ თანდილაშვილის ბინას გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩააქრო ცეცხლის მქრობელ რაზმმა.

— **ქურდი ქალები.** 8 მაისს შეიპყრეს ლიუბა ბოიკო და თამარა გონჩაროვი უმუშევარ მოზარდთა სახლის გაქურდვისათვის.

— **ქურდი შვილი.** 8 მაისს სუფ-სარქისის ქ., № 61, სიმონ ქოჩორიძის ბინა გაქურდა მისივე შვილმა გიორგიმ.

— **გვამის პოვნა.** სოღანლუღთან 9 მაისს ამოჩენილ იქნა ახალგაზრდა ქალის გვამი. რომელიც აღმოჩნდა ნინა იზმიროვა.

— **ქურდობა.** 7 მაისს გაქურდეს ილიტა კვატაშიძის ბინა.

— ამავე დღეს მე-10-ე სამ. რაიონში გაქურდეს როზენბლატის სადურგლო ქარხანა.

— 8 მაისს ელისაბედის ქ., № 137, მიხეილ გაგნიძის სახელოსნოდან მოიპარეს 300 მანეთის ნივთები.

— 8 მაისს თეატრის შესახვ., № 1, გასპარ სალიანცის ბინა გაქურდა მასთან მცხოვრებ ლიუსიკა სალიანცმა.

— **შეპყრობა.** 9 მაისს ქურდობისათვის შეიპყრეს ოფჩიევი.

— **ამავე** დანაშაულობისათვის იმავე დღეს შეიპყრეს ვილიკ ყარაბეგიანი.

— 8 მაისს შეიპყრეს ჯიბგირი ჯაფაროღლი.

— **ლიანდაგიდან ტრამვაის გადაცდენა.** გუშინ, დღის 1 საათზე, ვერის ხიდზე, ლიანდაგს ასცდა ტრამვაის რონოდა № 2. მოძრაობა ხაზის ერთ შტოზე შეჩერებულ იქნა 10 წუთით. არავინ დაშავებულა.

ამხ. საშა გომურაშვილის ხსოვნას

პატიოსან მშრომელთა რიგებს კვლავ გამოაკლდა ერთი წევრი. ულმობელმა სენმა,—ტუბერკულიოზმა შეუბრალებლათ დასცა შრომის საგუშაგოზე—ამხ. საშა გომურაშვილი.

ენერგიით სავსე, სიცოცხლის მოყვარული, შრომის ცეცხლში გამობრძმედილი, მუდამ მშვიდი, სიმართლისათვის თავდადებული, ორპირთა მტერი გულწრფელი გულუბრყვილო და უაღრესათ პატიოსანი მუშაკი, დაჰკარგა დღეს საბჭოთა ხელისუფლებამ ამხ. საშას სახით.

იგი, ჩუმი, უენო მუშაკი იყო. მისი გაგება ყველას არ შეეძლო.

მუდამ სივიწროვეში, გაჭირვებაუსახსრობაში განვლილმა ორგანიზმმა ვერ აიტანა ცივი დღეები.

სამსახურის წინაშე მოვალეობის შესრულების შეგნებამ არ მისცა ნება მას მოსცილებოდა თავის დაზგას არსებობის უკანასკნელ წუთამდე. ამან კიდე უფრო დააჩქარა მისი სიცოცხლის დასასრული.

ის მუდამ, ყველგან მუშაობდა საზოგადოებრივ ასპარეზზე. ის იყო უანგარო, პატიოსანი მუშაკი.

მშვიდობით კარგო ამხანაგო, ძვირფასო ადამიანო და უანგარო მუშაკო.

შ. ანდღულაძე

კინო

„ძ ი ნ ა - ძ ა ძ უ“

კინო-სურათი 7 ნაწილად. რეჟისორი ჟელიაბუჟსკი.

სურათი „ძინა-ძაძუს“ თემად აღებულია თავისუფალი სვანეთის ბრძოლა სადადეშქელიანო სვანეთთან. აფხაზეთსა-სამეგრელოსა და სადადეშქელიანოში თავადაზნაურობისაგან შევიწროვებული გლეხები თავშესაფარს ჰპოულობენ თავისუფალ სვანეთში, სადაც გლეხობას თემური მმართველობა ჰქონდა და არ სცნობდა ბატონ-ყმობას. დადეშქელიანები მუდამ სცდილობდენ დაემორჩილებიათ თავის ყურჩ-ყმათა თავშესაფარი—თავისუფალი სვანეთი. ამ ჩონჩხზეა აგებული სცენარის შინაარსი. ამ მხრივ სცენარის იდეოლოგიის და სცენარის სასიუჟეტო-საინტრიგო ფორმებს შორის სრული თანხმობა არსებობს.

სცენარის სიუჟეტი არ არის მთლიანი, მართალია ყოველი ცალკე ეპიზოდი ამუქებს და ანვითარებს ზემოხსენებულ იდეას, მაგრამ ფაბულის მხრივ ერთმანეთთან მჭიდროთ არ არიან დაკავშირებულნი და რომელიმე ნაწილის (თუნდ—პირველი ნაწილის) სრულიად ამოღება სცენარიდან არ დააბრკოლებდა მოქმედების განვითარებას. სურათს არა ჰყავს ერთი მთავარი გმირი, რომელიც უნდა იცავდეს აღებულ იდეას. არის რამოდენიმე,—ერთი და იმავე იდეის გარშემო დარაზმული გმირები (აფხაზი ზორხნი, თემის მამასახლისი, მკითხავი-ქალი, ძინა-ძაძუ და სხვა), რომელთა მოქმედებას თანაბრად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბრძოლის წარმატებით დამთავრებისთვის. რომელიმე მთავარი მოქმედი გმირის პირადი თავგადასავალი არ არის **თავიდან-ბოლომდე** გატარებული სცენარში; ეს არის მთავარი მიზეზი, რომ სცენარი მოკლებულია მთლიანობა-ერთიანობას. ამ ძირითადი ნაკლიდან გადმომდინარეობს სცენარის ყველა სუსტი მხარეები: სურათში არ არის ეპიზოდების თანდათანობითი და განუწყვეტელი მიმდინარეობა, თუმცა ცალკე ეპიზოდები მტკიცეთ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული არა ორგანიულად, არამედ მექანიკურად.

რეჟისორის განსაკუთრებული ნიჭი არის საჭირო, რომ ასეთი სცენარი მიმზიდველი გამხდარიყო მაყურებლებისათვის. სურათი კი მეტად საინტერესოა, რაც მიეწერება რეჟისორის მხატვრულ ალღოს, ოპერატორის უნარს და მსახიობთა უნაკლო თამაშს. სურათის ყოველი ცალკე ნაწილი თავის-თავად დიდ ინტერესს იწვევს, რადგან მოხდენილად არის შერჩეული პლასტიური მასალა. სვანეთის ბუმბერაზ მთებს და დიდებულ მყინვარებს შეეძლოთ სურათი გადაექციათ მხოლოდ ბუნების სანახაობის სურათად, რომელიც სრულიად დაჩრდილავდა შინაარს. მაგრამ ბუნება, ისე, როგორც სვანეთის ყოფაცხოვრების დამახასიათებელი მოვლენები არ არის ნაძალადევად შეტანილი, პირიქით თვითონაც მოქმედებენ და მეტს სიმძლავრეს აძლევენ გმირთა ყოფა-ცხოვრებას.

სურათის ცალკე ნაწილებში უხვად არის ადგილები, რომელნიც მაყურებელში იწვევენ ინტერესის გამძაფრებას და სულიერი მღელვარების თანდათანობით გაძლიერებას. (გაქცეული ყმის ცხენებით გამოდევნება; მყინვარებზე გადასვლა, მტრის შემოსევა, დადეშქელიანთა კოშკის აღება და სხვა). შესანიშნავია თემური ცხოვრების დამახასიათებელი მასიური სცენები (თემური ნადირობა, გარდუფხნის მასსიური მკვლელობა, ციხე-კოშკზე შეტევა და სხვა). საერთოდ, სურათი სრულ წარმოდგენას იძლევა როგორც სვანეთის ზღაპრულ ბუნებაზე, ისე ამ ხალხის ადათ-ჩვეულებასა და ყოფა-ცხოვრებაზე.

გამარჯვებული არიან მსახიობებიც. ქალთა შორის ეკრანის მშვენიერ მსახიობად გვევლინება ვ. ანჯაფარიძე, რომელსაც ახასიათებს მდიდარი მიმიკა და ზომიერების გრძნობა.

კარგ შთაბეჭდილებას ახდენს თავის მეტყველი სახით ძინა—ძაძუ—თოიძე, რომელსაც აქვს სახის ნაკვთების ენერგიული მოძრაობა. ზედმიწევნითსტილიურია ერისთავის ქალის გარეგნობა. მსახ. კ. მიქაბერიძე სიმკვირცხლით. შესანიშნავი ჯირითობით და იარაღის მოხდენილი ხმარებით სავსებით გადმოგვცემს ლაღი აფხაზეთის ტიპს. შესანიშნავია აკაკი ვასაძე, რომელიც იცავს ეპოქის სტილიურ თავისებურებას, მისი სახის მეტყველება, მიხვრა-მოხვრა სავსებით გვაგრძნობინებს სვანი—თავადის სულიერ მოძრაობას. დიდათ ტიპიური არიან აგრეთვე გ. დავითაშვილი და წითლაძე. კარგია აგრეთვე ეპიზოდურ როლებში ლ. ხოტივარი და მუროღულია.

შესაფერია ზაქ. ფალიაშვილის ნაწარმოებიდან ამოღებული სურათი მუსიკალური ილიუსტრაცია. საჭიროა მხოლოდ ეპიზოდების რიტმთან მისი უფრო მოხერხებული შეფარდება.

ვ. წ.

ფიზიკური კულტურა

„დურუჯი“—„არსრაიონი“

კვირას, 9 მაისს, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართა „დურუჯი“-ს და „არსრაიონი“-ს პირველი გუნდების შეჯიბრი, რომელმაც აუარებელი ხალხი მიიზიდა.

თამაში განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენდა, რადგან ამ მატჩში ერთმანეთს შეხვდა თამაშის ტეხნიკის მხრივ თბილისის ორი საუკეთესო გუნდი.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ „არსრაიონმა“ უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად წაიწია წინ და დღეს ეს გუნდი სერიოზულ მეტოქეობას უწევს იმ გუნდებს, რომლებსაც ყველაზე მეტი შანსები აქვთ პირველობის აღებისათვის.

თამაში მეტად ცოცხლად დაიწყო. შეტევაზე გადადიოდა როგორც ერთი, ისე მეორე მხარე. პირველი ხავტაიმის განმავლობაში თამაში თანაბრად მიმდინარეობდა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ „არსრაიონს“ მეტი გაბედულება და სიმტკიცე ემჩნეოდა, ვიდრე „დურუჯს“.

პირველი განყოფილების მე-25 წუთზე დურუჯელი ვაჩნაძე ახერხებს პირველი ბურთის გატარებას მოპირდაპირის ბადეში, მაგრამ ჩქარა არსრაიონელ სოლტანის მიერ „დურუჯი“-ს ჭიშკარში მარჯვეთ დარტყმული ბურთით ანგარიში სწორდება და შემდეგ ორივე მხარის გააფთრებული ბრძოლა შედეგს აღარ იძლევა.

თამაშის მეორე განყოფილებაში „არსრაიონის“ უპირატესობა აშკარა შეიქნა; დურუჯელები დაიღალენ და ველარ ახერხებდენ მოწინააღმდეგის იერიშების მოგერიებას. „დურუჯი“-ს ჭიშკართან იყო კრიტიკული მომენტები, მაგრამ „დურუჯი“-ს გოლერ პაპკოს შესანიშნავი თამაშის წყალობით ყოველთვის ახერხებდა განსაცდელიდან თავის დაღწევას.

მეორე განყოფილების ბოლოს ბრძოლის ინიციატივა ისევ „დურუჯი“-ს ხელში გადავიდა; ამ უკანასკნელის ფორვარდებს ხშირად მიჰქონდათ ბურთი „არსრაიონი“-ს ჭიშკართან, მაგრამ შედეგს ვერ მიაღწიეს.

შეჯიბრი გათავდა 1:1.

სასამართლო

საზოგადოება „ბირლიკი“-ს თანამშრომელთა საქმე

გუშინ სასამართლოს სხდომაზე მოსმენილ იქნა ექსპერტების დასკვნა.

ექსპერტების დასკვნით, საზოგადოება „ბირლიკი“-ს ქონებრივი ზარალი უდრის —24.000 მანეთს.

ექსპერტების დასკვნით მოსმენის შემდეგ ცხადდება, რომ სასამართლოს გამოძიება დასრულებულია. შემდეგ გაიმართა მხარეების კამათი.

ხულიგნობისათვის

სახალხო სასამართლოს მორიგმა მოქ. ნიკოლოზ ყარამანიძე კობახიძეს. მიუსაჯა 3 თვით თავისუფლების აღკვეთა.

კობახიძეს ბრალად ედებოდა [illegible] დროს მოქალაქის შეურაცხყოფა და მილიციელისათვის წინააღმდეგობის გაწევა.

დ ო ლ ი

ხელშემწყობი ამინდია: წინა დღით წვიმისგან უხვათ მორწყული დედა-მიწა. აღარც მტვერი. ჰაერიც დაწმენდილი და გრილი.

მოძრაობისა, სილამაზისა და სპორტის მოყვარული ხალხით სავსეა სტადიონი.

პირველ გაჯიბრებაში ჩვეულებრივად მონაწილეობას იღებენ მესამე ხარისხოვანი ცხენები—ქართ. დივიზიისა და სამხ. სკოლის. მაგრამ ინტერესს ჰმატებს კარგათ ცნობილ **„საარიხის“** მონაწილეობა. მასთან ერთად არიან **„ვარსკვლავი“, „დონი“** და **„ვარჯიში“.**

ადგილიდან მეთაურობს აიღო „დონმა“, მაგრამ მანძილის მესამედიდან „საარიხმა“ იუკადრისა მეორედ ყოფნა და ყველა უკან ჩამოიტოვა. გასწორებულ სარბიელზე ერთხელ კიდევ შეეცადა მასთან შეკამათებას „დონი“, მაგრამ ამაოთ.

უდაო პირველობა აიღო „საარიხმა“. შემდეგ „დონი“ და „ვარჯიში“. „ვარსკვლავის“ შერცხვენა კი ისეთია, რომ მეორეთ აღარ უნდა აჩვენონ დოღის მოედანი.

მანძილი—2 ვ. და 100 საჟ. 5 ღობურა. პრიზი—80 მან.

მეორე გაჯიბრება: აქ გამოცოცხლდა მთელი ინტერესი ხალხისა. ახლად გამოდის სამხ.-ოსეთის იშვიათად მოხდენილი ბედაური **„მაკ-კონლეი“**—სუფთა სისხლის.მის ფეხდაფეხ მოდევს წარმოადგენს საკმაოთ სახელოვანი ნახევარ ჯიშიანი **„ლედა“**. მათში არის **„ვერაგიც“.**

„მაკ-კონლეი“ პირველი მიარღვევს არეს. მას ფეხდაფეხ მისდევს „ლედა“. მთელი მანძილი მწვავე ხასიათს ატარებს ამ ორთა შორის. ესტრადასთან „ლედამ“ სცადა საბოლოო შეკვეთება. მოწინააღმდეგეს დაეწია. ლამის გაუსწორდა კიდეც, მაგრამ ფინიში…

„მაკ-კონლეის“ გამარჯვებას ყურში ესმოდა „ლედას“ ქშინვა.

უყურადღებოთ მივიდა მესამე რიგში „ვერაგი“.

მანძილი—1 ვ. და 100 საჟ., პრიზი—100 მან.

მესამე გაჯიბრება: **„ელექტრიკ“, „ზორკი“, „არმა“.** სამივე სამხ. ცხენები. „ზორკიმ“ სულ ჩქარა ჩამოიტოვა მოქიშპეები და არხეინათ ძოვიდა პირველი. მას მიჰყვა „არმა“, „ელექტრიკი“ ყოველთვის ჩამორჩენილია.

მანძილი—2 ვერსი, პრიზი—60 მან.

მეოთხე გაჯიბრება: სპორტსმენებში მთელი ჩოჩქოლია: აქ არის სომხეთის ჯიშიანი და თავანკარი ლურჯა **„მალახიტი“.** მის ღირსეულ მოდავეს კი წარმოადგენს საქ. საჯინიბოს ნახევარ ჯიშიანი, მაგრამ ბევრ გამარჯვებას ჩვეული **„სარდარი“.** მათთანვე არის სამხ.-ოსეთის სუფთა სისხლის **„სოფისტი** და **„გულივერი“.**

თავიდანვე „მალახიტმა“ რიხიანათ აიღო გეზი. მას თან მისდევს დამუქრებული „სარდარი“. ნუ თუ ბოლომდის არ დაუთმობს „მალახიტი?“ უკანასკნელ მოსახვევშიც არაფერი შეიცვალა. „მალახიტმა“ უკვე დასჩაგრა სხვა დროს გათამამებული „სარდარი“ და სამი კორპუსით მიასწრო ფინიშს. მესამე მივიდა „სოფისტი“.

მანძილი—1¼ ვერსი, პრიზი—120 მან.

მეხუთე გაჯიბრება: სადაოა, 300 მანეთიანი პრიზი. სუფთა მანძილი—1½ ვერსი.

მონაწილეობას იღებენ ჯიშიანი „მოსსო“ და „გრაცია“ ნახევარ ჯიშიანი—„შაშარკა“, „ცო-ტო“ და „იაიჯა—ჰიათურელი“. დიდი ავტორიტეტი ჯერ არც ერთს არა აქვს მოპოებული.

შეკუმშულ გუნდათ მოსწყდენ არეს. შემდეგ ჯერ-ჯერით ხან „გრაცია“ პირველობს და ხან „ცო-ტო“. „შაშარკაც“ კარგა იმედია ნობს. ეს ცვალებადობა გრძელდება გაშლილ ხაზამდის. აქ თავში ექცევა „მოსსო“ და აღარავის უთმობს პირველობას. მას სამი კორპუსით მიჰყვა „ცო-ტო“, შემდეგ—„შაშარკა“. არავინ ელოდა „იაიჯა-ჰიათურელის“ ასე ჩამორჩენას.

მეექვსე გაჯიბრება: „ჩარვონიცა“, „რივიერა“, „ბუნჩუკი“. სამივე ნახევარ-ჯიშიანი.

ადგილიდანვე „ბუნჩუკმა“ გაიტაცა თაოსნობა და იმედიანი თარეშით თანდათან უკან ჩამოიტოვა ორივე მოდავე. მას პირველობას ველარავინ ეცილება. კარგა მანძილი დაშორებით იმას მოჰყვენ „ჩარვონიცა“ და „რივიერა“.

მანძილი—2 ვერსი, პრიზი—80 მან.

მოამბე.

იურიდიული დახმარება

კანონიერია თუ არა ჩემი სიმამრის მოქმედება?

კ ი თ ხ ვ ა

7 წელიწადია, რაც გათხოვილი ვარ. 1922 წელში მომიკვდა ქმარი და ვცხოვრობ სიმამრის ოჯახში. ოჯახში ვიმყოფებით: სიმამრი (60 წ. მეტი), მე, ჩემი ქალიშვილი (5 წლის) და ჩემი ქმრის დაქვრივებული და.

ჩემსა და სიმამრს შორის მოხდა უკმაყოფილება და იგი უარს მეუბნება ქონების წილზედ.

ოჯახში შემოტანილი აქვს მამაჩემის მიერ მოცემული მზითვი და ფული. ამას გარდა თავაუღებლივ ვმუშაობდი ამ ოჯახში.

მაქვს თუ არა უფლება მოვითხოვო მთლიანად ჩემი მზითვი, ოჯახში შემოტანილი ფული და ქმრის ოჯახიდან წილი ჩემთვის და ჩემი ქალიშვილისათვის. თუ წილი მეკუთვნის, რამდენი.

ამასთან, დაქვრივებულ დას გათხოვისას მიცემული ჰქონდა მზითვი, რომელიც უკანვე მოიტანა დაბრუნებისას დაქვრივების შემდეგ. აქვს თუ არა მას უფლება გაყოფისას მზითვი მთლიანად წაიღოს საკუთრად და ამ ოჯახიდან წილიც გაიტანოს სხვა წევრების თანაბრად.

გთხოვთ აღნიშნულ კითხვებზე მომცეთ პასუხი, რომლითაც შემეძლება ვიხელმძღვანელო.

ქალაქ ლანჩხუთის მცხოვ. **სოფიო ჩახვაძე —ბესიეშვილისა.**

პ ა ს უ ხ ი

თანახმად მიწის კოდექსის მუხ. 47, 48 და 50-ისა კომლის საერთო მიწები და ქონება (თუ ამას კომლის წევრები მოითხოვენ) **უნდა განაწილდეს ყველა წევრებს შორის თანასწორად, განურჩევლად სქესისა და წლოვანებისა** (ამ შემთხვევაში თქვენც, თქვენ პატარა ქალიშვილს და მულსაც უნდა მოგეცეთ სათანადო წილი). თქვენი მზითვი წარმოადგენს თქვენს კერძო საკუთრებას და იგი მთლიანად და უდავოდ გეკუთვნით თქვენ. თქვენი მული კი მიიღებს საერთო მიწების და ქონების ერთ ნაწილს, რომლის რაოდენობა დამოკიდებულია კომლის წევრთა რაოდენობაზე. თუ კი კომლის საერთო ქონებიდან გატანილ მზითვს უკან დაუბრუნებს მასვე.

თუ თქვენი სიმამრი ამის თანახმა არ არის, თქვენ უნდა მიმართოთ თქვენი ბინადრობის მიხედვით სასამართლოს წესით კომლის საერთო მიწების და ქონების გაყოფა ცალკე სარგებლობისათვის **(იხ. იქვე მუხ. 54).**

პარტიული კალენდარი

„რემედას“-ის ლენრაიკომი იტყობინება, რომ დღეს, სამშაბათს, 11 მაისს, საღამოს 5 საათზე, ლენრაიკომის ბინაზე დანიშნულია „რემედას“-ის ლენრაიკომის **პრეზიდიუმის სხდომა.**

დასწრება ქვემოჩამოთვლილ ამხანაგებისათვის სავალდებულოა: ნაცვლიშვილი, ტორომანოვა, მუმლაძე, ვაშაკიძე, ბუზდაკოვი და არჯევანიძე.

საქ. კომპარტიის **თბილისის კომიტეტის** სააღრიცხვო - განმანაწილ. განყოფილება სთხოვს ამხ. ჩარკვიანთან გამოცხადდენ შემდეგი ამხანაგები: მარიამ სუკიასიანი, იოჰანეს ბაცერი და ი. პოპოვი.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის საალრიცხვო-განმან. განყოფ. ბინაზე დღეს, დილის 11 საათზე, შესდგება **მიმღებ კომისიის სხდომა.** სავალდებულოა ამხ. კერვალიძის, ჟუკოვის, ინაურის და ფირალოვის დასწრება.

— **ქალაქის რაიკომის** მუშა და გლეხ ქალის განყოფილება აცხადებს, რომ დღეს 11 მაისს, საღამოს 6 საათზე შესდგება **ქალთა სადელეგატო კრება.** ქართული ჯგუფის ქალაქის ალმასკომის დარბაზში, ხოლო რუსული ჯგუფის, სახალხო კავშირის კლუბში (კინო „სოლეის“ ქვეშ).

ამავე დღეს ქალაქის რაიკომის შენობაში (ოთახი № 26) საღამოს 7 საათზე შესდგება მორიგი მეცადინეობა რუსული ჯგუფის ქალთა ორგანიზატორებთან.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის **ქალაქის რაიკომი** იუწყება, რომ ოთხშაბათს 12 მაისს, საღამოს 6 საათზე ქალაქის ალმასკომის ბინაზე მოწვეულია ქალაქის რაიონის **საუჯრედო ბიუროების კონფერენცია** ფაბრიკა - ქარხნების ადგილკომების ფრაქციებთან ერთად.

დღის წესრიგში სდგას: 1) საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მოხსენება.

2) მოხსენება ფაბრიკა - ქარხნების ადგილკომების არჩევნების შესახებ.

3) კოლექტიურ ხელშეკრულებების ხელ ახლად დადების შესახებ.

თბ. საღამოს ეკონომიურ-სამრეწველო ტეხნიკუმის მასწავლებელთა კორპორაცია აცხადებს, რომ გარდაიცვალა მათი მეგობარ-მასწავლებლის მეუღლე

მარგო არჩილის ასული კარგარეთელი

დაკრძალვა მოხდება დღეს, 11 მაისს, კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. გამოსვენება საკუთარ ბინიდან ლერმონტოვის ქ. № 29, ნაშუადღევის 4 საათზე. 2433

გულდამწვარნი და დაჩაგრულნი მშობლები ცუცა და გიორგი, ძმა ბუკურა, დები ნუნუ და ცუციკო, ბიძები: ლადო, ნიკო და შოთკოფი, ბიცოლები: მაკა, ედუსი, პეპელა და იადითი, ბიძაშვილები მარუსია და შალიკო გუნცაძეები, მამიდა ეფროსინე და ბიძა ვახტანგ ელენტები უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საყვარელი

თ ი ნ ა

რომლის გასვენება დანიშნულია 12 მაის ოთხშაბათს, ს. კვალითში, საკუთარ სახლში, 2430

მწვავე ხვედრით გულმოკლულნი: ექიმი მიხეილ ნიკოლოზისძე და მისი მეუღლე ნადია სიმონ რუხაძის ასული **ყორყოლიანები,** მშობლებითურთ—მხურვალე მადლობას უძღვნიან: აჭარისტანის სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს და მთავრობის წევრთ; ჯანსახკომისარიატის, საავთიაქო სამმართველოს, სახმედვაჭრობას, მთავარ საავადმყოფოსა და სხვა დაწესებულებათა თანამშრომელ-ამხანაგთ; ბათომის ექიმთ და მასწავლებლობას, ქუთაისის საზოგადოებას; მეგობრებს და ახლობელთ, რომელთაც თავისი უტყუარი და თბილი თანაგრძნობა-ნუგეშით დიდი შვება და სულიერ ტანჯვის შემსუბუქება მიანიჭეს მათ—აუნაზღაურებელ დანაკლისის, მათი ერთდერთი ყრმა შვილის

ჯ ა ნ ი კ ო ს

უდროოთ დაკარგვის გამო. ნ. 1284

ღრმათ დამწუხრებულნი, დედა თებრო, ძმები კოტე, ალექსი, ლადო, რძლები: მარიამი, ლიუსია და ნინა, ძმისწულები ქეთო, ქრისტინე, შოთა და ემილი აუწყებენ ნათესავებს, ამხანაგებს და მეგობრებს, რომ 10 მაისს, ნაშუადღევის 4 ნახ. საათზე ქ. თბილისში გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი, საყვარელი და დაუვიწყარი, სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტის კურსდამთავრებული

არჩილ იოსების ძე სეხნიაშვილი

გამოსვენება ალექსანდრეს სახელობის საავადმყოფოდან (კამოს ქუჩა) სადგურზე დღეს, 11 მაისს, 6 საათზე. დასაფლავება სოფ. რუისპირში (თელავის მაზრა) 1—1 ღ.

სამუდამოდ ცრემლ შეუშრობელი მშობლები ნინა ლევანის ასული და არჩილ ივანეს ძე ყარალაშვილები შვილებით, მეუღლე ევგენი მიხეილის ძე კარგარეთელი შვილებით ეთერი და თეიმურაზით, დედამთილი ბარბარე, მულები: სოფიო კარგარეთელი და ალექსანდრა ქართველიშვილისა შვილებით აუწყებენ ნათესავთ მეგობართ და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა პირველთა საყვარელი შვილი, მეორის დაუვიწყარი მეუღლე და მესამეთა ძვირფასი რძალი

მარგო არჩილის ასული

კ ა რ გ ა რ ე თ ე ლ ი ს ა

გამოსვენება საკუთარ ბინიდან ლერმონტოვის ქ. 29 11 მაისს დღით, 4 საათზე კუკიის სასაფლაოზე 1—1 ღ.

ერეკლე, ივანე და ქეთევან ტატიშვილები და ალექსანდრა ქურული ოჯახითურთ აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ ძვირფასი დედის

ანნა ტატიშვილის

გ ა რ დ ა ც ვ ა ლ ე ბ ა ს.

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 საათზე წირვა და ანდერძი ქაშვეთის ეკლესიაში, ოთხშაბათს 12 მაისს. დაკრძალვა ამავე დღეს წირვის შემდეგ ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე. გასვენება ქაშვეთის ეკლესიაში ბინიდან ტროცკის (ყოფილი პეტრე დიდის) ქუჩ. № 16, დილის 9 ნახ. საათზე 12 მაისს.

1—1 ღ.

ღრმად დამწუხრებული: შვილები—თეოფანე, დომენტი, დათიკო, ეკატერინე, ლაზარეს ძე თევზაძეები, რძლები—ოლია იაგორას ასული და თამარა ილიას ასული თევზაძისა, შვილიშვილები—ბორისი, თამარი, სარა, კლავდია, მარგალიტა, ციცინო და ლევან თევზაძეები, გრიშა, ისიდორე და ხარიტონ ქორიძეები, ალიოშა, ნატაშა, ცუცა და ვარდენ გურიელიძენი, სიძეები—ნესტორ მაქსიმეს ძე ქორიძე და ვასილ ექვთიმეს ძე გურიელიძე, აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრართ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 9 მაისს, ქალაქ თბილისში მიხეილის საავადმყოფოში გარდაიცვალა მათი საყვარელი, პირველების დედა, მეორეთა ბებია და მესამეთა სიდედრი

ნინო ისიდორეს ასული თევზაძისა

გამოსვენება საავადმყოფოდან რკინისგზის სადგურზე 10 მაისს, საღამოს 6 საათზე. დასაფლავება სოფელ ჩოხეთში (გურია), 13 მაისს დღით, ხუთშაბათს, დეპეშების მისამართი: საჰამიას სერი. 2432

დამთავრებულია და ამ დღეებში თბილისის საუკეთესო კინო-თეატრებში

ნაჩვენები იქნება

საქართველოს კინომრეწველობის

ახალი სურათი

მეცხრე ზვირთი

რეჟისორი ვ. გ. ბარსკი

ოპერატორი ა. პოლიკევიჩი

თვალყური ადევნეთ დადგმის დღეს

ნ. 1283

საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახ. კომისარიატისაგან

ამით ცხადდება ყველას საყურადღებოთ, რომ მიმდინარე წელს თავდება 1922 წ. გამოშვებულ 1 სახელმწიფო მოგებიან 6 პროც. სესხის მოგებათა და კუპონების გადახდის 3 წლის ვადა, რომელიც დაწესებული იქნა სახ. კომისართა საბჭოს 1922 წ. 31 ოქტომბ. დადგენილების 10 მუხლის ძალით („იზვესტია“ № 251, 1923 წ. 5 ნოემბერი) და სახელდობრ:

13 მაისს თავდება პირველ ტირაჟში გათამაშებულ მოგებათა გადახდის ვადა;

31 მაისს კუპონის № 1 გადახდის ვადა, რომელიც დაიწყო 1923 წ. 1 ივნისიდან.

1 სექტემბერს... მეორე ტირაჟის მოგებათა ანაზღაურების ვადა.

14 ოქტომბერს—1923 წ. დამატებით ტირაჟის მოგებათა ანაზღაურების ვადა;

30 ნოემბერს... კუპონის № 2 გადახდის ვადა, რომელიც დაიწყო 1923 წ. 1 დეკემბერს.

ცნობების მიღება მოგებათა შესახებ შეიძლება ბანკებში, შემნახველ სალაროებში, შემოსავალ-გასავლის სალაროებში, ფოსტა-ტელეგრაფის და სხვ. დაწესებულებებში.

აღნიშნულ ვადის გასვლის შემდეგ—არავითარი განცხადებანი და პრეტენზიები არ იქნება დამაკმაყოფილებელი. ნ. 1285

დღეს და ყოველ დღე

„მეჟრაბპომ-რუს“-ის ახალი საუკეთესო სურათი

ზემო სვანეთის ცხოვრებიდან

აპოლლო ართისტიკო სოლეი

ძინა ძაძუ

რეჟისორი— ი. ა. ჟელიაბუჟსკი

ოპერატ. ი. ა. ჟელიაბუჟსკი და იალოვოი

კონტრამარკები არ გამოდგება

უკრავს გაძლიერებული სიმებიანი ორკესტრი

ა ნ ო ნ ს ი: ჩქარა სახელმწ. კინო-მრეწველობის ახალი სურათი **მ ე ც ხ რ ე ზ ვ ი რ თ ი**

0—27 ნ. 1265

ა-კ. რკ. გზ. რკინისგზელებს, ყველა ვბ, ვრ და ვიპზს, საუბნო დამზღვევ სალაროებს და რკ. გზ. საუბნო პროფკავშირებს

ც ნ ო ბ ა დ

რკინის-გზის მუშა-მოსამსახურეებმა და მათი ოჯახის წევრებმა, რომელთაც ჯანმრთელობის მდგომარეობის და მკურნავ რკინის გზის ექიმის დასკვნის მიხედვით ესაჭიროებათ სანატორიულკურორტული ექიმობა უნდა,

ა) მიიღონ მკურნავ რკ. გზის ექიმისაგან დაწერილებითი დასკვნა მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და იმის შესახებ, რომ საჭიროა მათი გაგზავნა ამა თუ იმ კურორტზე ან სანატორიუმში;

ბ) ეს დასკვნა განცხადებასთან ერთად რკინისგზელმა უნდა შეიტანოს სათანადო საუბნო დამზღვევ სალაროში საცხოვრებელ ადგილის მიხედვით.

ვ) საუბნო დამზღვევი სალარო უნიშნავს რკ. გზელს ან მის ოჯახის წევრს, როდესაც იგი უნდა გამოცხადდეს საექიმო-სანატორულ კურორტულგამომრჩევ კომისიაში გასასინჯათ,

გ) განცხადებების მიღება საუბნო დამზღვევ სალაროში ექიმების დასკვნით სანატორულ-კურორტულ ექიმობის საჭიროების შესახებ იწარმოებს 1925 წლის 10 მაისიდან 10 ივნისამდე.

აღნიშნულ ვადის შემდეგ არავითარი განცხადებები სანატორულ-კურორტულ ექიმობის შესახებ მიღებული აღარ იქნება.

ა-კ. რკ. გზ. დამზღვევი სალარო

ა-კ. რკ. გზ. ჯანმრთელობის სამმართველო

1277 2—2

შორაპნის მთლიანი მომხმარებელი საზოგადოების „ეპო“-ს სალიკვიდაციო კომისია

ამით აცხადებს ყველა დაწესებულებების და კერძო პირების საყურადღებოთ, რომლების დავალიანებაც ირიცხება შორაპნის „ეპო“-ზე, რომ ა. წ. 14 მაისს დღით პარასკევს, დანიშნულია ზემოხსენებული „ეპო“-ს საჯარო ვაჭრობა, სადაც გაიყიდება იჯარით, როგორც საქონელი აგრეთვე ყოველგვარი მოძრავი ქონება, რისთვისაც ლიკკომისია სთხოვს ყველა სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებს და პირებს, რომ გამოგვიგზავნონ მათი დავალიანების სწორი ცნობები არა უგვიანეს 12 მაისისა უკიდურეს შემთხვევაში კომისია თავის თავიდან იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას.

2424 შორ. ეპოს სალიკვიდაციო კომისია.

თანახმად ტყვიავის მთლიანი მომხმარებელი კოოპერატივის წევრთა ყრილობის დადგენილებისა

ა. წ. 23 აპრილიდან ტყვიავის მთლიანი მომხ. საზოგადოება ლიკვიდაციაქმნილია, რისთვისაც არის ამორჩეული სალიკვიდაციო კომისია, რომელიც აცხადებს, რომ ვისაც რაიმე პრეტენზია აქვს ტყვიავის მთლიანი კოოპერატ. შიმართ, ასეთი უნდა წარუდგინონ სალიკვიდაციო კომისიას არა უგვიანეს ა. წ. მაისის 25 რიცხვისა, რის შემდეგ არავითარი განცხადება პრეტენზიების შესახებ არ იქნება მიღებული

სალიკვიდაციო კომისია.

მისამართი: ს. ტყვიავი, გორის მაზრა, ყოფ. „ეპო“-ს შენობაში. 2431.

ექ. ე. მ. მძინარიშვილი

სიფილისი ვენერიული და კანის სნეულებანი

ავადმყოფების მიღება 1—2 საათ. დღ. და 6—8 ს. საღამოთი, ქალების და ბავშვების 5—6 ს.

მისამართი: რუსთვ. პროსპ. № 18 შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან. 25—1

ექიმი გ. მ. ფხალაძე

კანის და ვენერიული სნეულებანი

(სიფილისი „606“—„914“)

ავადმყოფების მიღება: კაცების— დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—8, საათ. ქალების საღამოთი 5—6 საათ. მისამართი: მოსკოვის ქ. № 4 ყოფ. კაბინეტი რეზო მაჩაბლისა (ზემელის აფთიაქის პირდაპირ). 25—18

ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. ბოჭორიშვილი

აცხადებს, რომ 3 ივნისს 1926 წ. დილის 10 საათზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ნიკოლოზ გურულის შენობის, მდებარის ქ. ქუთაისში, ხახანაშვილის ქუჩაზე № 5, რომელიც შეიცავს ერთ ორსართულიან ქვიტკირის შენობას, რომლის ძირა სართული შესდგება ორი თვალი საწყობისაგან და ზედა ორი თვალი საცხოვრებელი ოთახისაგან შუშაბანდით და ერთი თვალი სამზარეულოთი შეფასებული 2000 მანეთი.

საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებულ თანხიდან, ალექსანდრე ბარაბაძის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლათ, და ყველა იმ პირმა ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს ცნობები აღნიშნული 311 მუხ. სამ. საპ. კოდ. და საწინდარი შენობის შეფასების ათი პროცენტი. ნ. 1282

ხონის უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი პ. ბ. ერისთავი

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ცამეტ მაისს 1926 წ. დღით ხუთშაბათს, დილის 12 საათზე, მოხდება **საჯარო ვაჭრობით** გაყიდვა ერთი სამთვალიანი ხის სახლისა (ოდა) კრამიტით დახურულის, წინ და უკან ბალკონით, მდებარე სოფ. გოჩა-ჯიხაიში, კუთვნილი მოქალაქე ივანე ალექსისძე ანდრიაძის სამას მანეთად ღირებული. დასაკმაყოფილებლად მეურვე ალექსანდრე ანდრიაძის ობლებისა— გიორგი მიხეილისძე ანდრიაძის ვალისა. თანახმად აღმასრულებელი ფურცლისა ხონის უბნის სახალხო სასამართლოს 16 თებერვლის ა | წ. თარიღით № 312. გასაყიდი ქონება არის შეფასებული სამას მანეთად, ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან. შენობის დათვალიერება შეიძლება ვაჭრობის დღეს, აგრეთვე სხვა დღეებშიაც. ქ. 2433

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო საწოლებით

მიხეილ ბედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ, თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20 50—30

ექიმი ი. დ. თოფურიძე

კალინინის (ყოფ. ნიკოლოზის) № 33. მიიღებს ავადმყოფებს. კანის, სიფილისი და ვენერიულ (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები) საღამოს 6—7.

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 საათ.

ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი № 8. 25—17

ექიმი არსენ ვადაჭკორია

ღებულობს ქალთა ავადმყოფებს და აგრეთვე უწევს სამეანო დახმარებას დილის 8—10 ს. საღ. 4—7 ს-დე. (ყოფილი ოლღის) ლენინის ქ. № 35 25—11

დ ა ბ რ უ ნ დ ა

ექიმი ზანდუკელი

შინაგან და ნერვიულ ავადმყ. ელექტრონის კაბინეტი

მიღება საღამოს 7—8 საათ., ლენინის (ოლღას ქ. № 49) ტელ. 4—82 25—1 ქ. 2356

სათვალეების მორგება

უფასოდ

ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დღის 3—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 13—63. 25—1

ექიმი ჯალალოვი

კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი.

შეშხაპუნება „914“ ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა.

ავადმყოფ. მიიღება დილ. 6 ნახ.—8 საათ. საღამოს 5 დან—9 საათამდე; ქალები 12—2 საათ. საღამოს. მისამართი: კამოს ქუჩა № 19 (ყოფილი დიდი მთავრის ქ.) გორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად 22—1

ე ქ ი მ ი

დ. ვ. ჯავახიშვილი

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი

ავადმყოფ. მიიღებს დილით 8—9 საათამდე, საღამოთი 5—7 საათ-დის ყოველ დღე გარდა კვირისა. პლეხანოვის გამზირი (ყოფ. მიხეილის) № 61.

თვალის ექიმი

მაევსკი

პლეხანოვის პროსპექტი

ყოფილი მიხეილის პრ.) № 53 (მთავარი ტაძრის პირდაპირ). მიღება დილის 9-დან 11 საათამდე (დღის 1-დან 3-დე, საღამოს 7-დან 8-მდე). 35—

ე ქ ი მ ი

გ. ნ. ონანოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა

ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ყოფ. ელისაბედის ქუჩა № 3. 2215 31—1

ავადმყოფების მიღებას

პროფესორი

მ. წინამძღვრიშვილი

აწარმოებს დილის 9 საათიდან სრულ 10 ს—მდე და საღამოს 6—8 ს—მდე, გარდა კვირისა. ყოფ. ელისაბედის ქუჩა № 7. ტელეფ. 14—5 25—16

დოქტორი ბ. მეგრაბიანი

ფილტვების, გულის და ციების

წამლობა ხელოვნური მთის მზით პნევმოტორაკსის და ტუბერკულინის, რენტგენის და სინათლით ელექტრონის სამკურნალო კაბინეტში—იღებს 9—1 საათ. დილ. 5—8 სთ. ბებუთოვის ქუჩა № 23.

ე ქ ი მ ი

დ. ა. ბედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დაავადებულ საერთო ნერვიულ სისტემის სენით, აგრეთვე მკურნალობს სულით ავადმყოფებს

დილის 9—11 ს., საღამოს 4—5 ს. ძმელაძის ქ. (ყოფ. საპიორის) № 32 25—8

დავკარგე სამხედრო აღრიცხვის ბარათი ფორმა № 4 იონა შანიძის სახელზე. ჩ. გ. 2415

დავკარგე კავშირის წიგნაკი № 5876 მიხეილ გიორგისძე ნაკაშიძის სახელზე, ჩ. გ. ქ. 2423

დავკარგე საბინაო დავთარი № 112 (მოსკოვის ჯაფარიძის ქ. № 13) ჩ. გ. ქ. 2425

დავკარგე კომუნისტურ პარტიის კანდიდატობის მოწმობა ვლადიმერ მიხეილისძე თენიძის სახელზე ჩ. გ. ქ. 2428

დავკარგე ლომბარდის ქვითარი № 9170. ელისაბედ პაპლაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2429

დავკარგე პირადობის მოწმობა ლომან სამებასძე ბათუაშვილის სახელზე, ჩ. გ. ქ. 2427

დავკარგე მე-5-ე სამილიციო უბანში საბინაო დავთარი დავით ისრაელის ძე დანიელოვის სახელზე, ჩ. გ. 2434